

ცისკარი

სამსახურთ-სალიტერატურთ ჟურნალი 10 | 1999





„ვანყი გურიამი“

ცისკარი

დამფუძნებლები:

საქართველთა მწიგნობართა კავშირი

და ქუჩნალ „ცისების“ ბრძანებით

10 | 1999

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:

მაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბალაძე არ ბაბული
იკბალი ბაზაძე
ლევან შალაზუნია
ელზა შიბრამელი
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხრ მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანი
ჯემალ ძირია
(ასესხმეული მდიანი)

საკონსულტაციო საბჭო:

გივი ბაბუაძე
ნოდარ ბერიბაღვაშიძე
ლავრო თელორძე
ზაზა თხარაძე
მეზარ კვიციანი
რევაზ მიშველაძე
ლავრო მუხომბერი
გივი სულაბაძე
მიხეილ კვიციანი
ჯანსუღ ღვინჯილია
ზაფხინ ზამანაძე
ნუზარ შატაძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანაშია

მხატვარი:

გიორგი წამბერიძე

მხატვრული რედაქტორი

ლავრო აბულაძე

ტექნიკური რედაქტორი:

ზინა სიმაძე

გამომცემელი:

ლევან თითქმისი

შინაარსი

გამოიღვიძე, ქართ!

3. ფსალმუნები: გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა

ბოესია, ბროსა

7. ვენო კალანდია. წიგნიდან „რეკვიემი“. ლექსები

16. მანანა ამირეჯიბი. არის ერთსა წამისა. მოთხრობა

34. შვიად რაგიანი. ლექსები

39. მარინე ღამბაშიძე. ლექსები

41. მაურ კალანდია. ძეგლი ყველასათვის. რომანი. დასასრული

74. შურაბ კუბანიძე. ლექსები

76. ქუქუნა შაინიძე. შღვის სონეტები

78. ლევან მაღაზონია. კელიანი კლოუნი. მოთხრობა

109. გონა ხარანაული. ლექსები

111. დავით გოგბეღაშვილი. რწმენის სანაცვლოდ
(ესე თომას შინის შესახებ)

114. ნოდარ ბაქრაძე. ლექსები

ჩვენი თანამედროვე

115. გოგი თითბაძე. თორილე სიტყვა საკუთარ თავზე.
საუბარი ჩაიწერა ქეთევან გამგებელმა

წერილები

119. მამუკა კობერიძე. უღრო დრო

121. შაია შირესაშვილი. „არაგრადაციული“ ისტორიული რომანის
შესახებ

123. ნინო ცარციძე. დათა თუთაშხიას მრწამსი

126. ლია ქობალაძე. თიხხმანობის ადგილი ქართულ
მუსიკალურ ფოლკლორში


128. დავით მჭედლური. ეროვნული იდეის ძიებაში. გაგრძელება



„მრავალკემიერი“

ფსალმუნები

ფსალმუნი 137



იერუსალიმი. სიონის მთა.

1. მდინარეებზე ბაბილონისა დავსხედით მაშინ,
გავიხსენეთ და
ავტრედით, სიონ!
2. ძეწნათა შორის ჩამოვეიდეთ ჩვენი ქნარები.
2. რადგანაც ჩვენმა დამტყვევებლებმა ქუების სიმღერა
მოგვთხოვეს მაშინ
და ჩვენი კერის მძარცველებმა - სიმხიარული:
გვიგალობითო სიონური სავალობლები!
4. როგორ ვიმღეროთ უფლის სიმღერა უცხო მიწაზე?
5. თუ დაგვიწყო, იერუსალიმ,
მეც დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა.
6. დაე, სასახე შემახმეს ესა,
თუ შენზე წუხილს გადაუდგე, იერუსალიმ,
და შენი სსოფნა
უკუნისამდე
არ აღვაფიწო სათაფში ჩემი ღვინისა.
7. ო, ზეხარო, გაუსხეე ედომის შვილებს
ის დღე, რომელიც დასაიეს იერუსალიმს,
რომ მივინვარებდეს:
„დასცხეთ, დაღუწეთ
და დაქციეთ ძირისძირამდე!“
8. ასულო ბაბილონისაო, - წყუელიმც იყავ! -
ნეტარ არს კაცი, ვინც შურს იძიებს
და რაც მოგვაგე, მოგიხლავს მასვე;
9. ვინც მუშუთაჯან ავაგლევს ჩვილების
და შეახეთქებს
ზიტალო კლდეზე.

ფსალმუნი 138

დავითის ფსალმუნი.

1. შენ განგადიდებ მთელი გუდით, უფალო ჩემო,
შენ გიგალობებ
მადალთა შინა.
2. შენ წმინდა ტაძარს მუსლმოურილი დაუკურები,
ვაქებ შენს სახელს - შენეული ტემპარიტეის
და შენმიერი წყალობის გამო,

რადგან უოკლავარ სასულეჲე შეტად
შენ ძენი სიტუვა მოამაღლე,

(ცათუმადლესო!

2. ოდეს მოძისმე - შემეხმინე,
სულში შთამბეჭე მესუელი ძალმოხილება.
4. განჯადიდებენ, უოკლად დიადლო, შენ მეუფენი ამა ქვეყნისა,
როს მოისმენენ ნაუბარს შენსას.
5. და გზას უფლისას უძღვრებენ საჯალობლებით,
რადგან დიდი
დიდება შენი.
6. ამადლებულსარ მაღალთა შინა,
მდაბლს სწუჯალობ და
მედიდურებს შორიდან დასცქერ.
7. შენ ვამცაცოსლეჲე ჭირსა მიგან დრტყინვით მთარულს,
ხელს შემამუქლეჲე უმეურთა შესამუსრაჲად,
რომ ვამოისნსა
მარჯვენა ჩემი, -
8. და ჩემს სახაცვლოდ აღასრულეჲე აღსასრულელებულს;
საშენთა შესუელი კეთილწუჯალობა,
უოკლადმდიერო უფალო ჩემო, -
სუ განუდგები ქმნილებებს შენსას!..

ფსალმუნი 139

ლოგბარისადმი. დავითის საგალობელი.

1. უფალო ჩემო,
ჩამემიე ვულისჯულამდე
და განიკითხე
ჯულითქმა ჩემი.
2. შენ იცი - როდის დავეყმი,
როდის აღვდგები,
შორით კითხულობ
სატკივარს ჩემსას.
3. აღსუსული ვაქვს - საით დავალ, ვისთან ვაღამებ,
მთელი ჩემი გზა
ნაბიჯ-ნაბიჯ შევისწავლია.
4. ჯერ არ დამიმრავს, უფალო, სიტუვა
და უკვე უწვი
სათქმელი ჩემი.
5. ვარე-მემომკურ სთავიდან შესართავამდე,
რომ ჩემსა ზედა აღასრულო
სელდასხმა შენი.
6. დიდ არს, უფალო, განჯება შენი -
სიღვად მნელი და
შესაცნობად მიუწვდომელი.
7. მე კი შენს სუნთქვას რანაირად ვაჟვრიდები,
სად ვაჟმცემი
სუფევას შენსას?
8. მაღლა ავალ და
შემერები მაღალთა შინა,

- დაღმა დაჯალ და -
სახება შენი
ქვე ჩამიდევება ქვესქნელის წილ.
9. ფრთაც რომ შევისხა ვახთიადისა
და ზღვის კიდესე დაფიბინადრო, -
10. კვლავ შენი ხელი წარმიდევება, სელთადმწერობელო,
კვლავ შემეწინებებს
მარჯუნი შენი.
11. ხან ვიტყვი: იქნებ, სიბნელეში გაფიხინარდე,
ჩამოდილამდეს ვახთიადის მხე და სინათლე, -
12. მაინც შენს მხერას ვერასხათ დავემალეები:
ცისკრის ციავად ვავიხლება
ღამის სიბნელე,
მწუხრის ჩრდილები -
ვახთიადის მანათობელად.
12. რადგან შენ შემქმენ,
შთამბურე სული
და გამომწერე საშოში დედის.
14. რა უჩვეულოდ ავისხივარ - დიდება შენდა! -
თვალმა ითხია
საქმენი შენი
და სულმა შენი სრულქმინილება ვაიცნაურა.
15. არ დაფარულა, უფალო, შენგან ძვალი ჩემი და
უაღიბი ჩემი,
როს შემამხადე საიდუმლო მუცლადღებისთვის
და ჩამომასხი წიაღსა შიგან.
16. და ჩანასხში მომიხილეს შენმა თვალეგმა,
ოღეს შენს წიგნში,
ქამთადმრიცხველო,
წერილად აღრიცხე ჩემი ცხოვრების
უკრთოაფილი
უოკული ჟამი.
17. აუწყავია, მბრძანებელო, შენი ზრახვები
და რიცხვი მათი -
აურაცხელი.
18. დაუთვლი და
ვნახაუ -
ქვიმასავით უთვალავია -
და კვლავ შენს ჩრდილქვემ შეფარებულს გამეღვიძება.
19. დამერთო, ნეტავი შემეწრაფე ბოროტეულებს, -
სისხლისმსძელებო,
განუვდიო ჩემგან!
20. ავად შეთქმულან უკეთურები
და სახელს შენსას ამაოდ ფიცვენ.
21. ხუთუ არ უნდა მთავი-უღლი
შენი მომუღე
და არ ვუმუღლო
მომუღარს შენსას? -
22. ვინც არნახული სიმუღელით შემუღლებია,
როგორც მტერი და
მოისხლე ჩემი.

- 22. და ვევედრები - ჩამეციე გულისგულადმე,
განძვადე, ღმერთო,
ყოვლადმდიერო,
და განიცხადე გულისთქმა ჩემი.
- 24. და ვანიკითსე სიავარჯე ჩემი გზებისა
და წარმიმეხი სასეკუნო ცხოვრების გზაზე.

ფსალმუნი 140

ლოგბარისაღმი. დაეთის ფსალმუნი.

- 1. ო, განმარდე - შეგთხოვე უფალო, - მე უკეთური ადამიანი,
გაბოროტებულ კაცთაგან მინსენ, -
- 2. რომლებიც ბოლმით იფსებენ გულ-გვამს
და ქიძობითთვის აღიმორიან ყოველცისმარე.
- 3. მირს იბასრავენ უნასის დარად,
ტუჩებზე ახით ასაიტის მსამი.
- 4. ო, განმარდე, გემუდარები, ბოროტეულთა მაცდური ხელი,
მოძალადე ხალხს გადამარჩინე, -
უკეთურ ზრახვებს ითქვამენ გულში, რომ შეაფურსონ
ნაბიჯი ჩემი.
- 5. მასე დამირწეეს უხჯულიებმა,
ფაცურკოდეტი განფინეს გზაზე
და სათხუვლეები ვაძიეუს ფეჩქუძი.
- 6. მაძინ შევტირე შემოქმედს ჩემსას: ჩემი ღმერთი ხარ,
უფალო ჩემო,
ურბი მოაძარ ვედრებას ჩემსას.
- 7. მოდექე, უფალო, უფალო ჩემო, ისევე მოძადლე
ცხოვრების ძალი
და ფიცხელ ომში მფარველად მექმენ.
- 8. ღმერთო, აღუდექე ცოდვილთა სურვილს,
რომ არ აღხუდეს სიავუ მათი.
- 9. გარს მოთარემე ძთავართა გვამებს დაფარავს მათი
ჭური და
ღვარძლი.
- 10. ნაკურცხლის ცეცხლი დატედეთ თავზე,
დახაცროთ აღმა გუენიისამ
და ვურ ელირსონ ცხოვრების ნათელს.
- 11. ნუქც დაძვიდრდება ქვეუხასე აფსიტევა კაცი,
მოძალადე კი
ბოროტებამ მოინადიროს, -
მირს მოისროლოს მესამუსრავად.
- 12. და მენ, უფალო, გულმოსუაღედ განსჯი გლახაკებს,
სამართლიანად ვანიკითსავ ვაჭირუბულებს.
- 13. ხოლო მენს სახელს უბიწობი ვახადიდებენ
და მენს წინაშე დამკვიდრდება
წმინდანთა დასი.

ებრაულიდან თარგმნა

ჯემალ ახიანძილია,

(გაგრძელება იქნება)

გენო კალანდია

წიგნიდან „რეკვიემი“



ლექსი სამეგრელოზე

სისხლივით ამიჯანყდები სამეგრელოზე ფიქრო,
მაცხოვრის დაბადებიდან გადაუშლელი წიგნო.

ვაზივით გულდასეგვილო, ჯვარზე გაკრული ნებით,
სვალ მშობლით შეგეხილები, ზეგ - საკუთარი ძელებით.

დილიდან დაღამებამდე დაკიდებულო ნაპრალს,
მე ამოვაესებ უშენოდ იმ სავერანე საფლავს.

მერე სხვა შეგეზიაროს, მან გაგიმაგროს ლიბო,
ოღონდაც ასე მართალი, ასე ერთგული იყო.

არ გამიჯაგრდე, ვეთაყვა, არ მომიხურო კარი,
მიყვარხარ, როგორც მზე უყვარს უსინათლოს და ყარობს.

არც აკაკი ვარ, არც ვაჟა, არც მონიქული მეფის,
უბრალოდ, სიკვდილს ვაპირებ, სიკვდილს ვაპირებ შენთვის.

* * *

ამ აყვავებულ წაბლებსა და ნეკერჩხლებშორის,
ამ ნაკადულს და თეთრი ვერცხლის სარკეებშორის,
ამ ქედებსა და იმ ყოლოსფერ გორაკებშორის,
ამ ნისლებსა და იმ ღრუბლებშორის,
ამ მაფხულსა და იმ მაფხულშორის,
მე ვნახე შენი რელიეფი და პეიშაჟი.

მე ვნახე დილა ბულბულებით და შამშვებით გულამდე საცხე,
ვნახე ფრთოსნების ხანძრისფერი, წითელი გუნდი
და მთიბეგლივით თაგქვეშ ხელებამოდებულმა
სალამოს ბინდში მოვისმინე:
ჭრიჭინობლების მწუხარე მესა,
შაოსანი ქორების ქორო.

მე ვნახე გველი, მოცეკვავე ბალახებშორის,
ვნახე წყლის მწვანე აშფიზია, კვირტივით
სველი, მრგვალი ოვალით,
ვნახე ხობბები, - ტყის ქათმები,
რომელთაც მშვეებრ
ციცინათელას ოქროსფერი თვლებით და შუქით
მოოჭვილი პქონდათ ფრთები და ყელ-კისერი.

ვნახე მდინარის და ქალის გრფობა,
ვნახე საათი შათი შეობის;
ორივე საფოს მოწაფეს შგავდა, -
ჯერ ის კოცნიდა, მერე მდინარე,
მერე კელავ ქალი სადაფისფერი.

მე ვნახე ფშანი - აბრეშუმის შვიდფერი ნაჭრით,
ვნახე ენძელა, ყოჩივარდა მეწაშული ოქროშკედით და დიადემით,
ვნახე ჭაობი ხუჭუჭთმიანი,
ვნახე თართივით ქონიანი დამის ღრუბელი,
ვნახე ჩარჩოდან გადმოსული ნატურშორტივით
შთის კალმახი და ველური ბროწეულები,
ვნახე შინდორი შგალობელთა და შწიგნობართა
და შწირივით იქვე ავტირდი.

ვნახე წაჩხურის ეკლესია, რამდენიმე
წმინდანის გვერდით იოანეს* შოეკარი თვალი,
ვნახე ჭაბუკი ედემის წყარო, - ანგელოშის
კაშკაშა ცრემლით.
გაფხედე შთიდან საქართველოს შინდისფერ რუკას
და ვთქვი:
აი, აქ უნდა დაეფახლო,
აი, აქ უნდა ჩაფყარო ძვლები.

ციდან ციური შომუხშა ხმები:
აშინ!

თეთრი ვიორგისაღმი

ნეგარ არიან შორწმუნენი!

თქვენი სული ცხონდა!
ღეღოფაღი ცხონდა!
უფლისწული ცხონდა!
ოი და, შთვარისფერო,
სიყვარული ცხონდა!

აშინ!

იღორის წმინდა ხატი გფარავდეთ,
იღორის-წმინდა სეფდა გფარავდეთ,

* იგულისხმება იოანე შინწი - პოეტი.

ილორის წმინდა თვალი გვარაუდეთ,
 ყველა ეამის და ადგილის ხიზანი.

ის თეთრი ხარი შენი წყალობაა,
 ის ეაზის ჯვარი შენი წყალობაა,
 ის კერცხლის თასი შენი წყალობაა,
 თეთრო გიორგი!

ამაღამ ცაში მისხვალ, გიორგი,
 ამაღამ ღმერთთან მისხვალ, გიორგი.

ამაღამ დიდი ღამე იქნება,
 ამაღამ დიდი ომი იქნება,
 ამაღამ დიდი შეხი იქნება,
 ამაღამ ქვეყნის ყველა ურჩხული
 შენი მოსისხლე მტერი იქნება,
 თეთრო გიორგი!

ამაღამ შენი რკინის ბოძალი
 საღ გაფრინდება, ნეტა, გიორგი?

გული რო ისევ საგულეს ჩადგეს,
 აიღე შენი თორი და შუნი,
 აიღე შენი ფოლადის შუბი
 და ბნელი სძლიე.

ჭექა-ქუხილის დიღო ბაგონო,
 ქუფრი წვიმების ძველო პატრონო,
 გაჭირვებულთა მწყემსო მთავარო,
 მოგვეცი შენი სახელის წვიმა,
 მოგვეცი შენი ქარი და ელვა,
 მოგვეცი შენი სახელის შეხი,
 მოგვეცი შენი ძალი და ნება.

დალოცე ჩვენი ფუძე და ჭერი,
 ჩვენი ბაი და ნალია ჩვენი,
 ჩვენი ეენახი, მარანი ჩვენი,
 ჩვენი ხასი და ხავერდი ჩვენი,
 ჩვენი თაფლი და სანთელი ჩვენი,
 ჩვენი ოქრო და ლაქვარდი ჩვენი,
 თეთრო გიორგი!

ყოველი დილა იქნება შენი,
 ყოველთა ღოცვა იქნება შენი,
 ყოველთა გული იქნება შენი,
 თეთრო გიორგი!

შენი წყალობის წყალობით ვივლით,
 შენი სახელის სახელით ვივლით,
 შენი სინათლის საყდარში ვივლით, -
 თეთრო გიორგი!

შიში

როცა ვკითხულობ ოვიდიუსს, პეტრარკას, დანტეს,
სადაც არ უნდა ვგრიალებდე, არა ვარ მარტო!

ო, ჩემო მგრედო, -
სასთუმლის ვარდო,
სადაც არ უნდა ვგრიალებდე, არა ვარ მარტო!

როცა არაფი
ბრენდივით მათრობს,
სადაც არ უნდა ვგრიალებდე, არა ვარ მარტო!

ვკითხულობ საფოს,
ვკითხულობ კატონს,
სადაც არ უნდა ვგრიალებდე, არა ვარ მარტო!

.....
როცა თავს ჭრიან სააკაძეს, სტიუარტს, დანტონს,
მე მეშინია, არ დაერჩე მარტო!

კომპოზიცია ემილი დიკინსონის პორტრეტისათვის

კარებთან უკვე ფეხისხმა ისმის,
კარები უნდა გაიღოს უკებ...
კ. დიკინსონი

შენს სინათლეში ვმოგზაურობ,
შენს უგვირგვინო სამეფოში,
შენს ბაღთან ვღაგავარ, - ოქროსფერი კაკლების წიაღ.

შენ აქ ხარ სადაც, - აღისფერთან, მშისფერთან ერთად,
შენ აქ ხარ სადაც, - ლოყებწითელ მარწყვებთან ერთად,
წაბლის ხეებთან, ვერცხლისთიმიან არყებთან ერთად,
ჭრიჭინობლებთან, ფრინველებთან, ქარებთან ერთად.

შენ აქ ხარ სადაც, - სიცოცხლესთან, სიკვდილთან ერთად.

რომელ ღრუბელზე გეძინა წუხელ,
რომელ ვარსკვლავს ეზურჩულები?
ის თეთრი ლედი თეთრი კაბით შენა ხარ, ალბათ,
ის თური გელი, - ყვაილივით ნაზი გერფებით, - შენა ხარ, ალბათ,
ის ვარდისფერი ხილაბანდიც შენია, ალბათ.

სად ეშურები მარტოდმარტო?
ვის უცხო ხმას და ცხედარს მისტირი?
რა ხედა ფრთონავს, ნეგა, შენს გულში?

ის მარმარილო, ის წითელი გრანიტი მიყვარს,
ის შავი ცხენი, ის უხორცო მხედარი ღამის,
ის ძველი რანჩო, შენ რომ დატოვე ერთხელ.

ყვაილწულივით ღამაშია ამპერსტის კოშკი,
ამპერსტის დილა, ღრუბელი, ნისლი.

შენს სიმარტოვეს ვუფრთხილდები,
შენს წმინდა ცრემლებს, - ობოლ მარგალიტს,
შენს დიადემას, - ეკლის გვირგვინს,
შენს აღმოღებულ მშვს და მარჯანს, - უფლის საგანძურს.

ნუ დაპირდები გულს და თირკმლებს ღამეს, - ლეოპარდს,
ნუ შეკრავე ბაგეს - ვარდის სარკოფაგს,
ნუ გასვათ ძელზე ცხაღს და ოცნებას,
ქალი ხარ, მთვარე შეინაბერა... და პერანგი გაღნება განმე.

არ გაუჩერდე სიკვდილს არასდროს,
არ შეაშველო ხელი აღსასრულს,
მხოლოდ გვინით და სისხლით იგრძენი.

არ ენდო უცხო თვალს და ქერუბიმს,
არ გახსნა განძი, - ცრემლით მორწყული,
ო, ვიდრე შეცად არ აფრინდები,
ვიდრე მშესავით არ განათდები.

შენს სინათლეში ვმოგზაურობ,
შენს უგვირვინო სამეფოში,
შენს ბადთან ვღგავარ, - ოქროსფერი კაკლების წიაღ.

ჩარჩო შერვაშიძის პორტრეტით

თეთრი ყელ-კისერი. თეთრი კაბა. თეთრი ხელთათმანი.
თეთრა პირბაღე. თეთრი ცხენი. თეთრი საყდარი.
მხოლოდ გული ბროწეულის ყვაილისფერი.

თეთრი ველი. თეთრი ბინდი. თეთრი ღრუბელი.
თეთრი ხავერდი. თეთრი მტრედი. თეთრი კოტეჯი.
მხოლოდ ბაგე ბროწეულის ყვაილისფერი.

თეთრი ნაშქერი. თეთრი ბაღი. თეთრი სარკმელი.
თეთრი ჰაერი. თეთრი ვალსი. თეთრი აკორდი.
მხოლოდ გული ბროწეულის ყვაილისფერი.

თეთრი ვილა. თეთრი კიბე. თეთრი დარბაზი.
თეთრი რაველი. თეთრი ბრაშსი. თეთრი როიალი.
მხოლოდ ბაგე ბროწეულის ყვაილისფერი.

თეთრი ალი. თეთრი ბაფთა. თეთრი მაქმანი.
თეთრი მშე. თეთრი ტუტე. თეთრი ნექტარი.
კედელზე ჩარჩო შერვაშიძის ძველი პორტრეტით.

მკედართა ქალაქი

ლიბლოგი

ჩვენ ბილიკ-ბილიკ ზღვაზე ვეშვებით.

„როცა სიკვდილზე ვიწყებ საუბარს
ყელი დოქივით მიშრება უცებ.“

ის შაოსანი მანდილოსანი კომანდორის ქვრივია, ალბათ,
ის წია, მუნჯი ბერიკაცი, - მშვერავის შამა,
ის მკედარი ნუკრი, - მეგობრის ბაეშვი,
ის შაეი ჩონჩხი, - მკედართა ქალაქი“.

ჩვენ ბილიკ-ბილიკ ზღვაზე ვეშვებით.

„კიპარისები და ქალები ერთმანეთს ჰგვანან
ფერით, სიმშვიდით და სურნელებით, -
თითქო ტადრიდან ღვთისმშობელმა გამოიხედა,
თითქო შაბათის იწყება მესა,
თითქო ფოთოლზე დაცურდა სხივი“.

ჩვენ ბილიკ-ბილიკ ზღვაზე ვეშვებით.

„ოდესღაც ქალებს ვუკვარდი ისე,
როგორც ღამაში კვიცი უყვართ ვერდის გოგონებს.“

.....
თითქო ველური თაფლის მდინარე გადადიოდა ალისფერ გულზე,
თითქო მთვარე დნებოდა სარკმლით,
თითქო ყაყაჩო ცეკვაავდა ველზე,
თითქო სხეული მიპქონდა შორევეს“.

ჩვენ ბილიკ-ბილიკ ზღვაზე ვეშვებით.

„იწურებოდა ენკენისთვე, -
შემოდგომას და მაგნოლიას ერთნაირად გახსნოდათ ბაგე,
ყავისფრად თრთოდა ფორთოხლის ჭალა,
აბანოზის ხე და აბრეშუმი“.

ჩვენ ბილიკ-ბილიკ ზღვაზე ვეშვებით.

„ხოხობი ყველგან ხოხობი არის, -
საულაფის ქვასთან, აკვანთან თუ სამოთხის კართან“.

ჩვენ ბილიკ-ბილიკ ზღვაზე ვეშვებით.

ლებარღე

ლიბტიჟი
აბელს

I.

ორი პოეტის გადია, ორი ლომკაცის ძიძა,
გაზაფხულამდე წყალივით ქვის სკამ-ლოგინზე გძინავს,
მოვკვდები? - გადამაყარე შენი წითელი მიწა.

ვიცოცხლებ? - შენთვის ვილოცებ მთელი მამთარი, უქმე,
ჩემი თვალებით აგიტან ჩემი ცრემლების ბუჩქებს,
მოვდივარ, აი, მოვდივარ... გახსლოვდები უკვე.

II.

დიდიდან ფსალმუნს მიკითხავს ჭყონდილელების მართვე,
ვით მეფეთმეფე დაეთის კეთილმოწყალე მნათე,
ო, ნუ ჩამიქრობ, უფალო, საფერისცვალო სანთელს.

ოღონდ გახსოვლე ეამიეამ, ოღონდ გიყვარღე ისევე,
კაცი ვარ, გამიხარღება... ძელზე დაგიღებ კისერს,
ეროს შემოგხეღავ უეცრად... და გაენათღები მშისებრ.

აღღებები, ჯოგს მოვაშენებ, ცხენს გავაჭენებ თავქვე
და ძველი აზნაურივით აქ დავსახღლები საღმე.

მარტი - თვითმკვლელობის თვე

უნაყოფო ქალი, - უნაყოფო მშე.	უნაყოფო მთვარე, - უნაყოფო წრე.
უნაყოფო ვაზი, - უნაყოფო ძე.	უნაყოფო სევედა, - უნაყოფო გყვე.
უნაყოფო დილა, - უნაყოფო რმე.	უნაყოფო ბაღი, - უნაყოფო ბრკე.
უნაყოფო კაცი, - უნაყოფო სვე.	უნაყოფო ყანა, - უნაყოფო ბზე.
უნაყოფო მიწა, - უნაყოფო ხე.	უნაყოფო ეზო, - უნაყოფო ბჭე.
უნაყოფო ღამე, - უნაყოფო ღღე.	უნაყოფო კორდი, - უნაყოფო ღრე.
უნაყოფო კვირა, - უნაყოფო კღღე.	უნაყოფო მარტი, - თვითმკვლელობის თვე.
უნაყოფო შუბლი, - უნაყოფო შრე.	თვითმკვლელობის თვე, თვითმკვლელობის თვე!

ნაძვი - მონასტრის არქიმანდრიტი

პოეტი:

მთაში ვართ,
ტყის მურმუხბისფერ სამთავროში.

ქადაგი:

აქ არის ყველა გომის ბელადი, -
მუხა, კედარი, წაბლი, წიფელი,
აქ არის ყველა მხარის მოზარე...
გარდაიცვალა წუხელ ინფარქტით
ნაძვი - მონასტრის არქიმანდრიტი.
დიდი ხანია ველოდით სიკვდილს,
ვმაღავდით ცრემლებს,
ვმაღავდით ნაღველს,
დიდი ხანია, ვით ძე კაცისა,
იყო საწუთროს ღამისფერ ხელში.

- გაფხუმდეთ... გაფხსნათ მოწესეს ფუთა,
გაფშალოთ ჩვენი ვარაპის წიგნი,
ვით წესი ითხოვს და სინამდვილე
ვითქვათ: აჰაჰაი, ავაი-ვაი!

საფლავად პქონდეს წანხურის მიწა,
სასთუმლად სოფლის ღრუბელი ლურჯი,
საბნად ლაფეარდის მკერდის ნაჭერი
შარხულის ხელით ამოყვანილი,
სახსოვრად ჩვენი დისა და ღედის
ცრემლით და იით სავსე ფიალა,
შვიდი დღე მშვიდად ეძინოს... მერვე
დღეს გაფუყენით სულითის შარას.

პოეტი:

მზე არამხუტუს ყვავილს მოჰგავს მონასტრის თაევზე,
შენ - წმინდა ნინოს მწუხარე სახით.

• ვით დიდი მეფის ორმოცი კუბო, -
მთა-მთას მიჰყვება... და მისდევს ხალხი
საკუთარ სიმშარს და ისტორიას.

აი, აქ ჩვენი წარსული დადის.

კომპოზიცია ფესვებზე

მინდა ფესვებზე გელაპარაკოთ,
ქალის ფესვებზე,
კაცის ფესვებზე,
ფლორას, ფაუნას ნამდვილ ფესვებზე.

აი, ფესვები ბაგრაგოვანთა, -
გრემი, ვარძია, ხანძია, ხახული, -
წარსულის ალი ცადალშავალი.

აი, ფესვები ათასწლოვანი, -
მუხის, კოპიგის, ვაშის, უროხელის.

აი, ფესვები სიყვარულისა, -
ვაუტაცინია წიფელს შინდი წითელპერანგა,
ნაძეების მრუმე მინარევეში ბუბნის დათვივით.

ხოხობი კაკაბს უმის ბუღეში, -
ჩუხუხებს სისხლი კეთილშობილი.

ლერწაში ალვას ენარგიშება, ვით ბალერინას ბაღის მამალი.

ფესვები - ჩემი კარდიოგრამა, გულის ბაღე და არტერია,
დეკადაცის ხელის რუხი შტეკანი.

ფესვები - მიწის ორატორია, შუადღის შუქი აყალყუელი,
ძლევაშოსილი შამრის სიმღერა, გულდაკორგნილი მთების გუგუნი.

შეკითხებთან:
ვისი გორის ვარ?

.....
მთიარის, მასქურის, მშის შეილობილი.

არ აგერიოთ ორბი ძერაში,
მიმინოს ქროლა ჩიგის ფრენაში.

არ აგერიოთ ძელქვა თხშელაში,
მძინარე მგელი წითურ შელაში.

ამბოხი, ჯანყი ბორგავს ფესვებში, ვით პალატებში სისხლი შეფეთია.
ფესვები - ჩემი ვეფხვის პოემა, დრაჰმა, ოქტავა და გრაგვლია.

ფესვები - გენის პარმონია, ალისფერი ღვინო მკათათვის,
გაბშული სიმი ვიოლინოსი.

ფესვები... ჩემი ფესვის ფესვები!

მანანა ამირეჯიბი

არის ერთისა წამისა

- მარხ, კარი გააღე, ვიცი, რომ დაშინახე, თვალი მოგკარი...

- რა გინდა!

- ბევრი რამ მინდა, შემომიშვი...

- რას ჩამაძიედი, ვინ გითხრა, დაკეცილიაო... რას გაშეშებულხარ, დაჯექი.

- სანამ ქუჩა ამოვიარე, აკაციებმა გამაბრუა, თავი ამტკივდა...

- ეგ ფარდა მგონი ხუთი წელია არ გადამიწვია, ვინ გეკითხებოდა, გააფარე ისევე.

- კარგად უნდა დაგინახო ყველაფერს რომ მოგიყვები, შენი თვალები მჭირდება...

- იტყვი თუ არა, რა გინდა, მაგ სკამზე ნუ ჯდები, ფეხი აქვს მოგხილი.

უმანქანოდ რაგომ მოხვედი, აღარ გაქვს?

- ხელოსანთან დაეგოვე, საღამოს მზად იქნება. სათქმელი კი არა, მოსაყოლი მაქვს.

გუშინ დილით ფანჯრიდან ვიყურებოდი, ასფალტზე პირქვედანარცხებული მტრედი და-

ვინახე. მის მოთეთრო-ვარდისფერ სხეულს ნაღვლიანი კონტურები ჰქონდა. ნისკარგი

გამზიდ ფრთაზე ეღო. თვითმკვლელს უფრო ჰგავდა, ვიდრე მოკლულს. ვინც კი დაინახა,

ყველას ეცვალა გამოშეცყველება და თანაც როგორ, შეცხუნებით!

მის ადგილას სხვა სულდგმული გამოიწვევდა შიშს, მიმღს, სიბრაულეს, მაგრამ

ალბათ, არ შეგაცხუნებდა, ამ გრძნობაში საკუთარი დანაშაულის წილიც ურევია, რაგ-

ომდაც მისი შემშურდა. მე მინისგრის ცოლი ვარ, ხალხის თვალში უსულო, კმაყოფი-

ლებით გაფუყული რუმბი. ტკივილი ხომ სულის თვისებაა, მე კი, რადვანაც სული არ გამაჩია,

არც ტკივილი ვიცი. აიღე ცარიელი სხეული და ურცხვი ურო, ძალიან არ გაიფოს! ძლივს

არ გაგაღიმე? რომ მოვდიოდი, ვფიქრობდი, რა იქნება, აღარ უწოდეს-მეთქი. გუშინ

თანამშრომელმა მითხრა, რა თავი-პირი ჩა-

მოგტირის, ნეგატი შენს ადგილას ვიყო. რომელი ადგილი გინდა, გურამის ცოლობა

თუ მინისგრისა-მეთქი. ვიცინეთ. რას ეწვევი

მაგ საშიშროებას, ყარს საშინლად. მართია-

ლია, ვოცნებობდი, იქნებ თავი დაანება-მე-

თქი, მაგრამ სიგარეტი მაინც გიყიდე. სუნიც

კარგი აქვს და ნიკოტინიც ცოცხაა.

- სუროგატები შენთვის შეინახე. მე ყვე-

ლაფერი ნაღვი მიყვარს. გინდაც ყარდეს.

გეტკინა? ხომ ხედავ, სული გქონია. იცის

გურამმა შენს ტკივილებზე რამე თუ როგორ-

ცხვევია „სულის დაშეშე“ მაღავე ყველა-

ფერს.

- დილას ვაწყვინებ. მერე ჩემმა სისახე-

კემ შემაწუხა, თავს ევლარ ვიჭერ, ამაწეწა

მთელი სამყარო.

- კი გეხერხება სხვისი დამცირება. რას

მიყურებ, იქნებ მართალი არა ვარ...

- ყოველ შემთხვევაში, შენთვის ამის

თქმის საფუძველი არ მომიცია.

- შენ არა თქვი, მე ისეთ ფუნას ვეკუთვნი,

რომეც არ ვიზარებლე ამ პრემილენგის პო-

ტიგისას, მაინც მისი მომხრე ვიქნებო?

- მარხ, შენთან პოლიტიკაზე სალაპარა-

კოდ არ მოვსულვარ. ამ წუთში ვერც

პრემილენგი მიშველის და ვერც ვინმე სხვა.

შენ, ეგეობა, „ფენაშ“ გაგაღიმინა. მე ეგ

შენთვის არ მითქვამს, ვისაც ფუთხარი, ღი-

რსი იყო. მოურჩევი ამაზე ლაპარაკს, ნუ ავიწე-

წავით სულს.

- ეგ უკვე ორჯერ ვითქვი. რა გინდა, ყა-

ვა? შენნარს ვერაფერს ადუღებსო, მეუბნებო-

დი. ფაფუ! არა მაქვს. ოფლის წამალს ვაკეთებ

და ნახევარი პურის და „პრემის“ ფულს

ძლივს ვმოკლავ. თუ ნათესავსა და მეგობ-

არს ჭირსა და ლხინში გვევლიდით ვერ დაუდ-

გები, რაც გიყვარდა, იმას ევლარ აკეთებ,

ცხედარი ხარ, სხვა არაფერი. რამდენი წე-





ლია, ყვაილები არ მიყვით... რაგომ ახსენე წელან სულის აწეწა, ბავშვები ხომ კარგად არიან. ამას რას ვხედავ! მოწვევა დაიწყო? რაშია საქმე, თქვი და წადი. ყავა მოიგანე? ნამცხვარი? კარგი, ყავას დაგალევისებ და შერე მშვიდობით. აი, რა მიქნა, შენმა პრე-მიდენტმა, დადანი და ჩამოვხში.

- შორში, მარეს, გოგლი-მოვლსა და შო-კოლადიან კარაქს პრემიდენტები კი არა, ქმრები აკმევენ ცოლებს. ვისაც ქმარი არა პყავს, შენსავით თვითონ გააქვს თავი... რო-მელი ცეკას მღივანი ვიგზავნიდა შექვეარ-მოსრაკულებს, ნევაი...-

- რა დაწერე გაზეთში? ეს ოკეანეების კაცი, მივეთ სამუალება, როგორმე გბორ-მიც გაინძრესო. ვითომ გბორში ვინ იგული-სხმე?

- შარმე ნუ ხარ. მშვენიერად იცი, გბორში ამეამინდელი ჩვენი ქვეყანა რომ ვივლისს-მე. თუ მაინცდამაინც ვინდა, ის ჩქარი მდი-ნარების იყო, სამწუხაროდ. ყვაილებად კიდე, აკაციის გოგებიც გამოვლება, სილა-მაზე აკლია თუ სურნელი. რაც შეეხება ბავშ-ვებს, ნუნუკი კარგად არის, მინდია კი, შენი ნათლული... დაჯეკი, დაჯეკი, ყველაფერი რიგზე... ჯერჯერობით...-

- რა ხმა გაქვს, ქალო, მოუკვიდ შენს პა-ტრონს, ფეხი მოგვხიდა და აქ არ მოსული-ყავი. ახლა წნევა ამიწვეს. მინდია... მინდია... რა ჩაიხვიე. ვიფქერე, გული...-

- კარგი, ნუ აბრიალებ თვალებს. ახლა ყავა მოადუდე, დანარჩენს სამშარეულოში გეცხვი.

* * *

- პო, თქვი, რამ აგიწეწა სული. საყვარე-ლი ხომ არ გაგიჩენია ამ კლიმაქის პერი-

ოდში. რას იყინი, ზოგმა იყინ.

- ან-მა, მარეს, თავხედმა ან-მა ამირია ცხოვრება. გადმოდის! გადმოდის!

- ფუჰ! გადმოვიდა და ვე არის. დალევ უქაფოს, თავში ქვა იხალე.

- ჩამეხუტე, მარეს, მომენაგრე, ჩემო ოქ-რო. შენი ჯაჯლანი საშინლად მაკლდა. შოდი, გადავკონნოთ ერთმანეთი, ჩემო. არ იგბრო, თორემ მოვალეც ცრემლის ნიაღვარს და დილაძდე არ გავჩერდები. მიშენი ბევრი მაქვს, მე კი არა მყალია. ათახი რამე მაქვს მოსაფიქრებელი და მოსასწრები, დრო კი მხოლოდ ერთი კვირალა დამრჩა.

- ჩიგივით გვიგინდ გოგმე ნუ ხგუნავ, დალაგებით მოთხარი ყველაფერი. ყავა წამო-ილე, მე დამეღვრება. ან-მა რალა ოხრობაა, თავხედი ვინდა... ხომ ვითხარი, მაგ სკამზე არ დაჯდე-მეთქი. მოვიხილება. კინლამ ცხვირ-პირი დაილეწე... იდაყვი გეცქინა? ცოც გილოს დაგადებ. კიდე კარგი, ჯერ ყავა დადე.

- არა, არა, არ მინდა, არ მტკენია. რამდე-ნი ხანია, ერთად არ ვეყინია... პოლა, გეცყვი, რომ ან-მა არის „ან“. ერთი შეხედე, რამხელა ქარგხილებს შეიცავს ეს ორასოიანი დაწი-რაკი სიგყვა. სიციხელე ან სიკვლილი, სიყვარ-ული ან სიძულვილი, ერთგული ან დალა-გი. ცალკე ა-ს ჯვარი სწვრია; თუ გცივა ან გშია, ან გეშინია, იცხოვრე შენთვის თბლად და მშვიდად მის უბეში. თუ სურვილი გაქვს, მიდი, ბაგონო, აპყევი მის აღმართს, შერე ვინდა ოცნების ცაში აფრინდი, ვინდა მშო-ბლიურ მიწაზე ჩახტი, სრული გარანგით, რომ მისი სიმადლიდან კისრს არ მოიგებავ. თვალეში გაგყო, შენც მოგენაგრებივარ და ისე ვიყვარვარ. აღლიე ყავა, გაგიიყ-ვება, ნამცხვარიც მიაყოლე. ეს ნახაგი როდის გაჩუქა მინდიამ, მე რომ არ ვიცი...-

- განაგრძე თუ ქალი ხარ, ისეთ რადაცებს ამბობ, მგონი ცოგა... პა? რა ვაყინებს ნამდივლად გაგიფრენია. მერე, მერე...-

- მერე ენახით ეს ბოროტი ნ, დამთრგუნ-ველი, დამშარხველი. სწორედ მან ჩამოვლო თთვის სივმეუვალ წრემ და გახაქანს არ მამძლევს. პატიმრად რომ გამოამწყვდია, ესეც არ იქმარა, პიგალო კედელიც აღმართა და ჭერიც დაახურა, თითქოს უამათოდ გამო-ღწევა შეიძლებოდეს. ვარ ახლა მის ჯოჯო-ხეთივით მღვარე შიგანში და საკუთარ ოფლში მადლურად ვეკურავ. ნუ, ნო, ნონ, ნიპგ, ნეგ, მაგრამ ჩვენი „ნ“ ძალიან სასტიკია.

საპარტვილო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

- რა ექნა, შენ მართლა ხომ არ... რაღაც უბედოლო გაგიბრწყინდა თვალები.

- არა, ნუ გეშინია, მთავართან ვერ მივდივარ და ღობე-ყორეს ვეღები... ახლა გამახსენდა, რომ ასომთავრულში ნ ასეთი სასტიკი არ არის, წრემოქმედი არა აქვს, მშვიდობიანია და მეტად საინტერესო. გამოსავალი მოიძებნე, თუკი საერთოდ არსებობს ასეთი რამ. ერთი გამოსავალი ხომ ყოველთვის რამდენიმე გამოუვალს გოვებს. მოკლედ, გურამს შენ უნდა უთხრა ის... ჩვენი დიდი საიდუმლო... ვგრეც ვიციდი, რომ უარს მეტყოლი, ისეთი სიგიჟე ჩაივლიდა თვალებში... შენ დაბეჯერებდა.

- ოცდახუთი წელია გივინობ და ახლა მიხვდი, მელა ბრძანებულხარ, ცბიერი.

- იქნებ ვგრეცა, მაგრამ სხვისი საქათმე არასოდეს დამიზრებვია და არც არავინ გადაიხსნისლავს.

- მაშინ გველი ყოფილხარ. აიხვევტ შენი მოტანილი ყველაფერი და წაბრძანდი აქედან, ყავაც არ დაგავიწყდეს. იუდა გინდა ვიყო, არა? გაცეც შენს სასარგებლოდ? მე რაღა ექნა, მეგობრის მოღალატემ?

- სხვანაირად არ დაიჯერებს და მინდია...

- ქალო, ვინა ხარ შენ, მართლა გავიციდი? მომწყდი თავიდან!

- ჩემად, მარცხ, ფიხოვ, ჩუმაღ... დაწყნარდი... მინდია სასწრაფოდ საოპერაციოა, ექიმმა მითხრა, გადაღება აღარ შეიძლებაო. აი, მაგის დამხატველი იქნებ აღარც გვეყავდეს. ბევრი ვიფიქრე, გურამი მე არ დამიჯერებს, ფანდი ვგონებდა. ნათელულისათვის გააკეთე, ჩემთვის კი არა. ხომ გაიგებს, რომ მოლაპარაკებული ვიყავით. მე თვითონ ვეცყვი, შენთან ერთად. ახალ ნახატებს ხვალ ნახავ. პო, მაგისთვისაც მოვდი, სამ საათზე გალერაჟში უნდა იყო, გახსნაზე. შეყვარებული ჰყავს, მშია, მშის სხვის ჰგავს. კარგი, ნუ გირი, მე წავალ, წავალ...

- „მე წავალ, მე წავალ“, სად სიკვდილში წახვდი! დაჯექი. დავუშვავი. ვუთხარი, ეს საქმეს უშუელის? რას მოგვიგანს ეს...

- ზევახ მეღვინიძეც საოპერაციოა. ერთი კვირა გურამს მაგიღაზე უღევს პრემიენგის წერილი - „გადაწყვიტე და მომახსენე“. ღიმიტი კომპოზიტორზეა დაშვებული. რამდენი ხანია მასთან ინტერვიუზე ვფიქრობ, თავი ვერ მოვაბი, ალბათ, მზად არა ვარ. ვახსოვს, რომ გამბობდი, მისი ცივი სიმშვიდე, გრივალის შემდეგ რომ იყის, გამოპრდალსა და

დაფხაჭნილს ჰგავს-მეთქი. რაღაცები გავიგე, მგონი, მართალი ვარ. გურამს ვეუბნები, ახლა სააკაძის დრო არ არის და არც პაპაგოზაა საჭირო, სთხოვე პრემიენგს შეიღისთვისაც-მეთქი. შევვბეჟე პირდაპირ. ერთიღება, ქვეყანა ასეთ ვასაჭირშია, ორი ოპერაციის ფულის წართმევა თაფელობააო. ზევახმა თავისი საქმე გადაკეთა, ლამის მთელ მსოფლიოში უსმენენ მის მუსიკას, თავიც გააცნო ყველას, მაგრამ შედეგებს უკვე ვეღარ შექმნის, სამოცდაათი წლისაა; მინდია ოცდახუთის არის, დიდი მომავალი აქვს, დადასტურებს, რომ ეს გასოცლადეებული ქვეყანა ნიჭიერთა პატარა კუნძულია ოკეანეში-მეთქი. მოკლედ, რა მახატველი შედარებები არ ვისმარე, კატაც ვიყავი, ვეფხვიც და ძაღლიც, ვერაფერს გავხდი. მგონი, ეჭვი აქვს, მაინც ღრდნის გვეის ჭია, მისი შვილია, თუ არა. რომ სწამდეს, მისი საკუთარია, ალბათ, წავიდოდა ამ ნაბიჯზე. რა ექნა, რა...

- ნენე შეუჩინე, ნენესთვის ხომ აბნევს სულს.

- ნენუკიმ ჯერ არაფერი იყის. წავედი. კარგად იყავი. როგორც შეძლო, ისე მოიქციე, მაინც მიყვარები.

- შენ არც ვეფხვი ხარ და არც კატა; რაც ხარ, ის გამოიყენე - გველუკა, და ყველაფერს მიაღწევ. გამოუენაზე გნახავ.

* * *

- დედა! უნდა გაკოცო! როგორ გამიხარდა შენი დანახვა... მშობლები და შვილები ერთმანეთს ხომ იშვიათად ხვდებიან ქუჩაში, ალბათ, ამიტომ გამიხარდა. სად იყავი?


- მარეხთან.

- მართლა, დედა? როგორ არის? რამდენი ხანია არ შემევიდა.

- არა უშავს. მოგიკითხა, აკოცეო.

- ჰოდა, მაკოცე, დედა, მაკოცე რა. რაზე ფიქრობდი? გროლიბუხიდან დავინახე. მე ჩამოსვლაც მოვასწარი, დაგეწვი კოცე. შენ კი ისე იმ ავჯილას დგახარ და ქოლგის გაშლაც დაგეწვივია, დასველებულხარ. იუდ გუნებაზე ხარ? წარბებზეა ნაოჭი ჩაგდრმა-ვებიდა... მოდი, კაფეში შევიდი, მე გუპატიევი.

- შევიდი. ერთი საათი დრო მაქვს, მერე მანქანის ხელოსანთან მივდივარ. ჩემო მშვენიერო ნენუკი, მირჩევნია ენებლას ჰგავდე და არა ვარდს. ვარდობასაც მოესწრები. მედმეტე ფერები სრულად არ გჭირდება, სინდელე აღარ გეცყოდა, მით უმეტეს, რომ



მე მგაფხარ და წარამპარა წითლდები.

- ყაფა და კიდევ რა გინდა, ღედა, ფორ-
თოხლის წვენი თუ ლიმონის ნაღები.

- ფორთოხლის... მხიამოვნებს, რომ გიყქუ-
რი; კარგად მოძრობო, ჭიქები ყვაილებივით
გეჭირა. ისევ წვიმს... აი, ის სახად, რაც მა-
ხსოვს, სამჯერ გადაღებეს. სკოლაში რომ
დავდიოდი, ცისფერი იყო, მერე გაამწვანეს,
მერე გაათეთრეს, ახლა ნარინჯისფერია
და აღარ მომწონს, გამომეყველება დაე-
კარგა.

- დე, ნეტავი მენახე, სკოლაში რომ დადი-
ოდი, მაშინ. შენთან ყოფნა მიყვარს, მინდა
შენნაირი ვიყო, ძლიერი და ალერსიანი და
შენსაბოლო საინტერესო ცხოვრება შეინდეს.
საიდუმლოდ გეგვყვი, მაშინკო და მინდა
არ უთხრა, ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ.

- მე კი არ მინდა, რომ მგაეღვე. მინდა,
უდარდელად ცხოვრობდე, ბუნდური იყო,
იმ ალუბლის ხესავით წარმგაცი...

- რა მოგივიდა, ღედა, რატომ გაქვს ეგე-
თი ხმა? შენ რა, არა ხარ ბუნდური? მაშინკო
ხომ გიყვარს!

- როგორი გაცივებული ხარ.

- ღედა, რაზე ფიქრობდი?

- წელან მაგ შეკითხვას მექანიკურად
იმეორებდი, პასუხი არ გახებურებდა. ახლა,
ეგვგოდა, უპასუხობას ვერ შევტლებ. ბევრი
ვეწამე, უთქმელობით ვეწამე...

- ღედა! შენ, მედეა უზნაძე, ეწამე? ასეთი
ამაყი და მნიშვნელოვანი? მაშას ხომ ყვარ-
ხარ. გახსოვს ვერცხლის ქორწილზე როგორ
აგახსნა სიყვარული.

- ყოველდღე მიხსნის, მაგრამ ყორნის
ჩრდილივით და ყრანგალივით რაღაც დას-
ევს ჩემს ცხოვრებას.

- ღედა, ვინ არის „ასეთი“?

- ვერ მივხვდი...

- „თუ ოცნებები, ციდან ტვირილას თოვს,
მშემ უნებურად ქარიშხალს შეატოვა, თუ
იმელები - ღიღი თეთრი ცხვრის ფარა, მენმა
დაპანგა, დიმილს მშვიდსა და ალაღს,
სულის დამეში ის არასოდეს მალავს“, „ის
ასეთია“, ვინ არის, ღედა, ასეთი, მაშინკო?

- მაშინკო, რას ეძებდი ჩემს უჯრაში?

- მგერაკას. პირადობის მოწმობის ასაღე-
ბად დამჭირდა. ღედა, ვერ ვიგან, როცა არ
მეფერები. „რას ეძებდი ჩემს უჯრაში“, ჩემ-
თვის იფიქრა, რაც „რად მოიპარე ფული“. მაშინკო... ღედა, შენ ვინმე გიყვარს? რა გა-
ცინებს, გინდა კითხვა ბანზე ამიღლო? როდის

დაწერე ეს ლექსი?

- დიდი ხნის წინათ. ეძიებდე და პოე-
ზიკო, გეყვალდა კი არ უთქვამთ. მაგ ლექსში
ვინმე სამიჯნუროს თუ დაინახავდა, ვერ
ვიფიქრებდი. მინდა იცოდეს, არასოდეს და
არაფერს მყვარებია მამაშენის გარდა.

* * *

- ნენე, მოხდა რამე?

- შენ ყველაფერი უნდა შემაგყო? როგ-
ორი მკაცრი ხმა გაქვს და შემოთიებული
თვალები...- შენ კიდევ აღელვებული ხარ
და შემინებული. ვინმე აგეკიდა? მითხარი.
რატომ იშორებ ჩემს ხელს?

- დედაჩემია ქალაქში. წელან კაფეში შე-
ველით ყავის დასალევად და იქ მოხდა...

- თქვი, რა მოხდა!

- დაწყნარდი, ყველაფერს მოგიყვები...
ყავას ვსვამდი. ვიდაც თეთრად ჩაქმული
ჭოკივით კაცი დაგვადგა თავზე, შამპანურის
ბოთლი ეჭირა, ნება მომეცით, ერთი წუთით
თქვენს მაგიდასთან ჩამოვჯდო, ცუდი რუ-
სულით გვითხრა. სანამ რამეს ვეგვადიო,
მოკალათდა. მოხილული ვარ თქვენი სილა-
მამით, მინდა ორი უმშვენიერესი ქალის სა-
ღვგრძელო ვთქვაო, ახლა ინგლისურ-ქარ-
თულად გვითხრა, თან მახვილიანი „გუნა-
ცვალე“ დააყოლა. დედაჩემი ცივი ზრდილო-
ბით უყურებდა, უეპოციოდ. საიდან ხართო,
რუსულად ჰკითხა. კალიფორნიიდანო. მე ინ-
გლისურად ვკითხე, ძირ-ფესვით იქაური
ხართ-მეთქი? ერევანში დავიბადე, უმაღლესი
თბილისში დაეამთავრე, თხუთმეტი წელია
კალიფორნიამში ვცხოვრობ და საქართველო
ჩემი სამშობლოაო. მედეამ მითხრა, გადაუ-
თარგმნე მაგას, ძალიან გაცივებული ვარ,
როგორ და რატომ მოხდა, რომ ერევანში
დაიბადა, თვარამეტი წელი იცხოვრა, თხუთმე-
ტი წელია კალიფორნიამშია და სამშობლოდ
მაინცდამაინც საქართველო მიაჩნიაო. მეუხე-
რებულა ასეთი კატეგორიული შეკითხვის და-
სმა, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე, დედამ
იმდენი ინგლისური კი იყის, გაიგოს, ვინ
რას ამბობს. აბეჩხრიკი, ეს მედეას ლექსი-
კონიდანაა, აიფხორა და თქვა, მე მეგონა,
გაგახარდებოდათ და მაღლობას მეგვდიო-
თო. მაღლობა შენ თქვი, სამშობლო რომ
გქონია და მთლად კოსმოპოლიტად არ დარ-
ჩენილხარო, მედეამ. ადგა, მამ თქვენ ხართ
სეკულარითოყვარე ერთი? ხმაბაღდა მოუ-
ცია. „სამშობლოში“ სეკულარდ რატომ თვლით

თავს-მეთქი, ძლივს დავამთავრე თარგმნა და უცბად დავინახე, ვიღაც ტანმორჩილი ბიჭი ელვის სისწრაფით გამოფრინდა მომ-ორებით მღგაღრა მავდიდანი და როგორც კატა ხეს, ისე შემოახტა წელზე და წელიდან კისერზე თეთროსანი აყდაყუდას. შეორე წუთში ჩვენ უკვე ქუჩაში ვიყავით. დედას ვკითხე, მართლები ვართ, მოსარჩლე რომ მივატოვეთ-მეთქი? კიო, შედეამ, იქ ბორკილად ვიქნებოდითო. მე კი ანაშაულს ვერმნობ. დედაჩემი ბოლო დროს სხვანაირი გახდა, სულ შვითთავს. ისეთი შემოხედა იცოდა, თავი ჩველ მგონონა-ხოლმე, ოღონდ მიტკალში კი არა, სიყვარულსა და სითბოში გამოხეული. ამ ბოლოს, როგორ ვთქვა და, ავი თვალები გაუხდა, ცივი და ავი. ახლად განსაცდელში მივატოვეთ ქობაგი. შენ როგორ გგონია, შალვა, სწორად მოვიქცით?

- ვერეა. რომელ კაფეში იყავით?
- მშვენიერად ვიგრძენი, მეღა რომ გაგიგორდა სხაში. ახლა იქ აღარაღინ იქნება. თანაც გაღერეაში ხომ უნდა შევიართო და ვნახოთ, ხვალისთვის რა ხდება. შა, ვინემ რომ მაწყენინოს, რას იზამ?

- ორივეს მიგტყუავეთ. რას იცინი, არ გჯერა?

- არ მჯერა. ორივეს რაგომ, მე რა შუაში ვიქნება.

- იქნები. უმიმებოდ ვინ გაწყენინებს. გეპურე რაც შეეხება მეღას, ვაეა-ფშაველას აქეს ერთი აწკარი, შენზე დაწერა: „ქალავ, ის მიყვარს მე შენი, თავს რომ დაიღებ მე-ღადა“.

- შენ ექიმი კი არა, ფილოლოგი უნდა იყო, ისე გიყვარს პოეზია.

- ...და ნენუკი!

* * *

ანგი, დაეჩქი მანქანაში, შედეა ვარ, უზნაძე... კარი მიხურე და კარგად შემომხედე.
- ამ შუალამეს აქ რა გინდა. რას მგაფხარ და რა მოხდა!

- ცა დამეშხო თავზე, ორი ბარი გამოიტანე. კაცი გვყავს დასამარხი. არა, არ გავგიტეულებარ... ძალიან სწრაფად მოვიდილი. ათი კილომეტრის იქით გავიგანე. ბინდში ვერ შევინძნე. ოჰ, როგორ მცिया... ძალე გამოდია... ბუჩქებში ვეფართე. ერთი კვირის შემდეგ მე თვითონ მეგყვი, მანამდე არა... ერთი რაგომ მოიგანე, ორი გითხარი.

- სად მიდილი, არ მეგყვი? მუხრუჭები არ გივარგა, რაგომ წამოხვედი ამ სიმორეს.

- შიში მაქვს ვამადარი, ვერაფერს ვხედავ მინდაის დავაძინებდი-ხოლმე, მივჯდებოდი ფანჯარასთან, ვარსკვლავებს ვუყურებდი და გაუნებლად ვფიქრობდი ჩემს ავადყოფ ბიჭზე დაისვენე ცოგა და მომთყევი, როგორ ხარ, ჩვენი კლასელები როგორ არიან. მოდი, ოფლი მოგწმინდო. ვიგრძენი, როგორ გაწითლი. ნენუკი წითლება-ხოლმე, მე მგაფხე. უდანაშაულო კაცი მოეკალი, ოჯახი გაეანადგურე, გურამი დაეღუპე. ისევ ისეთი ხარ. მხოლოდ თმა გატყვევია ცოგა და ოღნავ გასუქებულხარ. სხვაგან რომ მომსვლიდა, მაინც შენთან მოვიდილი. ახლა არ შეიძლება, თავი რომ მოვიკლა; ვიფიქრე ამაზე, ახლა არ შეიძლება... ხომ დაძვოვრებ. პოლიციას ჩაგბარდები-მეთქი, წელან ვითხარი. ასე ხომ ქმარ-შვილს ტყვევის საღაბოდ გავხდი, სამუდამოდ შევარცხვენ. არა, პოლიციას არა. მე თვითონ... მე თვითონ. შენი დედაშვილი, ასმათი, სად არის, გათხოვდა? შეიღები თუ ჰყავს. მშობლები ისევ თელავში ცხოვრობენ? ცოცხლები არიან?

- საიდან გავახსენდა. პო, გათხოვდა. ინგურისგან მუშაობდა თარჯიმნად, ვიღაც გერმანელი შეუყვარდა და თან გაპყვა, ნიუნბერგში. შვილებიც ჰყავს. ილაბარაკე, არ გაჩერდე. მე ახლავე დავამთავრებ, მიწას მოეკეპნი და გოგებს დავაყრი. მშობლები სოფელ დილოში ვადასახლდენ, ვაეიშვილთან...

- არა, გოგებს ნუ დააყრი, ნურც მიწას მოტეკეპნი. გვიან იპოვიან, აღამიანურად დაკრძალვას მაინც ეღირსოს. სახეზე ვერ შეხედე. ნეგავი რამდენი წლის იქნებოდა? არც შენ შეგვიხედავს? მოხუცი იყო? ანგი, მოხუცი იყო? თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს...

- შედეა, დამშვიდი, კი არ კანკალეტი, ფართხალეა. რა გიყო, რა ვქნა... დგახარ და ფართხალე...

- მაგრად, უფრო მაგრად მომხივე ხელები, რომ ძლებდი მეტკინოს და სული ამოძივიდე. თუ ვერ იპოვე, შენ როგორმე მოახერხე... რაგომღაც თავის კანი მეწვის თმის ძირებში. მანქანაში დავსხდეთ. ბარს რა უყყოთ? წავილით და სადმე გადავავლოთ. ტარი კარგად გაეუწმინდოთ, ანაბეჭდები წაშალოთ, როგორც ფილმებიშა-ხოლმე. შენ წამიყვანე თბილისში. მე რომ წავიდე, ისე... ხვალ მინდაის გამოფენის ვახსნა. მანქანა, შენი

საბრალო ბიჭივით. სამ საათამდე რომ... და გაღვრებაში მისვლას შევძლებდე. მერე კი, ოპ, მერე...

- შედეგა, დამშვიდი, რა თქმა უნდა, წაგიყვან, მაგრამ ჯერ უნდა დაწინარდე, დღის სინათლეს მშვიდად უნდა შეხედე. დაჯექი, აი, ვერე. ცოტა მიიწიე, მეც დავეკეთი. ასე ახლა მხარზე დამაღებ თავი და დამიჯერე, ენაღე, დაიძინო. მხო, ვერე. მე კლასელების ამბავს მოგიყვები... ყველას ახსოვხარ, ჩვეულებრივად კი არა, ტკბილ-შწარედ. ის დღე, სკოლის დამთავრებიდან ოცი წლისთავს რომ ვეუბნობდი, არავის დაგიწყებია. მე შეპირად მახსოვს შენი სიგყვები, კაცები რომ დავითავიხე. აი, თუ არ გჯერა: „თქვენ, ხალხო, ხომ არ გაგივებულხართ, გონება სულ დაგიკარგავთ. მხო, ყურები გამოიფხიკე, მაგვლით გაქვს სახვე. მამ, ათასი ცხვარი გვაგვს და ათასივე თეთრია? გადაწვევტილი გაქვს, კიდევ ათასი შეიძინო და ისევ უსათუოდ თეთრი? აი, რამხელა სუფრაა, მაგიდამე ცხვრის ყველს ვერ ვხედავ, ყველა ბერწია ფარაში? ღუღს საქართველო, დაღუპვის პირშეა შენი სამშობლო და შენი ფიქრი ფარას არ სცილდება. შენ, გიო, რამდენი ნათილული გვაქვს? ორმოცდათერთმეტი და ახამელ უნდა ახვიე, არა? რას ანათილი ბავშვებს? ორი დღეა, აქა ვარ და სიგყვა „სამშობლო“ არ ვისხენებია, თამალობაც კი არ შეგიძლია რიგიათი. ნათილებების სახელები იცი? დარწმუნებული ვარ, არა! შენ, ქილიკა ნოდარ, რას სურები, სად არის შენი ნახაკები? საფლავეებს ღებავ, მიცვალებულთა სურათებს ხატავ და ჩარწოვს აკეთებ, არა? ებრაელებსაც თუ წერ, მთლად ხანაქებოდ გქონია საქმე, მდიდარი იქნები, აბა რა! ანგი, შენ, რამდენი გონა წიგნი წაიკითხე, ასი? ათასი? რად გინდა, მერე ერთხელ მაინც ჩამოხევედი დედაქალაქში, მიიხეღ-მოიხეღე, რა ხდება? საკუთარი აზრის შესაქმნელად მაინც არ გაინტერესებს? ვინდა, მივლიები თქვენ-ნაირი დამარდით? მოდი, შეეგარადლოთ აფორიში „მამულისათვის ისა სჯობს, რომ მამა სჯობდეს შვილსაო“. მოგწონთ? ეჭვიც არ შენარება! ქალებო, რად გინდათ ასეთი ქმრები! შეუნთეთ ცეცხლი, ხოშკაკალა აყარეთ თავზე, გამოაფხიშლეთ საღათას ძილიდან თქვენი კაცები: ბლანტი ჭაობი რა საკადრისია, ქარცეცხლია სიცოცხლე, სიცოცხლე სამშობლოსათვის“. მუსტად ასე დამათავრე, მოწოდებასავით. ასეთები არ მიეყ-

არხართო, ჩაჯექი მანქანაში და წახვიდი. მას შემდეგ ლამის ათი წელია. ყველას ახსოვხარ. მერე, მიგინგები რომ დაიწყო, ჩამოვდილიდი თბილისში, ვუკურებიდი და ვუსრბიდი ყველაფერს, ვცდილობდი, საღად შეგვეხედა მოვლენებისთვის, მგონი, შევძელით კიდევ, მაგრამ რაც მოხდა, იმას ჭაობი ნამდვილად სჯობდა. მაინც მაღლობე-ვი ვართ, ჩვენი შვილები უფრო აქტიურები და შემართულები არიან, ვიდრე ჩვენ... იმ კაცისაც მაღლობელი ვარ, წვდან რომ დაე-მარხე. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ოღესმე ჩემი შუკრდი და მხარი ვიგრძნობდა და შენი სუნთქვა კისერს გამითობდა. იძინე, ჩემო ძვირფასო და სანატრელო. კარგია, რომ ვერ მხედავ, როგორ ჩამომდის ცნემ-ლები, არ გავსმის, როგორ გაემეზარა ხმა. შენ რომ გაიღვიძებ, მე, ალბათ, სამუდამოდ დაეიძინებ. ვინ იცის, როდისდა გნახავ. აბა, თუ ვახსოვს, შეათე კლასში, თამრიკოსთან რა დაგვემართა, რომ გაიღვიძებ, გაგახსენებ. მამთარში მუდამ ჩაშლილი შტაგალოები ვახსოვს? დირექტორი მამინევი რომ მოგვადგე-ბოდა-ხოლმე. ვერაფრით გამოვიყვანით ჩა-მშვები, თურმე შენ გცმა გამოთრის ფესხა-ცმელი, მაშინდამ რომ გამოგიგმაყენა და ძირები თიოღმე ნაძვის ხეს ხატავდა. ქეთო მასწავლებელიც სამშობლო ჩაქუჩარითი მოუ-ლოდნელად დაგვადგებოდა-ხოლმე თავს. თუ სხვა გეცვა, ვერ გეპოულობდა. მე მიხევიდი. იმიტომ, რომ ნიადაგ შენს ნაკვალევს ვეძებდი. „დიდი ჰოლმის“ დამარქვი. მამინდელი შენი აღგაეცებისთვის მთელი ცხოვრება მაღლობელი ვარ. როგორ შუკრთი, რა ნახე სიმზრდა. იძინე, ცული დღე გელის და მეც ვერაფერში გამოვადგები. შენ აქ კაცის გსა-ტანად არ ჩამოსულხარ, არც მე მოგნატრევივარ, ცხადია. რა მოხდა ნეტავ, იქნებ შემძლია დახმარება...

- არ შეგიძლია. უფრო სწორად, მეტი რაღა უნდა შეძლო. ახლა გადავიდეთ, ანგი, და ისევ ამოვიხაროთ. ვერ ვიზამ ასე, ვერ დავგოვებ... ახლა დამეც, ვერაიან დაგვინახავს. ამოვიხაროთ და სოფლის განამარას დავასვენოთ. დილით ნახავენ და იტორებენ.

- გადავიდეთ, მგონი ვერე სჯობია.

* * *

- რა გინდა ამ დროს, წყალსაც კი სძინავს. რას დახეხეები, გურამი გაგივებულისა, რა იფიქროს, აღარ იცის; დარეკე მაინც.

- ახლავე დაერეკავ, შენ კი ყავა მომიღ-
ულე.

- შევხვდი გურამს.

- რა? ყველაფერი დაწერილებით მომიყ-
ვეი, შედეგი უცაბე არ მაჯახო. ვრცელი შე-
სავლეთი მიაშბე... „ის ასეთია“ ვნახე გავიფი-
ასმათი საბაძე არის... კო, მე ვარ... კარგად,
კარგად... მოვალ და გეგყვით. მაშისკო უთ-
ხარი, გათენდება და მოვა-თქო... არა, არა,
მარხითან ვარ, ახლა მოვედი. მივასწრებ,
სანამ სამსახურში წავა... მინდია სად არის?
მეტებს?... ნენუკი იყო, ნამგირალევი ხმა
ქმონდა.

- მინდია აქაც იყო ორჯერ. რა მოგიყვე,
კინაღამ მოკვდა კაცი... დაეურეკე, ასე, რვა
საათი იქნებოდა. შენი ნახვა მინდა-მეთქი.
მოდით. უარი ვუთხარი, გარეთ მერჩივნა.
ღამის კლუბში შევედი. ჯერ ბევრ რამეს
მიველ-მოვედეთ. პოლიტიკასაც მივადექით
და მხოლოდ ერთი წინადადება თქვა, მაგ
„ჩემმა“ და „შენმა“ გავეიფუტა საქმე. ჩემი
და შენი მხოლოდ ცერის, ანაბეჭდი შეიძლება
იყოს, სხვა ყველაფერი არის „ჩვენი“ და, ეს
რომ უარყვავით, იმიტომ დაიღუპა ქვეყანაო.
იგი, გულზე მომხვდა. მერე გავახსენე, სამი
თვით ინგლისში რომ წავიდა საბანკო საქმის
შესასწავლად და კიდევ სამიე რომ მიაბა.
მოუყუვეი, როგორ გენატრებოდა და რა
სიხარული დაახვედრე, როცა ჩამოვიდა. ეს
რომ ვუთხარი, წამიერად სახეზე რაღაცამ
გაღაურბინა. გაფრენილი ჩიტის ჩრდილივით.
ამ დროს უცბად ვეითხე, ასმათი სად არის-
მეთქი. ვინ ასმათიო, გულწრფელად გაუკე-
ირდა. აი, სანამ ინგლისში წახვიდოდი, მანა-
მდე რომ... თავი ჩაღუნა, ეგ რა შუაშიაო.
მედავ მაშინ კინაღამ მოკვდა-მეთქი. ფერი
დაეკარგა, იცოდომ? აი, თუ არ იცოდა-მეთქი
და შენი ლექსი, სპეციალურად წადებული,
ჩანთიდან დაეკადრე: იქნებ არც შენ გახსოვს.
„მოხიბულია ისევ სხვათა თვალთა ფერე-
ბით, შიმელასავით წვრილებით და, ალბათ,
ქვერბით, მე დამრჩა მხოლოდ ოცნებები
აუხდენელი ბერწი ხეების, კენჭების და ასკეტ
ბურების“. შუბლი დაენამა, ესე იგი, იცოდომ,
ძლივს ამოდერდა. გროლეიბუსიდან დაჯინ-
ახათ, ის ქალი თურმე უბედურების განსახი-
ერებს ყოფილა, შენ კიდევ რატომღაც ვანრი-
სხებული-მეთქი. ვუთხარი, რომ ძალიან განი-
ცდიდი უშვილობას და ამბობდი, ოთხი წე-
ლია არ დაუფხვმიძინა, ერთსაც მოვიციდი
და მერე მე ვიცი, რასაც ვიშამო. ამაზე გურ-

ამმა თქვა, მართალი ვითხრა, მაშინ შეიღის
არც თავი მქონდა და არც დროო. შენი
ცოლის სიხარული უსაზღვრო იყო, ბიჭი რომ
უნდა დაეხვედრებინა-მეთქი. ამის ვაგონებამე
მოიქუფრა, მიიხრა, ვერეკავდი და მეუბნე-
ბოდა, სიურპრიზი უნდა დაგახვედრო. ვერა
ეხედებოდი, რადგან დანამდვილებით ვიყოდი,
ჩემს წასვლამდე, ვეხმძიმედ არ ყოფილიაო.
გაგყობ, ეჭვი გდრღნის და არც უსაფუქე-
ლოდ-მეთქი. ვეხმე წამოვადგა, გადმოვიქნა
და ისეთი ჩურჩულით მკითხა, რას გულისხ-
მობთ, რომ ძარღვეში სისხლი გაშეყინა.
იმას, რომ მინდია შენი შვილია და არა
მედეასი-მეთქი. სკამზე დავეცა, ეგ რა სისუ-
ლელაო. არ არის სისულელე, ეგრე-მეთქი.
ასმათი, მედეას კლასელის ღვიდაშვილი, ვიპ-
ოვეთ, ძველი ნაცნობობა აღვადგინეთ, დაეუ-
ახლოვდით და გავიგეთ, რომ შენგან ბავშვი
ელოდა. აბორგი, აღარ მახსოვს რაკომ, არ
შეიძლებაოდა. ჩვენი ჩინიით, რისკზე არ
წახვიდეთ, ბავშვი დაიგოვა, ოღონდ ძალიან
შეშინებული იყო, მშობლებს არ ვაკვივით.
ჩვენთან, სოფელში წავიყვანეთ ბოლო სამ
თვეს და იქ მოვამშობიარეთ. ბავშვი ერთ
კვირაში ჩამოვიყვანეთ და ის სიურპრიზი
დაგახვედრეთ, რასაც გპირდებოდა-მეთქი.
გაოგნებული იჯდა და მერე მაინც შენზე
გაბრაზდა, რაკომ არ გამიშობილაო. ამას კვი-
თხავს, უნდა მოემშალო. ნუ დღავ, შთაავრა
უკან არის. ისეთი ფერი გაღვევს, თოვლს
შეშურდება. მედა, შუბლზე თეთრი ძაფივით
გაღვევს ზოლი, აღრე არ შემიბინძნავს, გაო-
თრებულხარ თუ მარჯვეთ მალავდი?

- არა, არ მქონდა. პასუხი ვიცი, რასაც
ვეგყვი, მაგრამ საშველი მაინც არ არის.
ოცდახუთი წელია ვეგყვებ, როგორი ასაგ-
ანია. ყველამე მეტად იმის შემინია, ნენე არ
შეიძლებაო, მასხვადეც რამე არ ეგონოს,
ოღონდ პირიქით.

- ეგ გამორიცხულია, ჩლუნციე მხვდება
რომ მისი შვილია. ცუდი არაფერი მოხდება,
მიხვდება, დანაშაულს გრძობის შესწინაშე.

- მე ახლა წავალ, დიღომში უნდა გავიდე.
ასმათის მისამართი გავიგო და შინ მისვლა
მოვასწრო, სანამ გურამი სახლშია. აბა, რა
ვითხრა, მალეობა სრულიად ვერ გამოჩე-
ტავს, რასაც ვგრძნობ. პრემილენცია აღარ
არის საჭირო, არავეთარ შემთხვევაში, სხვა
გზა მოეძებნე. ბევრი რამ შეიყვალა, ძალიან
ბევრი...

* * *

- საღ იყავი, გონებაზე აღბრა ვართ. დაეა-
რბიეთ საავადმყოფოები, მორგები და პოლი-
ციები. გაფითრებული ხარ და უძილო... მე
არ მჯერა, სისულელეა...
- სიმაართლეა და ამას თვითონაც შაღე
აღიარებ.
- შენ ისე გადაფოფორილი იყავი, ისე გრა-
გიკულად გიყვარდა, ამას ვერ დავიჯერებ.
- მინდიაშ დედობის ღირსი გამზადა, პირ-
ველმა დაძიძახა „დედა“, და კიდე ვიშორებ,
მასხავით არც ერთი სულდგმული არ მიყვარს
ქვეყნად: არც შენ, არც ნენე.
- რატომ არ მითხარი?
- ნუ იბოღმები. მეც მინდოდა ისეთივე
დედა ვყოფილიყავი შენს თვალში, როგორი
მამაც შენ იყავი.
- როგორ შეძელი... დედაშისი...
- დედაშისი გერმანიამო ცხოვრობს, შესა-
ნიშნავი ქალია და ამ დღეებში ჩემი ვარაუ-
დით, თვითონ შეგეგზიანება. პრემილენტი სა-
ჭირო აღარ არის, გაიხარე, სხვა გზა მოვძ-
ებნე. ახლა ვიპანავებ, ცოტას დაეისვენებ
და მერე გალერეაში წავაგ, მინდიას მივე-
პარები, იქნებ ვჭირდები.
- მოიცა, შედეა. მეგისმეგად მკაცრად
მექცევი, მტრად მომეკიდე. დაჯექი ცოტა
ხანს. რა მექნა, როგორ მეთხოვა ამ ღროში,
არ შემიძლო, ეს ყაჩაღობა იქნებოდა.
- მორიდებული! როცა მე სახლში ვიჯექი
და დარდისგან გული მეზზარებოდა, შენ,
ასეთი პატიოსანი, დროს სხვასთან აგარებდი,
ალბათ, თავსაც იმართლებდი, ვითომ ჩემი
დარდის ცქერა არ შეგძლო, არა? ეს ხომ
არც პირველი იქნებოდა და არც უკანასკნე-
ლი. დამანებე თავი, გურამ, მომეშვი, ყველ-
აფერს ნუ მათქმევინებ...
- მედა, ხომ იცი, როგორ მიყვარდი და
ახლაც მუსტადა...
- არ მომეკარო! მე გიყვარდი, დროს კი
სხვასთან აგარებდი. აბსურდია ყველაფერი.
- ის ერთადერთი შემთხვევა იყო, ნენეს
გვეყვებოდა...
- ერთი და ასი, სულ ერთია ჩემთვის.
გალაწვევტილი მქონდა, მინდიას რომ რამე
მისვლიდა, აუცილებლად მომეკალი. ოპ,
დმერთო ჩემო! ახლა კი, თუ ყველაფერი
ჩემს კისერზე გადაივლის და შენ მოწმესავით
იჯდები, აუცილებლად გაგყვრები და, ვინ
იცის, იქნებ გავთხოვდე კიდეც, კანდიდატურა
არის.
- კარგი, ნუ გააჭენე! ახლა საღ...

- არ მაინტერესებს ახლა. წინათ და მო-
მავალში. ორმოცი ათისი დოლარი უნდა
იმოყო.
- საღ, ხომ ვერ მეგყვი, ბანიკ გავტეხო?
- გა-ტე-ხე!
- ნუ ყვირი-მეთქი!
- შენ კიდეც ნუ მაშინებ, პატიოსანო. შეი-
ძლება შეილი მოგიკვდეს მაგ პატიოსნებით,
მედგენიძის სიმფონიებზე გადარეულო, შენ
ხომ კაკაფონიითაც კმაყოფილდები.
- დედა!
- დამანებეთ თავი, დამანებეთ! ყველა
ჭკუას ნუ მასწავლით. შეიძლება ძმა მოგიკ-
ვდეს და შენ კიდეც შენიშვნებისთვის...
- არა, დედა, რა შენიშვნები. გეხვეწები,
დედა, დამშვიდდი, ნუ ყვირიხარ, გაჩუმი,
მინდიაშ არ გაიგონოს, შეიძლება მოვიდეს.
დარეკა, ვუთხარი, დედა შინაა-მეთქი, გიჟს
გავდა. თუ ასეა, მისთვის ნერვიულობა შეი-
ძლება? მე რატომ არ მითხარი? აქამდე
მამამაც არ იცოდა რიგინადა. ერთი ოჯახი
არა ვართ?
- არ ვიცილი თუ დამაგვიანდებოდა, რად-
იც მოხდა ისეთი. კიდეც კარგი არსებობენ
აღამიანები, ჩემთვის თავს რომ გაწირავენ.
არ მინდოდა თქვენც დატანჯულიყავით. სულ
ექიმის კონტროლით მოვიყვანე აქამდე. ახლა
უკვე აუცილებელია ოპერაციით, თქვა და
მეც გაგავებინეთ, მეგი რა გინდათ ჩემგან.
მე თვითონ მივხედავ ამ საქმეს, მხარში
ამომდგომებსაც ვიშოვი...
- მედა, მეჩხუბე, მომკალი კიდეც, მაგრამ
შეურაცყოფას ნუ მომაყენებ, გთხოვ.
- მხოლოდ შენ გაქვს ამის უფლება, არა?
პო, ჩაღუნე თავი, დაიმორცხე... რასაც დაგპ-
ირდი, ყველაფერს შეგისრულებ. შედამწ-
ვნიით. გაინბერი, თორემ მინდიას ყველაფერს
ვეტყვი და შეგძილებს. შენთვის კი მედა
აღარა ვარ, დამთავრდა.
- დედა...
- დამანებე თავი! კარგად იყავით, ჩაეხ-
უგეთ ერთმანეთს, მე წავაედი.
- მედა...
- ბნედა!

* * *

- მამა, თმა დაუნახე? სულ გათითრებულა.
რა ხდება, გამაგებინე, რა უბედურებაა ჩვენს
თავს.
- ნუ, ნუ გირი, ნენეკ... ჯერ გადამეკიდა,
პრემილენტი სთხოვე და მედგენიძის ლიმიტი
ჩვენ გამოვიყენოთ. ახლა ეს გადაუფიქრ-

ებია და ფული იშოვეო, ჩამცივებია, თითქოს ორმოცი დოლარი იყოს. რა ვქნა, რა შემოძლია...

- ჩამოვითხოვოთ, მამა, ათ-ათი ლარი, მთელ ქალაქში, ნათესავეებში, ნაცნობებში... მე ჩამოვითხოვ.

- მათაღეს ვერ შეაგროვებ ამ გაჭირვების ეპოს... დაწყნარდი, შენი ცრემლები გულს მიფლეთს.

- ერთ გარეწარ მილიონერს ვუყვარვარ, ცოლად გაყვები...

- ნენე, მე გაფრთხილებ და სხვა შენ იცი, დედაშენს აღარ დასჭირდება, თვითონ დაიხლი გყვიას, იცოდე.

* * *

- დედა! არავენ იცის ისე ტკბილი ჩახუტება, როგორც შენ. როგორ შეგვაძინე აღარ გაბეღო ასეთი რამის გაკეთება. „დედა დაილადა“ ხომ კარგ ადვილას დავკიდე? დარწმუნებული ვარ. ყველაზე მეტად მოეწონებათ. ღმირი, მგონი, ისეთი არ გამომივიდა, როგორიც შენ იცი, მაგრამ მაინც მომწონს, თბილი, რომ მიყვარხარ, მიგიბო. რამდენი აბათი რომ თმა გაქვს, თმა შეიღებე, ვახოვ. მე ახალგაზრდა და ღამაში დედა შეამაყება. წუღან ნათლიასთან ვიყავი, მაგიდაზე შენი ლექსი იღო. რა დავიწერია, „და ბასრი ცელთი შემომიხნა უღამო დილა“, „ციცინათელა, უსახური შუადღის მწერი“... მშვენიერების აღქმა მასწავლე, სიცოცხლე დღესასწაულად შენ მიქციე და ასეთი რამ რატომ თქვი? მითხარი, დედა, ყველაფერი მომიყვიე. ჩვენ, შენ და მე, ყველაფერს მოვერევი. ხომ მომიყვები?

- მოვიყვები. ჯერ ყავა დავლით და ამრზე მოვადე. მზია როგორ არის? გუშინ დავინახეთ. შეეღსა ჰკავს. ძალიან უხდება ქერა თმა შავ თვალეებზე, ბუნებრივია? გოლები ხართ, არა? უკვე გასათხოვარია... რატომ არ ხატავ, როგორ მიკვირს.

- მაგ სიამოვნებას სამომავლოდ ვინახავ. პოლად, განცხადება შევიტანეთ ორი დღის წინ. რა იყო, რატომ გეწყინა, დედა, აკი მომწონსო...

- მიყვარს კიდეც, მაგრამ ჯერ ამისი დრო არ არის, დედიო. დაჯექი, აქ, ჩემს გვერდით.

- რატომ არ არის, პაგარა ვარ?

- არა, შენ არა ხარ პაგარა, მაგრამ მე ვარ ძალიან დიდი და ცხოვრებას სხვარებად ვუყურებ.

- დედა, ეს შენა ხარ?

- ნუ გიცივრს, მე ვარ და ასე მგონია, მართალი ვარ. მერე ყველაფერს გეტყვი.

- არავითარი მერე! შენი ეგეთი განწყობა უფრო მაწუხებს ამ წუთას, ვიდრე ჩემი ქორწინების საქმე. უკვე გრადიციული დედამთილივით ხარ მამინ, როდესაც შეიძლება არც არასოდეს გახდე ასეთი.

- ოჰო, პო... როგორ ბრამბო. მე მეგახარ, სულ არ შეგიძლია გრძობების დამალვა.

- გრძობები გასამქვავებლად არსებობს. რა იყო, რამე ჭორი გაიგე?

- მთლად ასეც ნუ გამიბრამბლები. მაინც დამაინც დღეს არ მინდოდა თქმა, ხვალ ყველაფერს გეტყვი... ეს ნახაგი, ხომ არ სჯობია, იქით ეკიდოს, მგონი სინათლე არ უხდება, შეიძლება ვცდები.

- დღეს და ამ წუთში უნდა მითხრა ყველაფერი, ახლავე! ნუ გწყინს ჩემი კილო, ორივეთვის აჯობებს.

ტაიამ ვითომ მისხნა? ასეა! ვარიანტი არ არის, დავენდე, თვალს არ დაახამხამებდა, ისე გამასაღებდა ის ცალსაყურ-ყვერიანი სიბანდი. მათ ხო ყველაფრის უფლება აქვთ! რა ჭიანჭველა, რა ჭინჭა!.. ბარცხა, გაუპატიურება, კვბა არაფერი, გასამართლების უფლებაც აქვთ!

ჩვენი მაინც ჩვენია!

არ გამყიდა ტაიამ.

მეც რა, მაგარი ვარ... მმ, სულ იმდამინდელი მუხედრის გახსენება რომ მინდოდა, სულ რომ მომწონდა, გულისგულში რომ მქონდა ჩაკირული, თურმე არა... იმისი თქმა მინდა, ყველაფერს თავისი დრო აქვს. მშვედ ამოვ... მითიური ფასკუნჯივით უჭკველად გამოგვეცხადება.

იქნებ ხელნაწერების არსებობაზე მეთქვა გაიასათვის?

არა. რას ვობღავ? გვონია, ის ღაგინლობს, შუ უბულურო? მაინც იმათია და იგივე ნაგავი. დაცა, ერთი-ორი ღღე მითიმინე. უნდა მითიმინო, რა ღიღი ღღე ამათ უწერიათ! არც მასეა საქმე. ჩვენ რამდენჯერაც მოვკვდით, იმდენჯერ გავტოვებდით!

აუ, რა „ღარმაო“ მაყუთი წაიდეს ამ სირისტიანებმა, ის, სპორტულებში მაინც რა ტიპი იყო! ღღლარი პო, შესმის... თულებმა კი, რაც უნდა ძვირფასი იყოს, ასეთი სისპარული მოგვაროს, ვერ ვიფიქრებდი. გაბოს სული ვერ მოისვენებს მიწაში. გიულისა თქვი შენ...

მიწაში რო არაა? ჯოჯოხეთიც არ გაიკარებს რაიმეს გიულისას. აი, ჩათლახი ვიყო, მე თუ მეწყინა, თუ განვიცი. მუსტად იმისთვის მჭირდებოდა, თავი რომ დამეძერინა. ასეც გამოვიდა!

მასხოვს, ხელნაწერები არ იწვიანო. მაინც საიდან მასხოვს? ვისი ნათქვამია? შეიძლება არც თქმულა? პე, ისე მომწონს, ვინმე უსათუოდ იცყოდა.

სუკ... ვიღაც მოღის.

ძაღლია. ეს ძაღლი საიდან? ერთი შეუღრინო, შუ-შუ... რას ვერჩი? ეგეობა, კარგა ხანია მომღვეს. ღიღოს! შეეხერღი. ისიც შეღვა. წკუტუნებს. რაო, შუ საწყალო, შენც ჩემსავით გარბობარ? მოღი, მომყვი... ერთად ვიძუნძოლოთ, ვიღრინოთ, ვიფეუოთ... ქვეყნა ბაზარვით ჭრელია, მსუყე ნაგვით სავსე და ღიღიც... რე გემინია, საფრთხე უკანაა, უკან ყუში სიბნელეა, წკვარამია...

აი, აქ შევეხვითო.

ეს გზა, მგონი, მასხოვს.

აპა! ტბისკენ მიღის. ხელოვნური გზა როა, გეოლოგებმა.

იქ ახლობლება ჩემი, მის ფსკერზე ძინავო. ჩემი ძვირფასი ღაიას სულს, კიდე: გურამისა და მისი თეთრი, ღამაში პაგარძლის სულს...

...

სამხნელი დარტყმა ვიგრძენი კევაში. კინწი წამწყდა, ღავასკი მიწას და დაბნელდა.

არ მასხოვს, რამდენ ხანს ვეგვე უკონოლან ახლა საით მივხობხვ მიწაზე გართხმული. ეს ხეა...

მის სორკლიან ტანს ვებღაუჭებო.

პე, ტანი კი არა, ჩის ამოყრილი ფესვებიო სიბნელეს თოვლს ეჩვევ.

ნაცნობი ადგილია...

ნუთუ ისევე აქა ვარ, ფულუროსთან? თუ არ მეჩვენება და ისევე აქა ვარ, ხელნაწერებმა მომიყვნა, ალბათ.

თავის წამოწევა მინდა.

მიჭირს, ვერ ვინძრევი, ეყვია, მგონი, კევაში მაქვს გაჭვდილი.

გაღმოყვარავდი, გულაღმა ვავწევი. მოიმევა.

რადღე ხმა მესმის, რაღაცა ხდება... ბნელა, თითქმის არაფერი ჩანს, მაგრამ ხმას, რომელიც ჩამესმის - თვალები აქვს და, ხედავ: მოღის, მომეახლება და ქრება იგი, მოღის, მომეახლება, და ქრება...

ძაღლია.

წკუტუნებს, წრეს მივლის, წკვწყაკებს საცოდავად.

არა. ეს ის მაწანწალა ძაღლი არ არის. ეს, მგონი... თფუი, ვერ ვისხენებ. არა. ვისხენებ: ეს ის არის, ღიღად პატიყვემული იუკი! აი, ახლა დააფჩენს ვევა ღიღისფერ ხახას და არა მარგო მუცელი, მთელი სხეული შიშით დამეჭიბება.

განაჩენისთვის მოხვედი?

ძეგლი უნდა დამიღდა, იუკი?

სწორი ხარ!.

ძეგლი უნდა დაგვიღდა!

ყველა ის, ნებისით თუ უნებლიეთ, დამსახურებულად თუ დაუმსახურებულად ჩაპკა ფეხი ამ ჭუჭყში, შენს „ეკლას“ იმსახურებს! დროის ამ მონაკვეთს ეს ეკუთვნის! თქვენ უფრო გეკუთვნით, ჩემო მახრჩობელა ძმებო!

მე ხომ ეკვდები...

მე უპირატესობა მეცაში მაქვს!.

...

ვიცი, ეს ქარიშხლები გადაივიღის.

მერე წვიმა მოვა...

აუ, ღიღი წვიმები იცის აქეთ.

ერთხელად მოვარდება და ყველაფერს, რაც იყო, რაც არის: წაიღებს, გადარეცხავს, ჩახვეტავს...

მთავარია, დროულად მოვიდეს!

ლოცვა-კურთხევა ამ სახლშიც შემოვიდეს...

კიდე:

ერთი შემოლაწუნება უნდა ერს და...

ქვეყნაც გამართულდება!

ზურაბ კუხიანიძე



ფიქრი

ფიქრი, რომელიც ჩაგყვება ძილში,
შემოგატარებს უცხო მთა-სერებს...
გაქრება ღამის ძრწოლა და შიში
და რიკრეაქმდე არ მოგასვენებს.

ასეთი ფიქრი ააგებს გაძრებს,
არ შეუდრკება დღეებს ქარიანს...
ფიქრი, რომელიც დილაძდე გაძლებს,
უკვდავებასთან წილნაყარია.

ფიქრი, რომელსაც ვერას გაუგებ,
სად მთაერდება და ან სად იწყება,
კაცს არ მოუგანს დღესასწაულებს,
ვანწირულია დასამიწებლად.

როგორც ბაღავი მოგჯერ ტკბილია,
მოგჯერ ვაჩარხავს მწარე სტრიქონებს...
ფიქრი მშობელის ურჩი შეილია,
ახს რომ ეკყვი და ერთს არ ვიგონებს.

ხშირად ჩუმი, როგორც ქედანი,
ხან იწევება ყომრალ თავშალად;
ფიქრი კვიცია გაუხედნავი
და ვერ ამოდებ ღაგამ-ავშარას.

ნუ მიმოფანგავთ დაცალკალებით,
ფიქრს ვაფრთხილება უნდა, მგოსნებო...
ფიქრები, როგორც მაწანწალები
ქარში დაძრწიან უსამოსელოდ.

არ მიმაგოვოთ, განაწამებნო,
ცად გასაფრენად ფრთავაშლილებო,
ფიქრებო, ჩემო მაწანწალებო,
ფიქრებო, ჩემო ურჩო შეილებო.

ვარდები თოვლში

რამ ავიბნიათ ქვეყნად ვზა-შარა,
ან რას მოგიგანთ სუსხთან თამაში,
ნეგავ, რა ძალამ, რა ცამ გაგშალათ
ქარით აწეწილ თოვლის კალთაში.

ხან ღამის სუსხი მოგივარდებათ
მოგენატრებით თბილი მეფირი,
თეთრ თოვლზე ჩანხართ, ჩემო ვარდებო,
სისხლიან წითელ ჭრილობებივით.

თუმცა თვალს მტაცებთ ყალბი ხალისით,
თოვლში ფაქიზად ამოსულები,
მაგრამ არ გახლავთ ტურფა მაისის
ხიბლი, ემსი და ამო სურნელი.

თავს ვერ ვაიგანთ შამთრის ბოლომდი,
თოვლის წითელო ბაიზალებო...
დღით არა ვიშავთ, ღამით ბოროტი
ყინვა დაგამრობთ, ჩემო კარგებო.

პგავხართ, ცრემლებს რომ ვაღმოაფორებთ,
თათრის ბაზარზე წახსპულ ქალწულებს...
ახალგაშრობის დღეებს მაგონებთ,
სუსხის ჭანგებით ჩამოკაწრულებს.

დაცხრება თქვენი მარჯნის სიცილი,
მომემაგება ქვეყნად საჯავრო
და ვარსკვლავები ცივი ციმციმით
დავიგირებენ სამარადეაქმოდ.

ყინვის ბასრ ცელით მოიცილებით,
არვინ განდება თქვენდა მშვეულად...
თოვლში ჩაყრილი თქვენი ცრემლები
მარგმი ამოვა თეთრ ენძელებად.

* * *

არ მინდა,
მინდა,
მინდა,
არ მინდა,
მანინ დაუღვივარ სამაწანწალოდ...
ვარ წაღებული მინდვრად ქართია,
ბაბუაწვერებს გზა რომ ვასწავლო.

ციდან ღამყურებს მზე აღმაცერად,
ვერ ავამწვანე, ვერა, ჯეჯილი...
და თავის გზაზე ბაბუაწვერა
მიფრინავს ქარში წვერგაჩეხილი.

ქარი მეკრღმე მცემს,
როგორც შურდული,
ჩიგს უთვალთვალეებს, დაბუას ძერა;
მიეყვები მინდორს ფიქრაბურდული
და გზას მასწავლის ბაბუაწვერა.

ლგოლეილები

ვინ დაუბედათ ქვეყნად ობლობა,
თავიანთ ხეედრზე მწარედ სკირიან...
შენს სამშობლოში უსამშობლობა
ყველაზე ძნელი გასაჭირია.

დაბრუნდებითო ხვალ თუ არ - მეგ-მეგ,
აიშედებენ:
„აგერ, სამშობლო!“ -
აწოკებულ სამშობლოს გმებზე
სანთლით ეძებენ ნანაგრ სამშობლოს.

თავიანთ კუთხის ღამაჲ სიმღერებს
ცხარე ცრემლების ყლაპვით მღერიან,
სომშრად ხედავენ მშობლიურ სერებს
და ღაღარჩამქრალ პაპის კერას...

როდის იქნება ბოლოსდაბოლოს,
რომ მათი ნაგვრა მგერად არ ქრებოდეს...
სივარდახეა,
ტკბილი სამშობლო
სამშობლოშივე ვენაგრებოდეს.

* * *

ჩაშავებია ჩინარს კონწოლი,
ჩაჩუქებულა გყეში ფრთოსანი
და მეწამული ალი კოცონის
გყისპირ ირწევა ყაყაჩოსავით.

ცეცხლთან ბიჭები, გვერდი-გვერდ მჯდარნი,
სიცივისაგან ერთურთს ეკერიან...
და ბაჭებუქობს კოცონთან ქარი,
ქარი - მკეცხარა ნაცარქექია.

ღამლება და მეჩვენება, თითქოს
კოცონის ალი მეგად ბრწყინდება...
და რა იციან ბიჭებმა, სითბო
მათზე უფრო მე რომ მჭირდება.


* * *

ცამ დამისეგყვა ბალ-ვენახები,
ქარმა გაშოლგვა, აუ, ინება...
ლექის კარავეში დარდის ძაღლები
ყეფენ, ყმუიან დაუძინებლად.

დაე იყფონ, ჩემს თავს არ ვჩივი,
დავმანული მაქვს თბილი კარავი...
ჯაჭვით დაევაბამ იმ მგლის არჩივებს,
ჩემს მეგს არ გაჰკრან კბილი არავის.

დაე იყმუვონ,
აგერ ფრთავაშლით
მგალობელ ჩიგის ლანდი ჩანს ახლოს...
და დარდით სავსე ჩემს წყნარ კარავში
იქნებ შაშვებმა დაიჭახჭახონ.

მიწყლება ძაღლთა ყეფა მზარავი,
აღარ ვიქნები ბედის მგმობელი
და აივსება ჩემი კარავი
მშისა და გრფობის საგალობელით.



ქუქუნა შაინიძე

მღვის სონეტები



1.

გაღვებს თქერავენ ვარსკვლავეთის თეთრი ცხენები
 და თეთრი ცეცხლის თეთრი ვერცხლით ცას ევერცხლები,
 გულმშვავობარო, მშვსთან წოლის წინით ვერ ცხრები,
 და თოლიები - ფრთაფარფაგა შენი მერცხლები -
 აღევენებული მღვათა სურვილს და მღვათა ქარებს,
 გაღაუქევენ უვრცო სიერცის უხილავ კარებს,
 მაგრამ სად არი სამყაროთა ღია კარები,
 ვის სად მიუხვალ ანდა ვის კარს მიეკარები,
 სად არი ღმერთი, კაცთა ცოდვით შენამკრთალეები,
 არც რა უფლისა - ცა თეთრია ღრუბლის კარვებით,
 და თოლიები გაღვშილნი, ვნებით მთვრალეები,
 კვლავ შენს გაღვებზე ეხეთქებიან!
 ირგვლივ მთებია ცის სითეთრეს შენამსჭვალეები
 და მღვას თქერავენ გახელებით ცხენვარსკვლავები!

2.

მღვაურო ჩემო, მონელაო და მოწამწამო,
 შარშანწინდელიც მახსოვს შენი ის შენაპირი,
 მღვის ნანდაურო, მორწეულო, მონა-წაწალო,
 მომაძებნინე ჩემი სევედის ჩუმი ნაპირი.
 ჩამოხვატულა მღვის მინდორში ზეცის უდაბნო,
 ამოვლებულა ვნების ფერში შენი ზეფირი,
 გარდაქარულა ყოველივე - ვის რა ვუამბო,
 ცას ვუსახსოვრე უშენობის ხსოვნა ზეპირი,
 უმშეობისას ვარ უღმერთოდ სიგვეამეძვირე,
 მღვაურო ჩემო, ჭრელჭრულაობს შენი მარაო,
 არავინ იცის, ვით მინდორში მთვრალი მესტვირე,
 შენს ნაპირებთან ასე რატომ დავეცალცალაობ!
 შარშანწინდელი მახსოვს შენი სიგვეა-ნაპირი,
 მომაძებნინე ჩემი სევედის ჩუმი ნაპირი!

3.

ხარ დასაწყისი სამყაროსი და ხარ სასრული,
ან თვით სამყარო შენა ხარ და შენით ვივსები,
გარდაქცეულა შენს ნაპირთან ყველა ავსული,
აღზევებული უღირსებოდ დიდი ღირსებით.
გაღარეცხილა ცხელი ქვიშის ქარ-ფორიაქი,
მაფრანისფერად იწვის ძველი სევდის მოტივი,
პირმოცინარობს მშის მგესხივი ტალღების ქაფით.
აპრილის ნისლში აფეთქებულ ატმის ტოტივით.
მეხლება ტალღა გულშვიადი ყინწი ბოტებით,
უღირსებოთა რა დარდი აქეთ თავის შებღალვის,
გამოდის ზღვიდან ზოღაიქოს ძველი ტოტემი,
მგეს ეფიცება და მთვარის ღანდს მწარედ შეპბღავის!
არ მიმატოვო მარტოხული, აქეთ მო-ტივი,
მაფრანისფერად იწვის ძველი სევდის მოტივი!

4.

აღარ შედგება პაემანი ახლა უცრემლოდ,
აღარც ცრემლი მსურს ზღვის ნაპირებს მივეუარდევარო,
რაო, უმშოდ არ მოგწყინდა შავო ღრუბელო,
შავთ ღრუბელო, სჯობს სიშავე გადაიბალო.
რა არის შენთვის ჩემი ცრემლი, ცრემლთა მორეეო,
ისიც შენსავით დამწყველია ცხელი სიზღამით,
ვიცი, სულ მალე დამწყველიან შენზე მორეევით
და მშის ასული დაიწება მხურვალ სიღამში.
აღარ შედგება პაემანი ახლა უცრემლოდ,
ცრემლიც ზღვა არი, ზღვის წვეთია, ზღვისგან შობილი,
შენც არაფერი არ ყოფილხარ თურმე უჩემოდ,
შეპბღავი სივრცეს მარტოობის ცას მინდობილი!
აღარ შედგება პაემანი ახლა უცრემლოდ,
ცრემლიც ზღვა არი, ზღვის შვილია და ზღვის ღობილი!

5.

მეცაც რა არი, შენი მსგავსი, შენად ხმობილი,
შესენელის ხარკით ასარკული შენი პროფილი,
შენებრ მღელვარე, ვარსკვლავებით ბედის მხხრეკელი,
თვალნიც ზღვაღურჯად მოელვარე, მშერაც შენფერი,
ცად რომ კოშკია მშენაფერი თეთრი ყამარის,
მიელღვები დაუღლეი შენი თეთრონით,
გაუტეხელი, როგორც ჩემი სულის ყამირი,
და ცისკენ მსწრაფი, როგორც თეთრი ნისლი თეთრობის.
ვისი ხმალია - ააწიელა ჯაჭვი გველივით,
მიდი, ჩაუკარ! - რას ერთობი მიქცევ-მოქცევით,
ეპეი, ზღვაო, არ მიენთე თუკი მგელივით,
შენც უყამაროდ დაგტოვებენ ეს უღმერთონი!
რად ვერ გაიგე, რა ყოფილა, ზღვაო, მთავარი,
გადმოგქათქათებს ციდან შენი თეთრი ყამარი!



ლევან მალაზონია

კულიანი კლოუნი (მოთხრობა)

და უკეთუ ეშმაკი თავსა თვისსა ვახველითა,
ვისთარ ღამტკიცენეს შეუფება მისი?

ლკა. 11, 18.

„ფეხის მიწყნარების დრო შეიქნა“, როგორც ნათქვამია ერთ ძველ ქართულ ანონიმურ ქრონიკაში, და ჯუმბერ თორაძემ დიდი ხნის ძეგნის შემდეგ, შორიდან დალანდა მღვის ბურუსში გახვეული სასტუმროს განათებულ ფანჯარები. წუხელ კუპეში ჩვილი ბავშვის გირილმა თეთრად გაათუნებინა და ახლა, ამღვრეულ გუნებაზე მყოფი, ძლივს მილასლასებდა. ორმოცდაათს მიღწეული კაცი პირველად იყო ამ ქალაქში, ბათუმში, და ისე ესირცხვილებოდა ეს, რომ მაგარებელიდან ჩამოსვლისას არავეისთვის უკითხავს, დამის ვასათევი საით მოეძებნა.

თბილისის სხვადასხვა სკოლებში ქიმიას ასწავლიდა მთელი თავისი ცხოვრება, მაგრამ, თუ ვინმე იცნობდა, მხოლოდ იმით, რომ თავდაკარგული მელიომანი იყო. კაცს ცოლ-შვილი ავიწყლებოდა, თუ სადმე კლასიკური მუსიკის კონცერტი ან ვოკალისტთა კონკურსი გაიმართებოდა და ამაში არავეის ამტყუნებდა. შინაურებიც კი, რადგან ასეთ საღამომე დაუსწრებლობა მისთვის თითქმის სიკვდილს უთანასწორდებოდა. პოლა, შარშანაც, ათას ცხრაას ოთხმოცდაჩვიდმეტი წლის გამაფხულზე, ამან ჩაიფიქანა ბათუმში; მიაგოვა უკიდურეს სიდაგაკეში ჩავარდნილი ოჯახი, დაიდო, როგორც იცხვიან, ურიის ვალი და მისთვის უცხო ქალაქში ამოყო თავი. შინიდან გულდამშვიდებულად გამოივიდა იმით კმაყოფილი, რომ ცოლ-შვილისთვის პურის ფულის დაგოვება მოახერხა. ბათუმში კი (დღვისათვის ალბათ სრულიად მოულოდნელად) მისი უსაყვარლესი მომღერლის, დავით ახდულუაძის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი გარდებოდა და ამ უდიდეს სიხარულს ჯუმბერ თორაძე, თუ ცოცხლებში თვლიდა თავს, უნდა შიარებოდა. უცხო ქა-

ლაქში ერთ კვირაზე მეტი ხნით ცხოვრება ახლა, როცა ნაცნობი არავეის ეგულებოდა და ჯიბეში ქესაგად იყო, იცოდა, ძალიან გაუჭირდებოდა, მაგრამ თავდაკარგულ მელიომანს ფულის ხელმომჭირნედ ხარჯვის იმედი ჰქონდა, უფრო მეტად კი იმისი, რომ შიმშილი არაფრად ჩავგლო.

მღვის ბურუსში გახვეული განათებული სასტუმრო რომ დაინახა, ისე გაუხარდა, თითქოს საკუთარი სახლისთვის მიეგნო, თუმცა მაშინვე გუნება მოეშხამა, რადგან ახალა გაახსენდა, თავისუფალ ნომერს არავეის დახვედრებდა. იმის იმედით, რომ შეიძლებოდა სასწაული მომხდარიყო, ნაბიჯი არ შეუხელებია, რამდენიმე წუთში სასტუმროს მინის კარი შეღო და პატარა ჩემოდნით ხელში, მხარზე გადაკიდებული პლაშჩით პოლში შევიდა.

ჯუმბერ თორაძე თხელი აღნაგობის კაცი იყო, საშუალოზე ოდნავ მაღალი, უწყვერულვაშო, მოვრო, გამხდარი, დანაოჭებული სახით, გვერდზე გადავარცხნილი სქელი ჭაღარი თმით და თაფლისფერი თვალებით. ისეთი ბოხი ხმა ჰქონდა, რომ ახალგაზრდობაში მომღერლად ვახდომის სურვილიც უღივინებდა, მაგრამ, როცა დაარწმუნეს, სმენის ნასახიც არ გაიხსნა, გულმოკლულმა და შეურაცხყოფილმა შური იმით იძია, რომ სკულენგობის წლებში (პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა) კონსერვატორიასა თუ ოპერაში სიარული საკუთარ თავს კატეგორიულად აუკრძალა. მერე, როცა მიხვდა, რომ ამით მუსიკალურ სამყაროს მაინცაღამაინც არაფერი დააკლებოდა, ისე მონღოებით დარბოდა აქეთ-იქით ბილეთების საშოვნელად. თუმცა ოპერის მომღერლად ვახდომის სურვილი გულის კუნჭულში მაინც შემორჩა და,

აღბათ, ამიტომ შეიძლება ვოკალისგები ერთხანს. მერე დაყოფილია, პედაგოგობას შეუღდა, მაგრამ სკოლაში მისთვის დღითიდღე აუტანელი ხდებოდა კლანური და დანაშაულებრივი კომუნისტური რეჟიმის ატმოსფეროს ატანა, რამაც წითელი ჭირის დაუძინებელ მგრად აქცია. ისე ჩაველო პოლიტიკაში, რომ მუსიკა თითქმის გადაავიწყდა და მაშინდელ შინსახკომში ორჯერ დაიბარეს, როგორც ერთმა ლურჯთვალა სომეხმა მაიორმა ქართულად უთხრა, „საბაასოლ“. საქმე ექამდე მივიდა, რომ მოწაფეების „იდეოლოგიის განხილვის“ სასწავლებლიდან გააგდეს და ოთხი წელი დასჭირდა სირილი სამსახურში აღსადგენად. შემდეგ, როცა აქვეყნდა დღემდე ამოუხსნელი ისეთი სასწავლებლის მოხდა, დედამეწაფე 15-20 წლის წინათ ვერანაირი გულთმისანი რომ ვერ იქონასწარმეგველებდა, ანუ, კომუნისტური რეჟიმში დაემხო, ჩვენში, საქართველოში, იმდებარებმა დაინემეს ბელადობა, რომ პოლიტიკა სტუდენტობის დროინდელ ვოკალისგებზე უფრო მეტად შემომღდა და მასში, თითქოს ვიღაცის ჯიბრზე, ინსტრუმენტული კლასიკური მუსიკის უსამღვრო სიყვარულმა იმლაგრა. იმ ამღვრულ წლებში, როცა ქალაქში ბევრ ნაპირალას მხოლოდ ფულის საშოვნელად ეჭირა ხელში ავტომატი და თბლისელები დღისითაც ვერ ბედავდნენ საკუთარ აივანზე გადმოღვომასაც კი, შეზინდებისას ქუჩაში სიარული ხომ ღამის თავის ვაწირვას უდრიდა, ჯუმბერ თორამე, ცოლ-შვილთან ერთად (ორი გაუთხოვარი გოგო ჰყავდა), ოჯახში პურიც რომ ენატრებოდათ და სინათლეც სულ რამდენიმე საათითი ჰქონდათ, პასხ, მოცარტს თუ ბეთოვენს უსმენდა. დედაქალაქის თითქმის ყოველ ეზოში ბელადები რომ იჩეკებოდნენ, ახლო მეგობრებმა დეპუტატობისკენ უბიძგეს, მაგრამ ვერ დაითანხმეს, რადგან მიანჩნდა, საქართველოში, ერთ მტკავველ მიწაზე, ორასზე მეტი ვითომდა პარტიის არსებობა იმაზე მიუთითებდა, რომ ჩვენში პოლიტიკური აზროვნება უმაღლეს საფეხურზე იდგა. გარდა ამისა, სკოლაში გაჭადრაკებულმა კაცმა კარგად იცოდა, რომ ტრიუნფზე დღობა მისი საქმე არ იყო და თან რაგომაც ენოთირებოდა კიდევ. ერთი სიგყვით, ჯუმბერ თორამე მასწავლებლობას ვერ შეეღდა, ცხოვრებას ძველებურად განაგრძობდა და ცოლ-

შვილთან ერთად მშვიდად იგანდა ყოველგვარ ჭირსა და სილაგაკეს, რადგან სწამდა, მტრების აღვირახსნილობას შინ თუ გარეთ. თუნდაც შოვინისტური რუსეთში, მალე მოედებოდა ბოლო და საქართველოც წელში გაიმართებოდა.

სასტუმროს პოლში რომ შევიდა და იქ მორიალე უამრავ ხალხს მოავლო თვალი, დარწმუნდა, თავისუფალ ნომერს ვერ იშოვიდა, მაგრამ მექანიკურად მაინც აღმინისტრაგორისკენ გასწია ნელი ნაბიჯით. იმ მაგიდასთან, სადაც დირექციის წარმომადგენელი უნდა მჯდარიყო, არავინ დახვდა; მაშინვე შემობრუნდა და ირგვლივ უამროდ მიმოიხედა. პოლში მორიალე უცხოელებით სახეე ხალხში რაგომაც თვალი დაატანა ვიღაც ტანსრულ, ქერთიან კაცს, რომელსაც ბროწეულისფერი პიჯაკი ეცვა და ხელში ბამბუკის წვეკლა ეჭირა. მერე ერთხელ კიდევ გადახედა აღმინისტრაგორის ცარიელ სკამს და გასასვლელისკენ გაემართა იმ გადაწყვეტილებით, რომ ღამის გასათევი, სანამ გვიან არ იყო, სადმე კერძო ბინაში ეყოფა. ასეე მოხდა - სასტუმროსთან ახლოს მოხუც ქალს გადაეკვრა, გამოელაპარაკა, თავისი გასაჭირი აუხსნა და დედაბრძმა სისარულით მიასწავლა იქვე, ქუჩის გაღაღმა, სხმართულიან სახლში, თითქმის სარდაფში, პატარა ოთახი იაფად. გუნება გამოუკეთდა და გადაწყვიტა, დაძინებამდე ქალაქში ეხეტიალა.

ოთახი ბნელი იყო, ნესტიანი და მძიმე პაერთი გაყენითილი. ბინის პატრონს, რომელსაც ბახკველიან ტანზე თეთრი მაისური ეცვა და მხრებზე პალტო მოეგო, ცალკეობა, პროთემიანი, გაუპარსავ, შუახნის მსუქან კაცს, ანთებული სანთლით რომ მიუძღოდა წინ, მთელი კვირის ქირა წინასწარ გადაუხდა (დოლარებით), პატარა ჩემოდანი ლოგინის თეთარი ღალი, პლანში სკამზე გვადამკადა და უცხო ქალაქში სახეგალოდ გასწია.

თბილი საღამო იყო, უქარო და მყუდრო. უკვე ბნელიდა, ბოძებზე ნათურები აქა-იქ თუ ბუჭავდა, მაგრამ გზის გაკვლევა მანქანების შუქის წყალობით თავისუფლად შეიძლებოდა. სასიეროდ გამოსული ხალხი ქუჩებში იშვიათად ხელებოდა. ჯუმბერ თორამე მძიმედ დაბიჯებდა უცხო ქალაქში და ყველაფერს ინტერესით აკვირდებოდა. პირველი, რაც ხეგაიღისას თვალში მოხვდა,

ეს იყო შენობების სითეთრე. „უცნაურია, - ფიქრობდა იგი. - ახლა თუ ასეთი ქალაქი, მშუბე რაღა იქნება“. თან იმის შიში ჰქონდა, ხეგიალისას გზა არ აბნეოდა და ბედად დაქირავებული თითხი საძებნი არ გახდომოდა. რომელიღაც მაღაზიის გაკაშკაშებული ვიტრინის წინ უნებურად შეჩერდა და იქაურობა შეათვალიერა: უცბე იქვე მაგონო ის ქერათიანი განსრული კაცი დაინახა, პროწეულისფერი პიჯაკი რომ ეცვა და ხელში ბამბუკის წვეპლა ეჭირა. მაინცაღამაინც არ გაკვირვებია ეს, ესიაშოენა კიდეც, რომ მისთვის უცხო ქალაქში უკვე ნაცნობს გაღაყყარა. მერე შიშშიღმა შეაწუხა, რომელიღაც პავილიონში ფეხზე მდგომმა წახებმსა, ბინაზე დაბრუნდა და ნესტიან ლოგინში დიღამღე მკედარეით ემინა.

მთორე დღეს, როცა კონკურსი უკვე იწყებოდა, ბეღმა გაუღიმა და სრულიად შემთხვევით ვიღაცამ, მთელი კვირის ბილეთები წინასწარ რომ ჰქონდა შექნილი პარტერის მეცამეტე რიგში, რაგომიღაც ერთი თავისივე ფასში დაუთმო და ამით უსაზღვროდ გახარებულმა იქვე, თეატრის საღაროსთან, ხალხში, ხეუნაობა დაიწყო. საუბმის, სადილის და ვახშობის პრობლემა სრულიად უბრალოდ გადაწყვიტა - იქვე ახლოს პავილიონში ივიღდა და ბუგერბობლითა და კოკა-კოლათი გაიგანჯა თავს. როცა ქალაქში ხეგიალით გული იჯერა და შესაღამოვდა (ამინდი ღრუბლიანი იყო და შენობებს მის თვალში სითეთრე მაინცაღამაინც დიღად არ მოჰგებია), თეატრისკენ გასწია და რაგომიღაც ახლა საკუთარი თავი ისეთ ეგოსიგად წარმოუღვა და შინ დაგოგებული ნახევრად შშიერი ცოლშივილი იმღენად შეებრდა, რომ წამით შეღვა და ბედად ნაშოენი ბილიეთის გაყიღამღე დაიწყო ფიქრი. მაგრამ, რამშით გაჩირადღნებული სეენა რომ გაახსენდა, ყოველგვარი სიგღამღე გამართლებულად მოეჩვენა და გზა გაავრძელა.

პარტერი, ლოქები თუ იარუსები ხალხით იყო გადაჭვლილი, ნეშისი კი არ ჩავარდებოდა დარბაზში. შშივილი და ხალისიანი გამომეგვევლების მქონე ანღენი აღამაინი ერთად რომ დაინახა, უნებურად გაუკვირდა თუ ეუსნაურა კიდეც, დღევანდელი დასაწყველებული ხალხის ყოფა დაუღვდა თვალწინ და საკუთარი თავისაღმი შშივილი იგრინო. იმღენად იმძღაღერა მასში ამ განცდაწ, რომ წამო-

დგომა და თეატრიდან გაქცევა დააპირა. მაგრამ ამ დროს კონფერანსმა მისი უსაყვარლესი მომღერალი დავით ანდღულაძე ახსენა, ატყდა ტაშის გრალი და იმწამსვე განშრახულზე ხელი აიღო. მერე გვერდზე მიიხედა და დაინახა, რომ მისგან მარჯვნივ, იჯდა ის ქერათიანი განსრული კაცი, რომელსაც პროწეულისფერი პიჯაკი ეცვა, შლეხალში ერთადერთი ნაცნობი, და ამან ანღერეული გუნება ისე გამოუკეთა, თვითონვე გაუკვირდა, ერთი წუთის წინ დარბაზიდან გასვლაზე რომ ფიქრობდა.

კონფერანსმა მოკლე დიღაპარაკი კონკურსის მნიშვნელობაზე, მაღლობა გააღუხადა უცხოეთიდან ჩამოსულ მომღერლებს, წარმატება უსურვა ყველას, საზოგადოებას კიურის წვერები გააცნო და სეენაზე პირველი პრეტენდენტი გამოისმო (თავდაკარგულ მელომანს ისიც ძალიან ესიაშოენა, რომ საღამოს წამყვანი ქართულად დიღაპარაკობდა და მერე მის ნათქვამს ინგლისურად თარგმნიდენი).

როცა ანტრაქტი გამოიხსადა, ჯუშმერ თორაძე მარტომღარტო იღვა ფოიეში, საზოგადოებას აკვირდებოდა. ისევე იგივე გულგრძლ ან თვითკმაყოფილ სახეებს ხედავდა ირგვლივ და კვლავ წამოუარა თეატრიდან გაქცევის სურვილში. მერე გაიფიქრა, რომ ეს, სხვა თუ არაფერი, უპატივემქულია იქნებოდა კონკურსისაღმი, დავით ანდღულაძისაღმი, სეუმრებისაღმი... უნებურად ბუგეტისკენ გაემართა, მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რომ ერთი შეღამეტი თეთრის დახარჯვის უფლებაც არ ჰქონდა და პარტერში დაბრუნდა.

იმ საღამოს გამოსულ კონკურსანტებს უგულოდ უსმენდა, შემდეგ ისევე კარგა ხანს იხეგიალა ნახევრად ჩაბნელებულ ქალაქში და თავის ბუნავში გვარაინი ადღილი მივიღა.

დილით გვიან ადგა; ბინის პატრონის ცხელი წყალი სთხოვა, წვერი იმ სამართლებლით გაიარსა, მგზავრობისას შეღდა თან რომ დაჰქონდა, ამოჩემებულ პავილიონში წახებმსა და კითხვა-კითხვით ბულვარისკენ გასწია. დღე ისევე ღრუბლიანი იყო და ოღნავ ციოდა კიდეც. ბულვარში საკმაოდ ბევრი ღურჯად ახალშეღილი ცარიელი ძელსკამი იღვა, ერთ-ერთი ამოირჩია და მოზუპული აჯავა. შღვა ანღერეული იყო და, თითქოსდა ადღილი, შშიმეღ დღეღაღა. დიღხანს იჯდა

იქ ჯუმბერ თორაძე, მონუსხულივით გასცქეროდა აშვითივულ ტალღებს და, ღმერთმა იცის, რაზე არ ფიქრობდა... უცერად ძელსკაში შეინძრა და იგრძნო, რომ მის გვერდით ვიღაც დაჯდა. მიიხედა და ისევ ის ქერათმიანი, ტანსრული კაცი დაინახა, რომელსაც ბროწეულისფერი პიჯაკი ეცვა და, როგორც ორი ღღის წინათ, ახლაც ბამბუკის წკეპლა ეჭირა ხელში. ჯუმბერს არ ესაიამოვნა. განმარტოებით მჯდომარეს ვიღაცამ მყუდროება რომ დაუბრუნებდა, უკმაყოფილოდ შეიმშუშნა და ისევ ამღვრეულ ზღვას გახედა. „ეს ვინ ოხერი ამეკვიფა“, - გაიფიქრა და მშერა პლაჟზე მოთამაშე სეკერის ძაღლებზე გადაიგანა.

- ხელი შევიშალე, მაპატიე, - მოესმა ამ ღროს რუსული აქცენტით წარმოთქმული სიტყვები და ჯუმბერმა უცნობისკენ ნელა მიატრიალა თავი. მის გვერდით იჯდა პირსახე, ხორბლისფერი სახის მქონე უწვერულვანო, ლურჯთვალეებიანი შუახნის ქერა მამაკაცი და მოკრძალებული თუ დარცხვენილი ღმომლით უხმოდ მისჩერებოდა. „კლოუნს შგავს“, - გუნებაში ცირკის მახარას შეადარა ჯუმბერმა და ბროწეულისფერ პიჯაკს შუაგულ თვალი.

ნასუხის გაცემა რომ დაუგვიანდა, ისევ მოესმა:

- ხელი შევიშალე, ბოდიშს ვიხდი...

გადამეტებულმა თავაზიანობამ იმდენად გააღმიანა ჯუმბერი, რომ უცნობს უნებურად თავი დაუკანტურა და აგდებულად უთხრა:

- ხომ ხედავთ, ამ ბულვარში რამდენი სკამია თავისუფალი. ასეთ ღროს მარტოდ მჯდომი ადამიანთან არ ჯდებიან.

- მაპატიე, მაპატიე, დიდი ბოდიში... მარტალი ბრძანდებიტ... მე ტეატრში... დიას, არა... მარტალი ხარტ... - აბნეულად წამოიწყო მკვეთრი რუსული აქცენტით ქერათმიანმა და მისდაუნებურად ფეხზე წამოდგა.

არც ასეთი მოლოდინებმა პირწონა ჯუმბერს, უფრო აიბრია, რამდენჯერმე თავი დააქინა იმის ნიშნად, რომ უცხო სუერემონიობას პატიობდა, და ჩქარი ნაბიჯით გაშორდა იქაურობას. ქერათმიანი პირში ჩაღვავა-მოვლევლევით დიხანს იდგა ფეხზე და ბამბუკის წკეპლას ძელსკაშს ურცყამდა.

იმავე საღამოს, როცა კონფერანსმა სენაზე მომდერალი მიიწვია, ჯუმბერის გვერდით ისევ ის კაცი დაჯდა, რომელსაც ბრო-

წეულისფერი პიჯაკი ეცვა. „ეს ვინ გადაამეკიდა, - გაიფიქრა მან, - ალბათ, ამ კლოუნსაც მთელი კვირით აქვს ნაყიდი სკამი მაინც-აღამაინც ჩემს გვერდით“. თან ცდილობდა, თვალი არ გაქექოდა მისკენ და არიებს უგულისყუროდ უსმენდა. მაგრამ უცნაური ის იყო, თითქმის შეეგუვა იმ აზრს, რომ ქერათმიანს ვეღარ მოიშორებდა.

ასეც მოხდა. მეორე დღეს ქუჩაში გადაეყარა ბროწეულისფერ პიჯაკით მოსილ ქერათმიანს, რომელმაც მოკრძალებით გაუღიმა და უადრესად თავაზიანად მიესალმა. ჯუმბერმა თავის დაკვერით ცივად უპასუხა. თან ასე ფიქრობდა: „რას ვერჩი ამ კაცს, რატომ ავითვალწუხე, თვითონაც არ ვიცი“. იმავე საღამოს, პარტერში რომ შედიოდნენ რამპის შუქზე, ერთმანეთს ისევ მიესალმნენ თავის დაკანტურებით, დილით კი წახეხების შემდეგ, ბულვარში სხვა სკამი ამოირჩია და უნებურად ქერათმიანი გაახსენდა: „ახლაც რომ თავზე დამადგეს, ჭიგლავს ამოვცხებ“, - ფიქრობდა იგი და წყნარ ზღვას გასცქეროდა. მშინი დღე იდგა, თბილი, უქარო, მოკრიალებული ღურჯი ცით. ალბათ, ამის გამო სიყვებოდა (როგორც ელოდა) შენობის თიეთიერე გახვეული. უცებ სკამი შეინძრა და ჯუმბერს ტანში გააერქოლა. გადაწვიფა, გვერდზე არ მიხედა და, ყურადღება რომ გადაეგანა, ზღვის პორიზონგზე გეშს დაუწყო ძებნა.

- დიდი ბოდიში, ტკვე მარტალი ხარტ და მე მაინც მოვედი... - მოესმა ამ ღროს.

ბროწეულისფერპიჯაკიანი ქერა კაცი აღლევებული ჩანდა და სიტყვები აჩქარებით წარმოთქვამდა.

ჯუმბერმა შეხედა და უცერად ისეთი სიბრალული იგრძნო მისდამი, რომ თვითონვე გაუკვირდა.

- მე აქ არავის ვიცნობ... - უხერხულად თუ დაბორცხვით თქვა ქერათმიანმა, თავი ჩალუნა და ძელსკაშის საშურგეს ჩაეჭვია. მისი ბროწეულისფერი პიჯაკი მშვემე ისე ბრწყინავდა, რომ თვალს ჭრიდა. ბამბუკის წკეპლა აღარ ეჭირა და თითქოს ამის გამო ნერვიულობდა და ღლავდა.

ჯუმბერმა ახედ-დახედა მისთვის არცთუ მთლად მოულოდნელად გამოცხადებულ, როგორც თვითონ გუნებაში შვარქვა, კლოუნს და ხმადაბლა უთხრა:

- მეც არავის ვიცნობ, - და მისდაუნებურად

ხელი გაწოდა, თან სკამიდან ოდნავ წამოიწია. გუნებაში კი გაიფიქრა: „ამას, ეგყობა, ვეღარ მოვიშორებ და ხმის გამკეში მაინც მყვოლება“.

ქერათმიანი ჯუმბერის ასეთმა დახვედრამ ისე გაახარა, რომ აიბნა, უფრო დაიმორცხვა და გაწვილი ხელი თავის მსუქან დათვის ტორებში ჩაბლუჯა. თან დამარცვლით თქვა:

- ოლეგ პიგოვრანოვ.

მსგავსი გვარი ჯუმბერს მანამდე არ გავგონა და უნებურად ჰკითხა:

- როგორ?

- ოლეგ პიგოვრანოვ, - გაიმეორა ქერათმიანმა სალდათურად ხმაბლად, ალბათ, იმით კმაყოფილმა, რომ გულჩათხრობილ, მიუკარებელ კაცს ცნობისმოყვარეობა აღუძრა.

- ჯუმბერი, - ჩაიდუღუნა მელომანმა და ისევ დაჯდა. „დოსტოვესკის პერსონაჟის გვარი წააგავს“, - გაიფიქრა გუნებაში.

პიგოვრანოვი მოკრძალებით მისჩერებოდა ახალგაცნობილს და ეგყობოდა, რომ საუბრის გასაბეჭად სათქმელს ეძებდა. ჯუმბერი უსასრულო სილურჯესთან შერწყმულ მღვის პორიზონგს გასცქეროდა თვალმოჭულად და, როგორც დასჩემდა, ახლაც შორეთში გემის სილუეტს დაეძებდა.

- რა კარგი მომგერლები არიან... ტკვენ როგორ პიკრობტ... ასეც კონკურსზე მე პირველად ვარ... - წამოიწყო მოღიზარმა პიგოვრანოვმა, - ალბატ, კარგეული მომგერალი გაიმარჯვებს... არა? ტკვენ როგორ პიკრობტ...

- რა ვიცი, მხრების აჩეჩით, ავლებულად უპასუხა ჯუმბერმა, - ჯერ სადაა.

- მე მჯერა, რომ კარგეული მომგერალი გაიმარჯვებს, - თქვა პიგოვრანოვმა იმ განზრახვით, რომ მიუკარებელი კაცის გული მოეგო.

- არავინ იცის, - ისევ აიჩეჩა მხრები ჯუმბერმა და ცის სილურჯესთან შერწყმულ მღვის პორიზონგს გადაევნა თვალი. - აქ კონკურსია, - თქვა ოდნავ ბრამზორეულმა და ცოტა ხნის ღუმილის შემდეგ დაამატა, - ტელეფონით და ნაცნობობით არ არიგებენ პრიზებს.

- მარგალია, კი... დაახ... - მაშინვე დაეთანხმა მიუკარებელ კაცს პიგოვრანოვი და ძელსკამის კიდეზე მოკრძალებით ჩამოჯდა, - მაგრამ... მე მინდა... კარგეულმა გაიმარ-

ჯვოს...

ჯუმბერმა ტუჩები მოკეპა, ისევ შეთივალეირა ბროწეულისფერ პიჯაკით მოსილი ქერათმიანი და გაიფიქრა: „ნამღვილ კლოუნს შეგვს ვიღაცაა, ოღონდ წითელი ცხვირი აკლია, სხვა არაფერი; ცირკის კლოუნის გრძელი, წითელი ცხვირი“.

სინჟემ ჩამოვარდა.

ყრულ ისმოდა წყნარი მღვის ტალღების ღგაფუნა.

ჯუმბერს, გარდა იმისა, რომ ვერ იტანდა ატორლიალებულ კაცს, საშინლად აღიზიანებდა პიგოვრანოვის ქართული და ისევ იმაზე ფიქრობდა თუ როგორ მოეცილებინა თანდინიანი ცნობილი და უსიამოვნოდ შეიმშუშნა. „ახლა არგისტობაც დამიწყო“, - გაიფიქრა და ბროწეულისფერ პიჯაკით მოსილი ლურჯეთვალეიანი კლოუნს მოღუშულმა მიხედა.

- ვითქათ და, ესპანელმა აილო პირველი პრიზი, გეწყინებთ?

- კი, - ბავშვური გულწრფელობით უთხრა პიგოვრანოვმა და მაშინვე თავიც დააქნია.

ასეთმა პასუხმაც გააღიზიანა ჯუმბერი, რადგან დარწმუნებულად იყო, რომ ქერათმიანი ცნობილი და უსიამოვნოდ შეიმშუშნა. „ახლა არგისტობაც დამიწყო“, - გაიფიქრა და ბროწეულისფერ პიჯაკით მოსილი ლურჯეთვალეიანი კლოუნს მოღუშულმა მიხედა.

პიგოვრანოვმა იგრძნო, რომ მიუკარებულმა, გულჩათხრობილმა კაცმა ნათქვამი არ დაუჯერა და აჩქარებით წამოიძახა:

- დაახ, დაახ! კი... - უნღოდა, კიდე რაღაც ვითქვა, მაგრამ რაცომღაც გაჩუმება ამჯობინა.

ისევ მოსმა წყნარი მღვის ტალღების ღგაფუნა შორიდან.

ცოტა ხნის ღუმილის შემდეგ ჯუმბერმა თვალეში ჩახედა პიგოვრანოვს და გამოძულვლად ჰკითხა:

- თქვენ რუსი ხართ?

- დაახ... - რაცომღაც აიბნა ქერათმიანი.

- და გინდათ, გაიმარჯვოს ქართველმა?

- დაახ, - გაიმეორა პიგოვრანოვმა ოდნავი დაბოყნებით და თავი ისევ დაიქნია.

ჯუმბერმა წარბები აშლიდა, ახლა დამცინავად ჩააქცერდა თვალეში ქერათმიანს და სხადაბლა, თითქმის ბურღუნით უთხრა:

- კი მაგრამ, თუ თქვენ ნამღვილი რუსი ხართ, ქართველის სახელის მოხეჭვა არ უნდა გაინტერესებდეთ, მეტიც, უნდა გაღიზიანებ-

დეთ. სხვაგვარად შეუძლებელია. რაგომ გინდათ, რომ მაინცადამაინც ქართველმა გაიმარჯვოს, ამისხენით თუ შეიძლება.

პიგორანოვი თითქოსდა ელოდა ამ შეკითხვას და იმწამსვე სულმოუთქმელად წამოიძახა:

- მე ამ კალაქში მეორეჯერ დავიბადე... დიდი ხნის ცინაბ... აქ მღვაში დახრჩობას გადამარჩინეს... და, მე მალიან მიკვარს საკარგველო...

ჯუმბერი გაჩუმდა, მისთვის მოულოდნელი იყო ასეთი პასუხი და მერე, ქერათმიანისთვის რომ რაღაცეით მაინც შარი მოელო, დაეკეპებოთ ჰკითხა:

- ქართული საიდან იცით?
- დიდი ხნის ამბავია, - თქვა პიგორანოვი და ქერა თმაზე ხელი გადაისვა - თუ გნებავთ, ვიამბობ.
- „იგყობა, დილაშლე აპირებს ქაქანს“, - გიოთიქრა ჯუმბერმა და ლანდივით ალევნებულს უხეშად მიუგო:
- სხვა დროს.

მერე თავისივე პასუხის შერცხვა, სახეზე წამოაწოთა და შემირიგებლური ტონით ჩაილაპარაკა:

- თუმცა, როგორც გენებოთ, მე არ მეჩქარება.

პიგორანოვს ესაიბოვნა, რომ ეს მიუკარებელი, გულჩათხრობილი ადამიანი მისი წასულებით დაინტერესდა, სახე გაუბადრა, მხარბეჭი და სახვე გულმკერდი შეათამაშა, სკამზე შესწორდა, უფრო მოხერხებულად დაჯდა და მონოტონური ხმით თავისი თავგადასავლის მიყოლას შეუდგა.

ჯუმბერსაც, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაეგო, ვინ იყო ეს კაცი, ფეხდაფეხ რომ დასდევდა, და გადაწყვიტა, ყური დაეგო.

პიგორანოვი ათი წლისა ყოფილა, როცა დედას პირველად ჩამოუყვანია ბათუმში დასასვენებლად, 1957 წელს, შემოდგომაზე, წლინახევრის შემდეგ იმ დღიდან, როცა რუსმა სალდათებმა თბილისში, კავშირგაბმულობის სახლთან 9 მარტს, უიარაღო ხალხი გაელიტეს. ერთ ღრუბლიდან და უქარო დილას ბავშვი, ორ სხვა პაგარასთან ერთად, ნაეში ჩაუსეკამს და სასიერნოდ წაუყვანია შეყვარებულ ქალ-ვაჟს (როგორც მერე პლაჟზე მყოფ დამსვენებლებს უთქვამთ, ერთმანეთის თავმოსაწონებლად). წყნარი ამინდი ყოფილა, მღვა ოღნავადეც არ ღელავდა. ნიჩბებს ხან

ბიჭი უსვამდა, ხან გოგო. საკმაოდ რომ დაშორდნენ ნაპირს, უეცრად ჩამოხელებულა და თან ძლიერი ქარი ახოვარდნილა. რანდენიმე წუთში მღვა ისე აღელვებულა, რომ ნავს ყოველ წამს გადაბრუნებით ეშუქებოდა, ქალიშვილი და ბავშვებს ყვირილი აუტეხიათ, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი ისე იყო მოქუფრული, რომ ნაპირი საერთოდ აღარ ჩანდა. აღელვებულ მღვამს მოხვედრით ერთადერთ იმედად ისდა რჩებოდათ, რომ მათი ნაეში ჩასხდომა ბავშვების შშობლებსაც დაუნახავთ და პლაჟზე მყოფ სხვა დამსვენებლებსაც (რა თქმა უნდა, პაგარები დედების თანხართვით წაივარდნენ სასიერნოდ). დღეუა ნებადთან მაგლონდა, მშველელი კი არსად იყო. შეყვარებული ბიჭი და ქალიშვილი, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, ახობოქრებულ ტალღებს ებრძოდნენ და თან აგირებულ ბავშვებს ახუგებდნენ. მშველელი კი არა და არ ჩანდა. ბოლოს მოხდა ის, რისი შიშიც ჰქონდათ შეყვარებულებს - ნავი გადაბრუნდა და ყველანი აშვირთებულ ტალღებში აღმოჩნდნენ. ამის შემდეგ პაგარა ოლეგს შშოლოდ ის ახსოვდა, რომ, როცა შვე, უძირო ფსკერისკენ მიექანებოდა, ვიდაცამ თმაში ჩააელო ხელი... მერე, პლაჟზე გულადმა მწოლიარე, გონს დედის კვილმა მოიყვანა. იმ დღეს მღვამი დახრხო შეყვარებულნი ბიჭი (შუბლი ჰქონია გახეთქილი, როგორც ჩანდა, თავი ნავის ძვიდზე მიურტყამს) და ერთერთი ბავშვი, ორიენი ქართველები, თბილისელები. პაგარა ოლევი თურმე ვიდაც აქაურ შუახანს მიგანებულ კაცს, მინდიან გოგეშვილს გადაურჩინა. აშვირთებულ ტალღებში დროადარო გადაეშვებოდა და უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანები, თითქმის ათამდე რომ იქნებოდა, ნაპირზე გამოჰყავდა ერთადერთ პროფესიონალ მამულს, მაგრამ პლაჟზე მყოფი ხალხისთვის ცხადი იყო, რომ მარტო ერთი ამ საქმეს ვერ აუვიდოდა.

მაშინ დამსვენებლებს გამოეყო მშვემე გარუჯული ვიდაც ტანმორჩილი კაცი და სვეტებად აღმართულ ტალღებში უშიშრად გადაეშვა. ეს იყო სწორედ ის მინდია გოგეშვილი, რომელმაც სულმე მიუსწრო მღვის აქაფებულნი მედაპირიდან გამქრალ პაგარა ოლეგს, ჩაყვინთა, წყალში დრმად ჩაიბრუნა ბავშვს მისწვდა, თმაში ხელი ჩააელო, შურგმე შოიგოლ და სტიქიასთან დიდი ხნის ბრძო-

ლის შემდეგ, ნაპირზე გამოათრია. დედების
ჯოჯოხეთური წვივლ-კივილი იქაურობას
აყრუებდა...

ბუნებრივია, ამ დღიდან ოლეგ პიტოვრა-
ნოვის მშობლებისთვის მინდია გოგეშვილი
ახლობელი გახდა. მისი ძმა, ცნობილი ქირურ-
გი ცოლ-შვილით მოსკოვში ცხოვრობდა და
იქვე ერთ-ერთ საავადმყოფოში მსახურო-
ბდა; ძმები არცთუ იშვიათად ხვდებოდნენ
ერთმანეთს და სწორედ ამის წყალობით
იყო, რომ პაგარა ოლეგის მშობლებიც ხში-
რად ნახულობდნენ მათი ოჯახის მსხნელს
და, როგორც შეეძლოთ, პატივსაც სცემდნენ.
მინდია გოგეშვილი აგრონომი ყოფილა,
სუბტროპიკული მცენარის რაღაც ახალი ჯი-
შის გამოყვანაზე დარბობდა თურმე და ამი-
ტოპს ჩადიოდა ხშირად მოსკოვში (კრემლის
დასავლეთის გარეშე ხომ მაშინ დატყვევებაც
არ შეიძლებოდა). ოლეგის დედა დიდ თეატრ-
ში მუშაობდა გრიმიორად, მამა ხელოსანი
ყოფილა, სათელის ოსტატი. ბავშვი მუსიკა-
სადმი მიდრეკილებას იჩენდა და მშობლებმა
გადამწყვიტეს, ვიოდინოზე დაკერა ესწავლე-
ბინათ. ოლეგს ორი გათხოვილი და ჰყავდა
და, როცა პაგარა ძმის აშბავი შეიგყვეს,
დღას თხოვეს, ეჩვენებინა ის კაცი, რომელ-
მაც ბავშვი სიცილილს გამოსტაკა.

ერთხელაც სუფრას, მასპინძლების პატი-
ვსაქმად მინდია გოგეშვილმა რუსული ხალ-
ხური სიმღერა წამოიწყო. ყველანი გასუსუ-
ლები უსმენდნენ, განსაკუთრებით ოლეგის
დედა: მერე ბავშვის დედამ მოულოდნელად
საშეიშოლ განაცხადა, - გადაეწყვიტე, ჩემს
პაგარას თქვენდამი მაღლიერების ნიშნად,
ქართული ენა შევასწავლო, თქვენ ხომ იგი
იხსენითო და საჩვენებელი თითი მინდია
გოგეშვილს გულზე მიადო. ეს იდეა იქ მყოფ-
თავან ყველამ აიგაყა და ატყდა გაში. ოლ-
ეგის დედას მეორე დღესვე დაუდგენია, რომ
მოსკოვის რომელიღაც სკოლაში ქართველი
ბავშვი სწავლობდა (პიტოვრანოვების სახლ-
თან ახლოს) და შვილიც საგანგებოდ იქ გა-
დაუყვანია იმ განმრავებით, რომ ოლეგი მას
დაუახლოვებოდა და ქართულსაც შეისწა-
ვლიდა. ასეც მომხდარა. დამეგობრებულან
არა მარტო ის ქართველი ბიჭი და ოლეგი,
არამედ მათი მშობლებიც, ნათესაუბიც და
ასეთი გარემო ქონია პიტოვრანოვს შემდეგ
სტუდენტობის დროსაც (მამის დაქინებით,
ქმიოქოსი გამხდარა, თუმცა მუსიკას მაინც

არ ეშვებოდა). როცა დაცოლშვილდა და
ოჯახის რჩენა გაუჭირდა (გოგო-ბიჭი მო-
ლია), მოსკოვის ერთ-ერთი რესტორნის
ორკესტრში დაუწვია მუშაობა და დღემდე
იქ კლარინეტზე უკრავდა.

რამდენიმე წლის წინათ მინდია გოგეშვი-
ლი უკურნებელი სენით დაავადებული; პიტო-
ვრანოვების ოჯახმა, რამდენადაც შესაძლე-
ბელი იყო, სიცოცხლე გაუხანგრძლივეს სამ-
კურნალოდ მოსკოვში მწოლიარე მათი შვი-
ლისთვის თავგამებულად ადამიანს და, როცა
გარდაიცვალა, საკუთარი ხარჯით თვითმ-
ფრინავით გადაასვენეს ბათუმში. ამის შემდ-
გე ოლეგი ყოველწლიურად ჩამოდიოდა აქ,
მისი მსხნელის საფლავზე, სათილის დასანთე-
ბად და ამას მთელი გულწრფელობითა და
მაღლიერების გრძნობით აკეთებდა. ერთი
სიგყით, ბათუმში ჩასვლა ჩვევად ექცა, ამ
გამაზებულზე კი მისი შტვამე გამოჩენა დაეით
ანდულაძის სახელისადმი მიძღვნილ საერ-
თაშორისო კონკურსის დღეებს დაემთხვა.
რა თქმა უნდა, მთელი ორი კვირით ქალაქში
დარჩენა და სასტუმროში ცხოვრება დღევა-
ნდელ საქართველოში, თუნდაც შფარველი
ანგელოზის სათაყვანებლად, ბევრისთვის და-
უჯერებელი იქნება, მაგრამ ოლეგ პიტოვრა-
ნოვს ძალიან მოსწონდა აქაურობა (რასაც
მისთვის მუდამ გადამწყვეტი მნიშვნელობა
ქონდა) და, რაც მთავარია, უყვარდა დასვე-
ნება, პლაჟზე გულადმა წოლა...

აი, ეს იყო მთელი ის ისტორია, ბროწეუ-
ლისფერ პიჯაკითმოსილმა ქერთაშიანმა რომ
უამბო ჯუმბერ თორაძეს.

როგორც კი თხრობა დაამთავრა, მკვირც-
ხლად წამოდგა და მიუკარებელ და გულჩა-
თხრობილ კაცს, რომელსაც მთელი ამ ხნის
განმავლობაში თვალა არ მოუცილებია
შდვის პორიფორისათვის, მოღმარა სახით
დააქქერდა იმ იმედით, რომ ნაამბობით მის
ნდობასა თუ პატივისცემას დაიმსახურებდა.
მაგრამ მოგყვდა. ჯუმბერმა მისკენ მიხედა,
თავი სასხეთაშორისოდ დაიქნია და საძალა-
ღვეად ჩაილაპარაკა:

- მო, გასაგებია, - და მაშინვე წამოდგა,
თითქოსდა გამოსამშვიდობებლად.

იმედგაცრეუბულმა ქერთაშიანმა აღარ
იცოლა, რა ეთქვა ამ როგორ მოქცეულიყო,
და, უხერხულობა რომ დაეფარა, უმარამაზარ
მუჭში რამდენჯერმე სახელდახელოდ ჩაახვე-
ლა. ჯუმბერმა იგრძნო ეს და რაგომადც

ისევ შეებრალა პიგორანოვი. შერე-მხოლოდ ამიტომ, რომ რაღაც ეთქვა, ქერათმიანს ჰკითხა:

- დღატიქენი ახლაც დიდ თეატრში მუშაობს?

- არა, პენსიონერია, - მაშინვე უპასუხა პიგორანოვმა.

- გასაგებია, - მიუგო ჯუმბერმა, შერე, საათზე დაიხედა და მობოლიშებით თქვა: უკანრავად, მაგრამ ახლა წასასვლელი ვარ. ხალაქოს, ალბათ, თეატრში შევხვდებით.

- დაიხ... დაიხ... პირიკიტ... მამაბიტი, რომ ამდენი დრო ცაგარგეტი...

- არა უშავს, კარგია, რომ ქართულის შესწავლით იმ კაცის ხსოვნას პატივს სცემთ. აბა, დროებით.

- დროებით, - თავის დაკვრით თქვა გაბადრულმა პიგორანოვმა და თან რაგომღაც ხელები მოიფშვინტა.

შორე დღეს, დღით, ამოჩქებულ პავილიონში რომ წაიხეშა, ჯუმბერმა პორტისკენ გახწია. ამ ხნის კაცს თავის ცხოვრებაში გემით არასოდეს უმგზავრია და ძალიან აინტერესებდა ხომალდების ახლოდან ნახვა. აქ ჩამოსვლის დღიდან ქუჩებში ზეგიალის წყალბოთი ქალაქს, ასე თუ ისე, გეცნო და ანიტომბე, ისევ საკუთარ ალღოს მინდობილი შეუდგა პორტისკენ მიმავალი გზის ძებნას.

ახლაც მშაინი ამინდი იდგა, უქარო, წყნარი, თბილი. მოკრიალეებულ ლურჯ ცაზე აქა-იქ თუ მოჩანდა დაფლეთილი თეთრი დრუბლები. ყოველი ქუჩის გადაჭრისას, შენობებს შორის დარჩენილ ცარიელ სივრცეში, ჯუმბერი ხედავდა სწორ მოლად გაწოლილ შდის პორტიმონგს. „ორ, მაგრამ იქნებ უკან უნდა დაებრუნდე, - ფიქრობდა იგი და გუნებაში საკუთარ თავზე ეცინებოდა. - ყველა ქუჩა ხომ ვერ ჩამიფყანს პორტთან. თუმცა, ალაბუღაზე ხეგიალაც საინტერესოა“. ხალხი იშვიათად ხვდებოდა, ალბათ, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ დილა იყო. მივლი ქალაქი დღესაც, მის თვალში, თეთრად განთიფურებოდა.

ყვეტ ვეჭების ანძებს მოჰქრა თვალი და კლი აუჩქროლდა. ნაბიჯს აუჩქარა. პორტისკენ მიმავალ მოკარწყლულ ვიწრო ქუჩაზე რომ ჩაუხვია, ნაენობი ხმა შემოესმა და შეაერყოლა.

„გამარჯობა... ალბათ, პორტი განსტევა...“

„ჩემს მეტი ვერავის ნახა ამ შობელძალმა?“ - გაიფიქრა ჯუმბერმა და უხებურად შედგა.

პიგორანოვი, ახლაც ბროწეულისფერი პიჯაკით მოხილი, დმილით მიუახლოვდა და ხელმოროდ მიესალმა. - გამარჯობა! ჯუმბერი! თავი უხმოლ დაუქნია, შერუნდა და ნაბიჯის გადადგმა დააპირა, მაგრამ ქერათმიანმა ბავშვური გულუბრყვილობით უთხრა:

- ერგად ცავიდეტ.

ჯუმბერმა ახედ-დახედა პიგორანოვს და ხმადაბლა, მოგუდული ხმით ამოილულულა:

- მე სხვაგან მივდივარ... ნათესავთან, - და ქერათმიანი ისევ თავით ფეხამდე შეათვალიერა.

პიგორანოვი მიხვდა, რომ ჯუმბერი აგყუებდა და მოულოდნელად მიუკიბ-მოუკიბავად მიახალა:

- რატომ გამირბიხარტ, მე ხომ ტკეენცვის ცული არაპერი გამიკეგებია...

ჯუმბერი წამით დაიხნა, იმდენად არ ელოდა ქერათმიანისგან ასეთ სიგვეებს, მაგრამ სათქმელს თითქოსდა მაშინვე ზიანო, წელში გასწორდა, წარბები შეჭმუხნა, კვალდაკვალ მღვივარს თვალებში ჩახედა და გამომწვევად თქვა:

- რატომ უნდა მიხაროდეს თქვენიან შეხვედრა!

პიგორანოვი შეეცა, საკუთარ ყურებს არ უჯერებდა და ენაჩაგრანდილივით მისჩერებოდა ამ მიუკარებელ, გულწათხრობილ ადამიანს.

ჯუმბერი, როცა დარწმუნდა, რომ ქერათმიანი ხმის ამოდებას არ აპირებდა და თან იმით კმაყოფილია, რომ კლოუნი გააოგნა, იმავე ფიქრობდა, ეთქვა თუ არა მისთვის ყველაფერი გულახდილად, შეულამანებლად, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე. პიგორანოვი მუნჯავით იდგა და თითქოს უარესის მოსასმენად ემშალებოდა. ჯუმბერმა ახლა უხერხულად ივრძნო თავი, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, მიწას დააქცერდა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

- მე ამ ქალაქში ნათესავი არ მყავს... ეს ისე ვთქვი... ჰოლდა, თუ გნებავთ, გეტყვით, რატომ ამ მსიამოვნებს თქვენიან შეხვედრა.

ასეთმა პირდაპირობამ კიდევ უფრო გააოცა პიგორანოვი და, როგორც იქნა, ენა ამოიღდა:

- კი... დახ... ტკეუნი სკუმარგმოკვარეობა კველგან ცნობილია და... ამიგომ დზალიან მიკვირს, დახ... ასეგი... შეხვედრა...

- პო, ეს ბუნებრივია, - უპასუხა მშვიდად ჯუმბერმა. - მაგრამ სხვა რა იყით ჩვენზე! მხოლოდ ქართული სკუმართმოყვარეობა... პოდა, თუ გნებავთ, გეგყვით, რატომ არ მისნა, საერთოდ შექონდეს თქვენთან ურთიერთობა.

- დახ... კი... - აიბნა პიგოვრანოვი და ფართო მკერდი უხერხულად შეათამაშა.

ჯუმბერმა ირგვლივ მიმოიხედა და საქმიანი კილოთი თქვა:

- მაშინ, აჯობებს, სადმე სკვერში შევიდეთ, და იქ ვისაუბროთ. ხომ გგალიათ? - დააყოლა ოდნავ დამცინავი კილოთი, როცა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ღანდღვით მღეუარს სხვაგვარად ვერ მოიშორებდა.

- დახ... კი... რა ტკმა უნდა, - მაშინვე დაეთიანხმა პიგოვრანოვი და მხრებში აიწურა.

ათიოდე წუთის უხმოლს სიარულის შემდეგ პატარა, ღამამ, მყუდრო სკვერში შევიდნენ, საიდანაც მღეა არ მოჩანდა და იქ სუფთა, მწვანედ ახლად გადაღებულ ძელსკამზე დასხდნენ. მათგან მოშორებდით ღედაბერი პატარა ბავშვს დაასვირნებდა. სკვერში სხვა არაყის ჩანდა.

ცოტა ხნის ღუმილის შემდეგ სიმუშე ჯუმბერმა დაარღვია:

- მე ერთი რამ მაინტერესებს, - თქვა მან და ფეხი ფეხზე გადაადო, - იცით თუ არა თქვენ, დაახლოებით მაინც, ამ ქვეყნის ისტორია, საქართველოს წარსული.

- პირადად მე? - ჰკითხა პიგოვრანოვმა და მოკლე და მსუქანი თითები გულზე მიიფარა.

- პო, პირადად თქვენ.

- ისე... ცუდად... - შეიშმუნა ქერათმიანი.

- იქ, რუსეთში წარმოდგენაც არა აქვთ ჩვენზე და, რაც მთავარია, არც სურვილი, რომ რამე იცოდნენ საქართველოზე. ეს ასეა? როგორ გგონიათ.

- მე არ ვიცი! - გაიკვირა პიგოვრანოვმა და წარბები მაღლა აწია.

- პოდა, აი, ამიგომ მინდა, ყველაფერი გულახდილად გითხრაო. ოღონდ, იცოდეთ, მე ურაპატრიოტი არა ვარ, დასანახავად ვერ ვიტან ასეთებს, თუ დამეჯერები. პატრიოტობა ისაა, რომ იცოდე შენი ერის სიმაღ-

ლე და სიმაღლეც, ორთავე ერთად. მე ასე მგონია, თვლი არ უნდა დახუჭო სიმაღლეზე და არც შენმა სიმაღლემ ავაცუნდრუკოს. გესმით ჩემი?

- დახ... მაგრამ... „აგაცუნდრუკოს“... კი... ვერ...

- შენმა სიმაღლემ, ყოველივე კარგმა, ცეკვა-თამაში არ უნდა დაგაწყებინოს, - აუხსნა ჯუმბერმა.

- აააა, გასაკვირია... დახ, გავიგე... კი... დახ.

- მართალი გითხრაო, არც ვიცი, საიდან დავიწყო. ალბათ, აჯობებს ყოველგვარი ქრონოლოგიისა და კონსექტების გარეშე ვისაუბროთ. ისე, როგორც სიგყვა მოიცანს, არა?

- დახ, კი, ნამდვილად...

- და მაინც შორიდან დავიწყებ, - თითქოსდა თავისთვის ჩაილაპარაკა ჯუმბერმა, რამდენიმე წამს ჩაფიქრდა, მერე თავი მაღლა აიღო, პიგოვრანოვს შეხედა და ჰკითხა:

- მაინტერესებს, იცით თქვენ თუ არა, რუსი მწერლებიდან ვის უცხოურია საქართველოში, თბილისში.

- აააა, დახ... - რაგომღაც კმაყოფილი გონით თქვა პიგოვრანოვმა. - ალბატ, ბევრს...

- მერე დამიხრცხვა, თავი დახარა და დამატა, - მე არ მახსოვს...

- პო, - ჩადიულუნა ჯუმბერმა, ხელის მტკეუნი იდაყვებზე დინჯად გადაიჯვარელინა, მურგით ძელსკამს მიეყრდნო, წარბები შეჭმუნხა, თითქოსდა რაღაცას იხსენებდა და წყნარი ხმით გააგრძელა: - რამდენი რამაა სათქმელი... - მერე ისევ ჩაფიქრდა, თავი დაიქნა და თქვა: - პო... გახსოვთ, ალბათ, ბავშვობიდან სამუშალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელო.

პიგოვრანოვი ამ შეკითხვას არ ელოდა, ყურები ცქცებდა, ოდნავ დააყოვნა და მოღიმარმა თქვა:

- კი, დახ...

- როგორ ეწერა ყაბზე? История СССР, არა?

- დახ... მე ეს საგანი მიკვარდა.

- და რას ახწავლიდა ეს წიგნი მოწაფეებს? რუსეთის ისტორიას, არა? ამიერკავკასიისა და შუა აზიის ხალხების წარსული სამოთხე გვერდზე იყო მოთხრობილი. და ისიც ყელაბზე წერილი შრიფტით. ასე იყო, ხომ!

პიგოვრანოვი გაინაბა.

ჯუმბერმა წამით შეავლო თვალი კლოუნს, მთელი მკერდით ღრმად ამოისუნთქა და გააგრძელა:

- პო, უძველესი ხალხების ისტორიას წერილი შრიფტით სამი-ოთხი გვერდი მქონდა დათმობილი, რუსეთს კი მთელი წიგნი. ამ ვითომბა წვრილმანშიც კი ჩანდა კრემლის პოლიტიკა. მე უფრო შორიდან მინდა დავიწყო და გითხრათ ის, რაც, დარწმუნებული ვარ, არ იცით. ორიოდე სიტყვით ვიამბობთ, თუ როგორ შემოვიდა რუსეთი საქართველოში ორასი წლის წინათ. რა თქმა უნდა სკოლის სახელმძღვანელოში ამას ვერ ამოიკითხავდით. საქართველოში ცხოვრობდნენ პუშკინი, ლერმონოვი, გრიბოედოვი, ლევ ტოლსტოი, ჩაიკოვსკი, შალაიპინი, გოკი, სხვა ბევრი რუსი და არც ერთი მათგანი არ დაინგერესებულა ჩვენი წარსულით, კულტურით, ხასიათით. სხვათა შორის, როგორც ჩანს, ეს თქვენი ნაციონალური თვისებაა. გახსოვთ, ალბათ, რა თქვა პუშკინმა რუსებზე - мы ленивы и нелюбопытны. გახსოვთ?

- არა, - იბნა პიგორანოვი და ფართო მხარბუკი შეათამაშა. - ბოდიში, მაგრამ რომელ ნაგარბოებში...

- „Путешествие из Петербурга в Арзрум“ დაიხ. ალექსანდრ დიუმა-მამა ერთი-ორი თვით ჩამოვიდა თბილისში და მერე რვაასგვერდიანი წიგნი დაწერა საქართველოსა და მთელ კავკასიაზე. ძირიან-ფესვიანად შეისწავლა ყველაფერი, რაც აქ ნახა. და, იცით, რატომ? უბრალოდ, იმიტომ, რომ იგი ევროპელი იყო, ფართოდ მოაზროვნე და უცხო ხალხის კულტურის დამფასებელი. პიგორანოვმა თავი ნაძალადევი დიმილით გადააქნა და მერე უეცრად, წამიერად, სახებე დადარაჯებული კაცის გამოშეცეველება აღებუქდა.

- ალბათ, იცით, როდის დაიბყრო პირველად რუსეთმა საქართველო, - მშვიდად გააგრძელა ჯუმბერმა.

პიგორანოვს კრინტი არ დაუძრავს, გაქვავებულივით იჯდა.

- ათას რვაას პირველ წელს. რუსეთმა აღრეც გამოამქდავანა თავისი ბუნება, გვიდაბაგა თურქებთან გახურებული ბრძოლის დროს, მაგრამ ჩვენი გულმრწყვილო მჟეე ერეკლე მეორე მაინც მოსკოვისკენ იშვერდა ხელს, სჯეროდა, რომ ქრისტიანული ქვეყანა

არ გასწირავდა.

- გურკებგან ბრძოლის დროს? - აკითხა პიგორანოვმა.

- პო, სარდალმა გოგლებენმა, პეგერბურგის ინსტრუქციით, ბრძანება ვასცა და რიცხობრივად ათჯერ მეტ მკერს შეატოვა ქართველები; და რუსის ჯარმა მაშინ, როცა მაჰმადიანების ზარბაზნებმა გრიალი დაიწყეს, დატოვა ბრძოლის ველი.

ერეკლე მეჟეე იმ დღესაც სასწაული მოახდინა და ვაიმარჯვა. გოგნებული გოგლებენი და რუსის ჯარი ყოველივე ამას შორიდან უყურებდნენ. აი, ასე „მიეშველა“ პეგერბურგი საქართველოს პირველივე დიდბან. იცით ეს თქვენ?

პიგორანოვმა თავი უხმოდ გააქნა.

- როცა რუსეთმა საქართველო დაიბყრო, აქ მაშინვე მეფობა გააუქმა, მოსპო და უძველესი კულტურის ქვეყანა თავის ერთ-ერთ პროვინციად აქცია. იცით ეს თქვენ?

პიგორანოვმა ისეე უხმოდ გააქნა თავი, ჯუმბერს კი მშვიდად მიუყვებოდა:

- ეს არ გაუკეთებია არც ერთ ჩვენს მკერს - არც სპარსელებს, არც რომაელებს, არც არაბებს, არც მონღოლებს, არც თურქებს, არავის... ასევე გააუქმა რუსეთმა ჩვენი უძველესი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია, მეხუთე საუკუნეში დამკვიდრებული ავტოკეფალია, და ეს გააკეთა იმ ქვეყანამ, რომელმაც ქრისტიანობა მეათე საუკუნეში მიიღო, დაახლოებით მაშინ, როცა ბიზანტია საქართველოს დახმარებას სთხოვდა სპარსეთის წინააღმდეგ. არც ეს იცით, ალბათ.

- დაიხ, - დაადასტურა პიგორანოვმა და, როგორც სწევოდა, ფართო მხრები შეათამაშა.

- დაიცნევა და ბედის ირონია ის იყო, რომ ავტოკეფალია წავგართოვა და გავციუქმა ერთმორწმუნე ქვეყანამ. ჩვენცა და თქვენც მართლმადიდებლები ვართ. ეს ხომ იცით.

- დაიხ.

- რუსებმა დააბაგიმრეს და კონვოით გადაასახლეს ნიენი-ნოვგოროდში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ერეკლე მეჟის შვილი. არც ერთ ჩვენს მკერს არ გაუკეთებია ეს. ჩა მამოთილის ყველა იმ სამარცხენიონ ფაქტს, რაც რუსეთის სინოლა ჩადაცნა... ჩვენი დიდი მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი გადაასახლეს და სგავროპოლში მძინარე მოკლეს... რუსეთი კი საქართველოში იმ

კულიანი კლოუნი

დროშით შემოდოდა, რომ მაჰმადიანური ქვეყნებისგან დაგვიცავდა... თუმცა ეს ძალიან შორს წაგვიყვანს...

- მე მინდა ყველაპერი მიგხრატ, - უცებ წარბები შეჭმუხნა პიტოვრანოვმა და ხმასაც აუწია.

ჯუმბერმა წაბით მიხედა ბროწეულისფერ პიჯაკით მოსილ კლოუნისკენ, თვალები მოჭკუბა და მერე ისევ მშვიდად გააგრძელა თხრობა:

- ათასობით ჩვენი ეკლესიის კელებზე უძველესი ქართული ფრესკები რუსეთმა ცარციით გადაღება და გააქრო; ვერ აიგანა ჩვენი დიდი კულტურა და მისი განადგურება გადაწყვიტა. მსგავსი რამ არც ერთი თავდასხმელს არ გაუკეთებია. როგორი შიშლით უნდა ყოფილიყო ავსებელი რუსეთის სამღვდელთება, რომ ასეთი ბარბაროსობა ჩაედინა. ეს ხომ ერთ დღეს არ მომხდარა! რამდენი დრო, რამდენი ფული და რამდენი შრომა უნდოდა ამას...

ჯუმბერი წაბით განუმა და ხამგასმული ირონიით თქვა:

- ასე შრომობდნენ რუსი ხელოსნები თხუთმეტი-ოც წელიწადს. უფრო საზარელი და სამარცხვინო ფაქტი მე არსაც ვამიგია. და ეს ჩაადენინა რუსეთს სხვისი კულტურისადმი მიზღმა თუ შურმა. იმასაც გეგყვით, რომ ჩვენი დიდი, უძველესი ბაგრაგის ტაძარი თურქებმა ერთ დღეს მოსაქეს, ააფეთქეს - შეჩვიდნენ საუკუნეში: ამ ვანდალიზმის გაგება, იმასთან შედარებით, რაც რუსებმა ჩაიდინეს, თითქოს უფრო შეიძლება, რადგან ეს საშინელება რამდენიმე საათით მოხდა. მაგრამ, რა უნდა დაერქვას იმას, როცა მართლმადიდებელი ქვეყანა ათეული წლის განმავლობაში ანადგურებს ერთმორწმუნე ხალხის, ქრისტეს და მისი მოციქულების, ღვთისმშობლის ფრესკებს!

პიტოვრანოვი შეიშმუშნა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და განუყვება ამჯობინა.

- სხვითა შორის, - საჩვენებელი თითი წაბით შუბლზე მიიღო ჯუმბერმა და ოდნავ მამსალდა თქვა, - ჩვენი დიდი ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ არც ერთი მკვრი არ შემოსულა საქართველოში ისეთი მძინვარე შიშლით... თუმცა, ეს სიგვეა, ალბათ, არ გესმით და არც მე ვიცი, როგორ ვითარდნოთ...

- რომელი სიგვეა, - დაინტერესდა პიტოვრანოვი.

- მძინვარე, - უთხრა ჯუმბერმა დამარცვლით, - რაც ნიშნავს ძალიან გაბოროტებულს, მხეცივით, დათვივით... ვასაგებია?

პიტოვრანოვს თვალები გაუფარითოვდა და არაფერი უთქვამს. მხოლოდ წარბები აზიდა შალდა.

. - კომუნისტების მიერ დაპყრობილი ბევრი ხალხი ჯანყდა ან პროტესტს გამოთქვამდა გირანის წინააღმდეგ განუშეული და მონობას შეგუებული იყო Великий русский народ. ერთხელაც რომ ხმა არ ამოუღია! საქართველო ორასი წლის განმავლობაში რუსეთის პატიმარი იყო და არასოდეს - მონა. საერთოდ, როგორც ცნობილია, შეუძლებელია, თუნდაც იარაღით ძლიერმა მონამ იბაგონოს სულით თავისუფალ ადამიანზე. ჯოგური ცხოვრების იდეოლოგიას მხოლოდ არაინდივიდუალური ერის ქვეყანაში შეეძლო მოეკიდებინა ფეხი.

- მე ეს არ მესმის, - თქვა პიტიოვანოვმა. ჯუმბერმა უაზრობად ჩათვალა ნათქვამის განმარტება და უკებ წამოიძახა:

- ტურგენევის სიტყვებს, იცით, მე როგორ შეეცვლიდ? ხომ გახსოვთ მისი ნათქვამი რუსეთზე?

კლოუნმა თავი უხმოდ დააქნია.

- რომ გამჭრალიყო მთელი რუსეთი კი არა, რუსული შოფინიზმი, დღემდეწა თავისუფლად დაიწყებდა სუნთქვას და პირველი რიგში თვით რუსი ხალხი გაბნედიერდებოდა. დაახ, დაახ, ასე იქნებოდა ყოველგვარი ეჭვის გარეშე! რა უნდა უთხრა იმ ხალხს, ლევ გოლსტოის ქადაგებას რომ არ გაპყვება და პროვოკატორ უღიანოვლენინის და მისი ბანდის რეჟიმს სხვრის ფარასავით უხმოდ აიგანს და შეეგუება! რა სიკეთის დონსია ასეთი ერი. თუმცა გოლსტოის არც ერთი სიტყვაც არ უთქვამს ახალი, ყველაფერი ინდური ფილოსოფიიდან, სახარებიდან და ლუთერიანდ აიღო და მისი ქადაგება მთელ მსოფლიოს მოედო მხოლოდ იმიტომ, რომ ბუმბერაში მხაგვარი იყო და ყველას აინტერესებდა, რას იტყვია „ვინა ი მირისა“ და სხვა შედეგების შემქმნელი. გოლსტოის რომ არ დაიწერა ის, რაც მან მხაგვრულ ლიტერატურაში გააკეთა, მისი მოძღვრება საკუთარ ეზოს არ გასცდებოდა. გარდა ამისა, მას რომ ენახა რუსი ბოლშევიკები და კომუნისტური ყოფა თავისი „სახანოვური მოძრაობის“, კომკავშირული ბილეთებით თუ საბჭოური კატორღებით, ანდა პრეზიდენტში ჩამწკრივებული „პელადები“ ბუდიონის ჩათვლით, რუსეთის სულში ჩააფურთხებდა! ეს სხვათა შორის, მთავარი კი ის იყო, რომ

მან გაბედა და წყვილიაღი მოცულ რუსეთში ქრისტიანული ღოგებია დაანგრია, ოთხთავი ერთ თავზე დაიყვანა, უარყო აღდგომა, რისთვისაც ეკლესიამ ანათემა გამოუხსნა, მაგრამ არასოდეს მოუწოდებია თავისი ქვეყნისთვის, გაეთავისუფლებინა დაპყრობილი ხალხები! შეიძლება ვცდები, მე ასე მასსოვს. არ უთქვამს, იმიტომ, რომ მასაც კი, ამ დღე მორალისგს, არ აინტერესებდა დაპყრობილი ხალხების ბედი, ანდა ამას ნორმალურ მოვლენად თვლიდა, რადგან რუსი იყო! მართლაც ვამბობ? მიპასუხეთ გულახდილად.

- მე ტყვენი ვისმენ, - შვივის გუგუნში ყვირილით უპასუხა პიგოფრანოვმა.
„მეტი რაღა ვუთხრა ამ შობელძალს“, - გაიფიქრა ჯუმბერმა და კლოუნი ისე შეათვალა, თითქოს პირველად ხედავდა.
- როგორც ამბობენ, მთელი დედამიწის ხალხებისთვის ნომერ პირველი პრობლემაა კიბო, - ისევ აყვირდა მელომანი. - გყვილია ეს! პლანეტის ნომერ პირველი პრობლემა რუსული მოვიზინებია, მთორე - კიბო. ოღონდ კიბოს კი ვეულებ, როცა იქნება, მოვიზინებს - არა! როგორც გველი არ შეიცივლის თავის მწეს და დეფინიციით ადამიანის მოყვარული არ ვახსდება, ასევე არ შეიცივლის თავის ბუნებას რუსი მოვიზინები. და ეს უბედურებაა, პირველ რიგში, თვით რუსეთისთვის. სასაცილოა - რუსეთი და დემოკრატია, რუსეთი და პარლამენტი. მონური ბუნების ხალხს მხოლოდ მონარქია სურს, საამოვნებს კიდევ გირანის თუ დიქტატორის მათრახი. მეთაურობით ამაში?

პიგოფრანოვმა მხრები აიჩინა.

- დღესაც არ ეშვება რუსეთი ყოფილ დაპყრობილ ხალხებს ათასგვარი ბინძური საშუალებით და ესაა კრემლის პოლიტიკური კრეგინიში, - ისევ აყვირდა ჯუმბერმა. გუშინდელი დღის მობრუნება შეიძლება? რუსეთი განიდევნა ევროპიდან! განიდევნება კაკაპსი-იდანაც! რუსეთი ვეღარ თამაშობს ერთერთ მთავარ როლს მსოფლიოს არენაზე და ეს აციოფებს მოვიზინებს, კომუნისტებს! ერთადერთი გამოსავალი კი ისაა, რომ უარი თქვას „დერჟავის“ პრეგენზიებზე, მიხედოთ საკუთარ მღაპრულ სიმდიდრეს, ნელადა და ჰაბით საკუთარი ბორში. რა თქმა უნდა, სხვა ხალხებიც იპყრობდნენ დასჯატებულ ქვეყნებს, მთელი კაცობრიობის ისტორია ესაა. რუსეთიც თავისი დაპყრობებით თითქ-

ოს განსაკუთრებულს არაფერს სწადის, მაგრამ სხვა ხალხებს, იქნება ეს სპარსელები, არაბები, რომაელები, შიპანგია, ჩინეთი. ინგლისი თუ საფრანგეთი, დაპყრობილ ქვეყნებში თავიანთი კულტურა შექმნიდათ. მონღოლებმა ველური, ჯანმრთელი სისხლით მოაღლიერეს ევროპა. თქვენ რა შეიგნებთ დაპყრობილ ქვეყნების ხალხებში! რაც არ გაგანდათ, რას შეიგანდით! სადაც უყხი დადგით, შიშლი დათესეთ და საპასუხოდაც შიშლი მოიშკეთ!

პიგოფრანოვი ახლა სადღაც შორს იყრიდა და ქვედა ტუჩი უკანკალებდა. ეს შენიშნა ჯუმბერმა და გოცებისაგან პირი დაალო. „როგორც იქნა, - გაიფიქრა ჯუმბერმა. - ეგოცობა, მთლად უაზროდ არ მიქაქანია. სიმართლეს იმოდენა ძალა აქვს, რომ სიქელკანიასაც რაღაცას აგრძობინებს“.

ამ ფიქრით დაიშვებულ თითქოსდა გამხხვედა და აღარც თავისი მთავარი სათქმელის გამქდავება ეჩვენებოდა უაზრობად. გულამდღერეული მღვა დღეაღა, გუგუნება, გრუხუნება, თითქოსდა წალეკით იშუქრებოდა, ამვირთებული ტალღები სულ მალა-მალა მიიწვედნენ და დგაფუნით ენარცებოდნენ ძირს.

რამდენიმე წუთს ჯუმბერს ხმა არ ამოუდია. პიგოფრანოვი გატრუნული იჯდა. - დღემდე არაა შეფასებული რუს მოვიზინებია თუ კომუნისტებთან დაწამებული კაცობრიობის წინაშე, - მთელი ხმით გააგრძელა ქადაგება ჯუმბერმა და კიდევ უფრო ღრმად ჩარგო თავი პიჯაკის საყელოში. - ახალი ნიუნერგია საჭირო. რა გააკეთეს კომუნისტებმა, ბოლოს და ბოლოს იცით? გააუქმეს ბიბლიური სიბრძნე, რომელიც გვასწავლის, მისი ქვეშ ახალი არაფერი ხდება. იმ ჯალათებმა იმდენი სისხლი შესვეს, რაც ამ შეუსვენამ პლანეტაზე ყველა უზურპატორულ მთავრობას, გირანს თუ მონარქს ერთად! აი, ეს იყო მათვან მოგანილი „ახალი“. ერთხელ, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ერთმა რუსმა მითხრა ბორჯომში - მაშინ სულ რაც წლისა თუ ვიქნებოდი, ეს ის დრო იყო, როცა რუსეთმა ჩეხოსლოვაკია გადახნა, ცოცა აღრე კი უნგრეთი და სხვა ქვეყნები „მოარე ქვეა“. მასსოვს, პარკში ვსივრიობდი და ქვეყანა იმ უბედურებაზე და ჯალათების აღვირახსნილობაზე ლაპარაკობდა. იგი უცებ შეჩერდა, მომჩერდა და მითხრა

- Мне стыдно быть русским. ისიც ახალ-გაზრდა იყო, მგონი სტუდენტი. მერე ასეთი რუსი ჩემს ცხოვრებაში აღარ შეხვედრია... დარწმუნებული ვარ, რომ ამას უნდა ამბობდეს თითოეული რუსი, ღიღი, ჰაგარა, განათლებული თუ უწიგნური, უკლებლივ...

ამ სიტყვების დამთავრებისთანავე თვალეზგადმოკარკლული პიგოვრანოვი წამოვიარდა, რაღაც ამოილულულა, ძელსკამის საზურგეს დათვის თათვისგოლა ხელები ჩაავლო, მაღლა აწია, ასწია, გადააყირავა და მიწაზე დაანარცხა. ჯუმბერმა მოასწრო წამოღგომა და გვერდზე გახტომა და გათენებული მიაჩერდა გაფითრებულ და აცახცახებულ კლოუნს. პიგოვრანოვი მთელი მკერდით სუნთქავდა, ქმინავდა და თავხალხული ჩაშტერებოდა მიწას. მერე მკლავით შუბლი მოიწმინდა და დამტკვრეულ და გადაყირავებულ ძელსკამზე უხმოდ ჩამოჯდა.

მღვა გრგვინვით აწყდებოდა ნაპირს, სადღაც შორეთიდან თოღიების ჭყვივით ისმოდა. შეეცებული, მობუშული ჯუმბერი გაფართოებული თვალეებით დასჩერებოდა დამტკვრეულ ძელსკამზე ჩამოქადარ თავხალხულ პიგოვრანოვს, რომელსაც იდაყვები მუხლზე დაყვრდნო და მკერდი გამაღვებით აულ-ჩაუღიოდა. აქამდე იგი თითქოსდა თვიანიერ და გულგრილი აღამიანს ჰკვავდა და მისმა ასეთმა მოულოდნელმა გააფთრებამ, ცოგა არ იყოს, დააფრთხო მელღომანი. „მე კი მეგონა, ყველაფერი ფეხებზე ეკიდა, - ფიქრობდა ჯუმბერი, - თურმე არც ასე ყოფილა. მაგრამ მაინც როგორ გამიბედა ეს. რახან ამდენი ვეჭქაქანე, სათქმელს ბოლოვდე ვეცკყო. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხვდავ გაცოფებულ კლოუნს! ასეთი რამ არ ხდება. პო, სიმართლეს იმოღენა ძალა აქვს, რომ კლოუნსაც წონასწორობას აკარგვინებს. მაინც როგორ გამიბედა ეს“.

პიგოვრანოვი უეცრად შეირხა ჩამხობილ ძელსკამზე, წარბებამიღულმა დაუფრიადა მიზდით დაბლიდან ამოხვდნ მელღომანს და თავი მრავალმნიშვნელოვნად დააკანტურა, რაც, აშკარა დაქადნებას გამონახავდა. ამის დანახვამ ჯუმბერს სახემე აღმური მოელო და კლოუნს პირდაპირ მიახალა:

- შენი ჯიმის ხალხი ხვრებს დღესაც ქართველების სისხლს! კიდევ ბედავ და აქეთ მეჭუქრები? ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ჩაიხედოთ საკუთარ თავში რუსებმა!

ჯუმბერი ისე იყო გაცეცხლებული, რომ უკვე აღარ შეეძლო და შემდეგდაც თვლიდა „თქვენობით“ მიემართა კლოუნისთვის.

- ათას ცხრაას ორმოცდათექვსმეტში შვიდი წლის ვიყავი. მაშინ რუსმა შოინისგებმა კომუნისტური სისტემის მთელი დანაშაულობა მხოლოდ სტალინს მიაწერეს და მას შეახოცეს ხელი. ვინ წამოიწყო ეს? სტალინის გულსამრევემა ლაქიებმა და ჯალათებმა ორფეხა ღორის მეათურობით, ღენინი კი, ეს დაუფარვებული გაშუში, მასონი და სოფლიკიკი, მთავარანგელოზად აღიარეს. მერე დაიწყეს საქართველოს ბეზნად აგდება და იქამდე მივიდნენ, რომ ჩვენი მიწიდან გასახლებით ვეჭმუქრებოდნენ!

ჯუმბერმა პიჯაკი შეხისხნა, საყელო ნერეულად გადაიწია და ისევე ხმამაღლა განაგრძო:

- სამი ათასი წლის სახელმწიფოებრიობის მქონე ხალხს საკუთარი მიწიდან აყრიოთ და გადასახლებით ემუქრებოდა ვინ! ისინი, ვინც პირის დაბანა მეათე საუკუნეში ისწავლა. საქართველოს სულში ჩააფურთხეს მონებმა, ლაქიებმა, სისხლისმძმელებმა, უწიგნურებმა, გონებდახშულებმა, ანუ - კომუნისტებმა თუ შოინისგებმა! ქართველებმა ხალხმა ვერ აიგანა ასეთი დამცირება და წითელი იმპერიის ისტორიაში დაპურობილ ხალხებს შორის პირველი აჯანყდა კრემლის წინააღმდეგ. მაგრამ აჯანყდა მიშველი ხელით. ქვეყკი არავის ელო ჯიბეში და მიზდით ვატენილმა რუსმა შოინისგებმა უიარალო ხალხი ამოწყვიტეს... მე, შვიდი წლის ბავშვი, ხელჩაკიდებული მივეყვოდი ჩემს უფროს დას რუსთაველის პირსექტეზე, კავშირგაბშულობის სახლის წინ, როცა განკეები შემოგრიოდა. მერე ჯარის გამომხნა ავგომბაგებით ხელში. გყვიები რომ დავვიმინეს, ჩვენ, სხვებიან ერთად, ბაღისკენ გავიქეციით. ჩემი და მიწაზე დაეცა, ხელს მაინც არ მიშვებდა. გყვია ყელში მოხვედროდა, თავი სულ სისხლით მქონდა მოთხვრილი და ხროგინებდა. მერე მე ვიღაცამ გამომგაცა მის ხელს და სადღაც გამაქანა... მახსოვს, როგორ ეცემა ჩემს გარშემო ხალი მიწაზე... არავინ ყვიროდა, მესმოდა მხოლოდ გყვიების კაკანი...

ჯუმბერი წამით გაჩუმდა, სული მოითქვა, მოქუერულ ცას ახვდა და, თითქოს მამამეციურს შესხივისო, წამოიძახა:

- და არავინ დაუსჯიათ! არავინ!

პიტოვრანოვი ისევ უძრავად იჯდა მუხლ-მებრე ილაყვადყრდნობილი და თავჩაღუნული. მერე, როგორც სხვეოდა, ფეხზე სხარტად წამოდგა და აწვირთებული ტალღების გრუხუნში ხმამაღლა თქვა:

- მე არაპერი მესმის, - და მსუქანი თითი ყურზე მიიღო.

ჯუმბერი მიხვდა, რასაც გულისხმობდა კლოუნი, მაგრამ მისი სიტყვები მაინც სხვაგვარად გაიგო და თავში გაუელვა - „ნუთუ გყვილად ველაქლაქე ამდენი“.

- ცაიდეგ იკიგ, - ხმამაღლა წამოიძახა პიტოვრანოვმა და ხელი ბულვარისკენ გაიქნია.

- არა, - მაშინვე ყვირილით უპასუხა ჯუმბერმა, - ორჯერ ორი რომ ოთხია, ამის დასამტკიცებლად სხვაგან წასვლას აღარ ვაპირებ. აქ მოვრჩები ჩემს სათქმელს.

პიტოვრანოვმა მხრები აიჩეჩა და ძელსკამზე მორჩილად დაჯდა.

ქარი ძლიერდებოდა, მღვის ტალღებიც მგეი გაბორტოვებოდა ენარცხებოდნენ ნაპირს.

- დღესაც კი მუხასაუკუნეების ინკვიზიტორებიერთი აწროვნებენ რუსეთის შოვინისტურ თუ კომუნისტურ ღუმელში, - აყვირდა ჯუმბერი და კლოუნისკენ მიჩონდა. - და ვერ შეუგნა იათ, რომ მსოფლიო აღარაა გაყოფილი ორად, როგორც ადრე იყო კრემლის მიმემოთ. და მაინც, ისევ და ისევ, თავის ბუნებას არ დალაგობს და დღესაც, დედამიწის ყოველ კუთხეში დაგზავნილ ათასობით ჯაშუშს არჩენს მოსკოვი მაშინ, როცა მილიონობით ბავშვი შიმშილით ეხოცება. ასე ღორებიც არ ექცევიან საკუთარ გოჭებს!..

პიტოვრანოვი ეღვისებურად ფეხზე წამოიჭრა და იმწამსვე დაჯდა.

- პო, პო, - ყვიროდა ჯუმბერი, - არც მეტი, არც ნაკლები! მთელმა დედამიწამ ნახა ამერიკელი ასტრონავტების დაჯდომა მთვარეზე, თევობით უყურებდა პლანეტის მოსახლეობა, ინდიელებიც კი, ამ სასწაულს, სამყაროში ახალი ერის დაწყებას და ბუნელმა, ბინძურმა და მურიით და მიმდით გაბედილმა რუსმა შოვინისტმა თავის დაპყრობილ ხალხებს და საკუთარ „პოსლუშნი“ ხალხს ეს არ არჩენა! ამაშიაც გამომტყავნდა კომუნისტების მწე და ბუნება... ჩვენი გარუსება გინდოდათ, ყველა დაპყრობილი ხალხის რუსოფიკაცია იყო თქვენი მიზანი და რა შიშიმკეთ! აი, ეს!

და ამ სიტყვაზე ჯუმბერმა პიტოვრანოვს ბლიკვი უჩვენა.

- მე ტყვე კულტურული ადამიანი მგონიხარგ, - თქვა ხმამაღლა და წარბები მაღლა აშიადა.

ეს სიტყვები ჯუმბერისთვის ცეცხლზე ნავთის დახსმა იყო და გაანჩხლებულმა წამოიძახა:

- ცხრა აპრილი რომელი ხალხის კულტურამ მოაწყო თბილისში! გეკითხები და ხმა ამოიღე!

პიტოვრანოვი არც განძრეულა. ჯუმბერი გაჩუმდა, მიწას ჩააშტერდა და რატომღაც ხმადაბლა გააგრძელა, ფიქრებში წახული კაცივით ალაპარაკდა:

- მაშინ მე ორმოცი წლის ვხდებოდი...

კლოუნმა ხელით ყური მოიფარა და ჯუმბერს პირთან მიუგანა.

- მაგრამ თქვენ ხომ ეს არ გაინტერესებთ, - თავისთვის თქვა ჯუმბერმა.

- როგორ? - პიოხა ყურზე ხელამოფარებულმა კლოუნმა და აწვირთებული ტალღებისკენ გაიქნია თავი.

- მაშინ, ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა წლის ცხრა აპრილს თბილისში, შთავრობის სახლის წინ, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. დიდისთვის თუ პაგარისთვის აუგანელი გახდა გახრწნილი ჯალბათური კომუნისტური რეჟიმი... ხალხს ხელში ანთებული სანთლები ეჭირა და დროდადრო პაგრიოტულ სიმღერებს მღეროდა... ჩემთან ერთად იყვნენ დედა, მამა და ჩემი უმცროსი და-ძმა. გამოთუნისას პაგრიარქმა შეკრებილი მოუწოლა, დაშლილიყვნენ, რადგან მისი თქმით, უბედურება გვიახლოვდებოდა - უკვე ისმოდა ტანკების გრუხუნი. ფეხი არავის მოუცვლია, ერთი კაციც არ განძრეულა ადგილიდან... მეტიც, უსინათლო ქალებმა უფრო ხმამაღლა იწყეს სიმღერა. მერე გავიგონე, მამაჩემის ხმა - „მოვიდნენ“, და უკან მიეხიდე ასულგზე ჩამსხდარ ხალხში ავტომატებითა და აღესილი ნიჩბებით ხელში ჩაფხუტაინი საღაბოები მოაბიჯებდნენ. აქა-იქ კვილიც გაისმა. დედაჩემი ინსტინქტურად, ალბათ, იმ იმედით, რომ ჯარისკაცები ხნიერ ქალს მაინც დაინდობდნენ, მამას, მე და ჩემ და-ძმას ვალაგვეყვარა. რა იცოდა, საცოლაგამა, რომ ის საღაბოები „პოსლუშნი“ ხალხის შვილია იყვნენ... მე რაღაც ჩამარტყვეს თავში და გონება დავეკარგე... თვალი რომ გავახილე,

საავადმყოფოში ვიწეკი... იმ დღეს მომიკლეს ხამა. რუს სალდათს შებრძოლებია მიშველი ხელით... მომიკლეს ძმა. თავგანჯილი დედა გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ დარღმა მალე გადაიყოლა... ქიმიური იარაღისგან მოწამლული ჩემი და სხვა, ორი ათასამდე მოწამლულ ადამიანთან ერთად დღესაც მკურნალობს... მე გადავრჩი, არ ვიცი, როგორ, მაგრამ გადავრჩი. ჩემ დას კარგად ახსოვს, რამდენ ხანს სდია ერთ ქალიშვილს ალესილინი-ბიანმა სალდათმა და ყსაბივით როგორ აჩეხა ეკლესიასთან. ვესმის? ყსაბივით! სანამ გონებას დაეკარგავდი, ვხელავდი, როგორ ასხურებდნენ ირგვლივ გაფანტულ ხალხს ჯარისკაცები რაღაც თეთრ სითხეს... არავინ იცის, რამდენი აჩეხეს და მოწამლეს იმ დღეს დიდი კულტურის მქონე ერის შვილებმა ველურების იარაღით - ალესილი ნიჩბებით და ცივილიზებული იარაღით - ქიმიური იარაღით!

უკანასკნელი სიგვეები ყვირილით დაამთავრა ჯუმბერმა და აქომინებული ფეხზე წამოღდა.

გუადმართული ტალღა, თითქოსდა თანაგრძნობის გამოსახატავად, საშინელი ძალითა და გუგუნით ზღვის ნაპირს დაუნარცხა და ამ შემზარავ ხმას თოლიების ჭყვილიც დაერთო.

პიგოვრანოვმა ბროწეულისფერი პიჯაკი ელვისებური სისწრაფით შეიხსნა და თავზე დამდგარ ჯუმბერს თვალმოჭუტულმა ამოხედა.

- ეს არაადამიანური ხოცვა-ჟლეტა შენმა მთავრობამ ჩაიდინა, - სულის მოთქმის შემდეგ აყვირა ჯუმბერი, - და რუსულმა გოენ-შინამ, ამ ლაჩრების, გონებადასშულებების, უწიგნურების და მიმღივ გატენილი პირუტყვების ხროვამ ეს ტრაგედია ვითომდა ხალხში მომხდარი არეულობითა და ჭყლეტით ახსნა. ჩვენი ჯარი იქ წესრიგის აღსადგენად მივიდა და დემონსტრანტებმა მადლობის ნაცვლად ლანძღვა დაგვიწყესო!.. ასე უგოფრად მხოლოდ პოლიტიკურ პედერასტებს შეუძლიათ ილაპარაკონ... დასაჯეს ვინმე?! თუნდაც ერთი! არა! მაგრამ, ამის დროც მოვა!.. დარწმუნებული ვარ...

ჯუმბერმა მოქუერულ ცას ახედა, მერე კლოუნს დააცქერდა და წამოიძახა: ვინა ხართ თქვენ, ბოლოს და ბოლოს! რა ჯიმისა ხართ! რა სულის! რა მნის! ვის უყვარხართ

თქვენ! რომელ ხალხს ამ დედამიწაზე! დამისახელე თუნდაც ერთი ისეთი ხალხი, რომელსაც უყვარხართ! თუნდაც ერთი ხალხი! ერთი! ერთადერთი!

პიგოვრანოვი თავისი მასიური ტანით შეირბა ძელსკამზე და ჯუმბერს მშერა მოამთორა.

• აქომინებული მელიომანი ყვირილის დროს თითებგაფარჩხულ ხელებს იშველიებდა და აქეთ-იქით იქნევდა.

- ვის უნდა თქვენთან ყოფნა ამ დედამიწაზე! არავის! არავის! საღაც მიხვედით, მიზმი დათესეთ და მიზმი მოიპოვეთ! ვის უყვარხართ! თვით სლავებსაც კი, თქვენი ჯიმის ხალხს, ემიღებით! და განსაკუთრებით უკრაინელებს! ამ სიმართლეს ხომ ვერ გაუქცევით! და ხალხების მიმდებ თქვენმავე შოვინიზმმა მოგიგანათ, სიბნელემ, გაუმადლობამ, სხვა ქვეყნებისადმი უპატივცემულობამ... მთელი მსოფლიო ხელავს, რომ ზღაპრული სიმდიდრის მქონე ხალხი შიმშილით კვებით თქვენივე უტვირობითა და უნიჭობის გამო! გაჩენის დღიდან მათხოვრებივით ცხოვრობთ და გინდათ, რომ სხვა ხალხებმავე თქვენსავით იცხოვრონ და შურით იხრჩობთ, თუ სხვა ხალხი გაცობით...

პიგოვრანოვი მკვირცხლად წამოღდა, ხელები ბროწეულისფერი პიჯაკის ჯიბეებში ჩაიწყო, თავი გვერდზე გადახარა, ჯუმბერს თვალები გაუსწორა და გამომცდელად ჰკითხა:

- ტყენის ამრით, რა გვიშველის! დიახ... დიახ... მხოლოდ ტყენის ამრით.

ჯუმბერი არ ელოდა ასეთ შეკითხვას, თითქოსდა ესაიამოდა კიდეც, დაცხრა, დრმად ამოისუნთქა და დიდი ხნის დუმილის შემდეგ ხმადაღმა თქვა:

- ან ქალს უნდა გადააბაროთ ყველაფერი, რუსის ქალს, რომელშიც დიდი ინდივიდუალობაა, რაც თქვენ, მამაკაცებს, საერთოდ არ გაგაჩნიათ, ანდა გაავრძელოთ ცხოვრება ისე, როგორც დაიწყეთ.

ბოლო სიტყვების ამრს კარგად ვერ ჩახვდა პიგოვრანოვი და მხრების აჩეჩით ძელსკამზე ისევ დაჯდა, რაც, ალბათ, იმას მიანიშნებდა, რომ გუმანით მაინც რაღაც იგრძნობდა და ხმამაღლა თქვა:

- მე არ მესმის, რას გულისხმობს.
- უნდა მოიყვანოთ უცხოელები, ჩააბაროთ ძალაუფლება და გეშველებით, - მიახ-

კუდიანი კლოუნი

ალა ჯუმბერმა, - მთელი თქვენი ისტორია ხომ ამას გასწავლეთ.

პიგოვრანოვმა დათვის თათისგოლა ხელის მტევანი ძელსკამის საზურგეს მძლავრად დაარტყა, მიწას ჩააშტერდა და გაირინდა.

ჯუმბერი განუძღა, აბობოქრებულ ცალღებს გახედა და ზღვის პორიზონტზე ისევ ხომალდს დაუწყო ძებნა.

სტიქიის გუგუნში, დროდადრო ახლა უფრო მკვეთრად ისმოდა თოლიების ჭყვივლი.

პიგოვრანოვი ცალი მკლავით მუხლს დაეყრდნო, თავი მიიმეღ აიღო, ჯუმბერს წარბეზამიძულმა დაბლიდან ახედა და ხმაძაღლა უთხრა:

- კიდევ ხომ არ მეტკვით რამეს.

ამ სიტყვებში ირონია და მუქარა იგრძნობოდა, მაგრამ ჯუმბერი არ გადამიზანებულა, ისე მიუგო.

- არა, ოღონდ უნდა იცოდეთ, რომ რაც მე ამ ორი დღის განმავლობაში მოგახსენეთ, ესაა ზღვაში წვეთი. გასაგებია? ზღვაში წვეთი! აჯერ ახლა, ნაპოლეონის დროს, რუსები ევროპისთვის ისეთივე ბარბაროსები იყვნენ, როგორც თურქები!..

პიგოვრანოვმა უხმოდ და თითქოსდა დაქაღვლილად თავი რამდენჯერმე დააქნია. „კიდევ აქეთ მეშუქრება“, - გაიფიქრა ჯუმბერმა, კლოუნს გვერდით მიუჯდა და ყურში ჩაძახა:

- როგორ ფიქრობ, ამ ზღვაში შენსავით დაბრწყინებულ უნდა გადაარჩინოს ყველა რუსი ქართველმა, რომ კრემლმა საქართველოს პატივი სცეს? დღესაც რომ არ ეშვება რუსეთი თავის ჭუჭყიან საქმეს, ამას ხომ მთელი მსოფლიო ხედავს! როდემდე უნდა იაროთ ამ ბინძურ ვაზზე, როდემდე!..

- მე ტკვენ არ გეტანხმებიც... დაიხ... - წამოიძახა უცებ პიგოვრანოვმა და ძელსკამის საზურგეს ისევ დაპკრა მიძივ ხელი. - არაპერში არ გეტანხმებიც.

ჯუმბერს უტებურად სიცილი წასიდა და დაიფიქრა: - ასედაც ვიცი!

პიგოვრანოვმა თვალები მოჭკუტა, გულჩათსრობოდ თუ უცნაურ კაცს სახეში ჩააქცერდა, განიერი მხარბევი შეათამაშა, თითქოსდა გაიშორა და დამარცვლით ხმაძაღლა უთხრა:

- ტკვა ღვემბერ არაკი.

თავგადასკვლარ მუღოზანს თავის სიცოცხლეში პირველად მოეჩვენა, რომ სმენა ღალა-

ტობდა, მაშინვე ყურზე ხელი მოიფარა და გაოგნებულმა და თან დაშინებულმა ბროწეულისფერ პიჯაკით მოსილ ქერათმიან კლოუნს ზღვის ტალღების გუგუნში ჩუმაღ პკითხა:

- რა თქვი?!

- პიგოვრანოვმა შეკითხვა ვერ გაიგონა, მაგრამ მიხვდა, რასაც ეუბნებოდა გულჩათსრობილი კაცი და დამცინავად გაიმეორა:

- ტკვა ღვემბერ არაკი.

მუღოზანმა გაოცებისგან პირი დააღო, თვალებდაჭყეტილი დიდხანს მისწერებოდა თითქოს ერთ წამში კუდიანად ქცეულ კლოუნს და მის ხორბლისფერ სახეზე აბეჭდილი ირონიული დიმილის ამოცნობას ცდილობდა. ასე ისხდნენ რამდენიმე წუთს, ხმას არც ერთი არ იღებდა.

ზღვა გუგუნებდა, გრუხუნებდა, ბობოქრობდა.

ბოლოს ენა მაინც ჯუმბერმა ამოიღა და მისთვის უკვე კუდიანად ქცეულ ბროწეულისფერ პიჯაკით მოსილ ქერათმიანს შეფიქრანებულმა უთხრა:

- თუ ახე კარგად იცით ქართული ლიტერატურა, ისიც უნდა გესმოდეთ, სად და როდის თქვით ეს.

- დაიხ, ვიცი... კი, - ახლა აშკარად დამცინავი დიმილით უნახუბა პიგოვრანოვმა, იმით კმაყოფილმა რომ ჯუმბერი მისმა სიყვებმა გააოცნა და თან დააფრთხო.

- თქვენმა მხსნელმა მინდია გოგემვილმა გასწავლათ სულხან-საბა ორბელიანი?

- არა, - ძალზე კმაყოფილი ტონით თქვა პიგოვრანოვმა. - ჩვენ ხომ კველაპერი უნდა ვიცოდებ საკარგელოზე! ტკვენ კი პიკროტ, არაპერი ვიციც, - მერე უშნოდ გაიძიჭა და ჯანსაღი კბილები, ცხენისას რომ მიუკვავდა, პირველად გამოაჩინა.

- ვინ „ჩვენ“, - ჩაეძია გაოგნებულ ჯუმბერი.

პიგოვრანოვმა პასუხი დააყოვნა, მოღმარი სახე უეცრად მკაცრი გამომეტყველებით შეეცვალა და ცივი, ოფიციალური ტონით თქვა:

- დაიხ... მე კაცებს განამშრომელი ვარ... მაიორი... დაიხ... კველაპერს იც გაესაცუდიდნენ... კველა რესპუბლიკაზე და საკარგელომედაც... კარგია, რაც მიგხარობ... დაიხ... მეცოდინება, რომ ტკვენისგანა კარგელები არიან საკარგელოში... დიდი მადლობა ღეკ-



ციხისგვის... მაგრამ, იცოდებ, რომ მე კარგი მუხსიერება მაქვს... დაიხ... და შემდეგ არ ინანოტ, - ხმაშაღლა, მენტორული ტონით დაამთავრა კლოუნმა, ჯუმბერს თითი დაუქნია და მიიმედ წამოიღა. ერთხანს ძელსკამის წინ ბოლოს ცემას მოჰყვა, ბოლოს შეჩერდა, ხელები უკან დაიწყო და თვალებად ქვეულ მელომანს ამპრიგებულურად უთხრა:

- რუსეგი მუდამ იმაზე უპრო დზღიერია, რაც მოჩანს ბევრის გვაღმი... დაიხ... და ჩქუგ იკავიგ, - და ისევ დაუქნია თითი.

ზიზღი, რისხვა და შურისძიების გრძობა ახლა ისე ახრჩობდა სულშეხუთელ მელომანს, რომ აღარც მღვის გუგუნი ესმოდა და აღარც თოლიების ჭყვივილი. რამდენიმე წამს თვალებად ქვეული, გახევებული იჯდა, მერე შეშლილივით წამოიჭრა, გაფარჩხული ხელეზით პიგოვრანოვს მივიარდა და დაუყვირა:

- ალაშიანური ენა პირუტყვევითან არ ჭრის! ჩემი და-ძმა, შშობლები, ახლობლები შენისთანა ორფეხა ღორებმა დახოცეს და კიდე თიის მიქნე? დღესაც, საღაც სისხლი იღვრება დედაშიწაზე, თქვენი ბინძური ხელი იღვრება! ვინ მოაწყო ქართივლების გენოციდი აფხაზეთში! ვინ აგვიმხვრავ ოსები! ვინ გააბრიყვა აფსუები! ვინ ეომება დღეს საქართველოს! ბნელი, გაცოფებული, გახრწილი, გამათხოვრებული შოვინისტური რუსეთი! კიდე ბედავ და მემუქრები? ღორის ნაშიერი! რაღაც ალაშიანური ხომ უნდა იყოს თქვენში! გაჩუმი მაინც! მაგრამ ვის უნახავს კაციჭამა, სინდისის მქონე ღორი! რაგომ ემიზღებოდა ჰეგელს რუსეთი!.. საქართველოს ემუქრებით? მთელი მსოფლიოს მიზღი წაგლეკავთ! წაგლეკავთ ეს უზარმაზარი ძალა! ბნელ რუსულ ტენის ჰგონია, რომ „დერკეავს“ ღამპალი „კაგეუს“! წყალობით შეინარჩუნებს, შენისთანა დღადარების, ლახრების, ჯაშუშების წყალობით! რამდენი სისხელი შესვა შენმა აშშორებულმა ბუდე! გიფიქრია ამაზე? და კიდე გინდათ შესვათ მღვა სისხლი!.. რითი გაქვს გამოგენილი ეს ბნელი გოგრა! ვეღარ უნდა ხვებოდე, რაგომ გავირობდი? ფაშისგებზე უარესები ხართ! ასჯერ, ათასჯერ, მილიონჯერ უარესები და ამიგომ გავირობდი! წაეთრიე აქედან! ახლაე! ამ წუთში Убирайся, свинья вонючая! Вон отсюда! Вон! Вон!.. - ხმის ჩახლენამდე დაიდრიალა ჯუმბერმა, დამტვრეული ძელსკამის საზურგეს ორივე ხელით

მთელი ძალით ჩააფრინდა, ღარგყა ააგლიჯა და პიგოვრანოვის თავზე შემართა. კლოუნმა მკვირიცხლად ისკუპა და დარგყმა აიცილნა. ჯუმბერმა ისევ მოუღერა ჩამავებული ღარგყა, მაგრამ პიგოვრანოვი მარდად შეტრიალდა და ბულვარისკენ გასაოცარი სისწრაფით გაძენქულდა, ჯუმბერმა მოღერებული ღარგყა ძელსკამის საზურგეს გამკეცივით დააპკრა, დაამხვრია და ხელში შეერჩინილი ნამგვრევეები შორს მოისროლა. თან გაქვეული კლოუნისკენ იყურებოდა და ხმაშაღლა სუნთქავდა. პიგოვრანოვი უკან მოუხედავად გარბოდა და ამით ნახაიამოვნები ჯუმბერიც ხელ-ნელა ჩაცხრა.

ამვირთებული მღვა ბობოქრობდა, გუგუნებდა, გრუხუნებდა და ისევ ისმოდა თოლიების ჭყვივილი.

იმ საღამოს თეატრში, კონკურსზე ქართველი მომღერლები გამოდიოდნენ, მაგრამ მელომანს ამის გახსენებამაც ვერ გამოუკეთა გუნება და გადაწყვიტა, ჩვეულებისამებრ, დრო მოეკლა, მთელი დღე ქალაქში უხეტიალა. საგანგებოდ ისაღიდა უცხო უბნის პავილიონში, თითქმის მრავალფეროვნებისთვის, უფრო კი იმის იმედით, რომ ახალი გარემო გადააიყვებდა პიგოვრანოვის არსებობას. არადა, ყოველ წუთს თვალწინ ედგა მისი ხაგი და ეს აღიმიანებდა. „ეგება შეაწუხოს სინდისმა და სულ წაიხსნოს ქალაქიდან“, - ფიქრობდა თავისთვის და ამით დაიძლეულმა საღამოს თეატრისკენ გასწია. როცა ხალხით სავსე პარკერში ცნობისმოყვარე თვალებით შეიხედა, დაინახა, პიგოვრანოვი ისე გადათხლემილი იჯდა თავის ადგილზე, რომ მასური, უზარმაზარი ტანით სკამი მთლიანად ამოვსებული ჰქონდა. „არა, ამას აქედან ვერ ააგვად“ - უმიძღოდ გაიფიქრა ჯუმბერმა და იარუსები შეათვალა. თეატრი გადაჭედლიდა იყო, დარბაზში ნემსიც არ ჩაერგებოდა. ჯუმბერმა სინანულით გადახედა თავის სკამს, თავისუფალ ადგილს, რომელმაც არავინ იჯდა და თითქოსდა ეპატიებოდა, უხმობდა. „საღამო ფეხზე დაედგები“, - გაიფიქრა სასოწარკვეთით და ისევ მთავლო თვალად დარბაზს. სულ მაღლა იარუსზე კიდე შეიძლებოდა ადგილის მოძენა. „მაგრამ, სხვნიდან რას მოვისმენ. ამ კლოუნს კი ძალით თუ გააგვად აქედან“, - გაიფიქრა ჯუმბერმა, ერთხელ კიდე გახედა გადათხლემილ პიგოვრანოვს, თავის სკამს,

ცარიელს, თავისუფალს და გულამღვრეულმა ფორესკენ გასწვია. იქ დიდხანს სცემდა ბოლთას და გამოსაქალს ეძებდა. რა, არ გადახდენია ამ ცხოვრებაში, მაგრამ ახლა პიგორანოვის გვერდით დაჯდომი და არიების მოსმენა სიკვდილის გოლფასი იყო თავგაკლული მელომანისთვის... გრძობდა, საკუთარი თავი შემომღლებოდა, თუ კლოუნთან ისევ იქაქანებდა და გადაწყვიტა; დაეტოვებინა თეატრი, ქალაქი, გასკლოდა იქაურობას. „ამათ მხოლოდ ძალა თუ ასწავლის ჭკუას, სხვა არაფერი“ - ფიქრობდა ქეჩაში ხელი ნაბიჯით მიშავალი და თეატრის რამპით გაჩირადლებული სცენა ედგა. თავგადაკლული მელომანისთვის საერთაშორისო კონკურსის მიტოვება უდიდესი მსხვერპლის ვალეა იყო. მაგრამ არ შეეძლო, სხვაგვარად მოქცეულიყო...

თავისი ბუნავიდან პაგარა ჩემოდანი და პლაშში გამოიგანა და სადგურისკენ ისევ გასწვია, რომ სახლის პატრონს არც გამოშვებოდა. გული წყლებოდა, რომ გოვებო მისთვის უკვე ნაენობ ქეჩებს, მაგრამ პიგორანოვის გვერდით ჯდომას ყველაფერი ერჩია.


მაგარებლის გახელამდე დიდი დრო იყო და ორი საათი სადგურზე იხეტიალა. მერე ბილეთი აიღო, ბუფეტში იფაშშა, დარჩენილი ფულით, თავს ნება მისცა ერთი ბოთლი ლენოც დაეღია და ვაგონში ავიდა. კუპე ცარიელი დახვდა, თავის საწოლზე წამოწვა და ჩემოდანი, ზედ დაფენილი პლაშშით, თავქვე ამოიღო. „არ უნდა წამოვსულიყავი, - სინანულით გაიფიქრა ჯუმბერმა და იგრძნო, რომ გული მოეწურა, - ალბათ, ისე ვერ ველაპარაკე, რომ ის გაქცეულიყო... თუმცა, არა, რუსი მხოლოდ ძალას უწევს ანგარიშს, რუსს ძალით თუ გააგლებ... სხვა

წამალი აქ არ ჭრის... ამას ვარდა, რუსი ბილეთის ფულს იმარალებს? წინასწარ აღებული ორი კვირის ბილეთის ფულს? თუნდაც „კაგებეს“ მივლინებით აღებულს! გამორიცხულია ეს! სამუშაოზეა ის კაცი და რას ერჩი! მისმა ბნელმა ქვეყანამ ხომ ყველაფერი უნდა იცოდეს ჩვენზე... მალე დაკარგავს სამუშაოს, სულ მალე და მერე ვიმის ვარემე ცხვირსაც ვერ შემოყოფს აქ. ასე იქნება ეს... ამას თვითონვე გრძობენ და მორიელელებით წრიალებენ. თუმცა კლოუნები ხომ არაფერს არ განიცდიან...“

მაგარებელი რომ დაიძრა, ჯუმბერი უკვე ღრმა ძილში იყო. სიმშარში გრუსის ამირა პიგორანოვი გამოეცხადა; ინდიელების ბე-ლაღი იყო, წარამარა იღმეჭებოდა და გარე-ჯულ უშარამაზარ ხელს ხან თავზე ვვირგვინად დადგმულ ფარშეანგის ფრთებს უხე-მდა, ხანაც თავისსავე მაიმუნის გრძელ, ბან-ჯგელიან კულს და წელზე შემოცმულ პოლა-პოპის რგოლს ოსტატურად აპრიალებდა. მისგან მოშორებით იდგა თეთრ კოსტიუმსა და თეთრ შლაპაში გამოწყობილი დიდი მო-მღერალი და მამულიშვილი ღავით ანდ-ულაძე და შვიდი წლის ჯუმბერს რაღაცას ეუბნებოდა, თან ხელს პიგორანოვისკენ იშე-ერდა, მაგრამ მელომანს არ ესმოდა უსა-ყვარლესი გენორის სიგყვები.

ჯუმბერს გამოეღვიძა და ცარიელ კუპეს თეალი მოაეღო. „ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ეს სიმშარი“, - გაიფიქრა მან და მაშინვე ჩათვლია. მაგარებლის ბორბლების რიგ-მიან დაგადუგში დიდხანს ესმოდა ძილში ჩაყოლილი მღვის გუგუნი და თავისივე სიგყ-ვები - „ძალით თუ გააგლებ, ძალით თუ გა-აგებ, ძალით თუ გააგლებ...“

მერე გვერდი იცვალა.



გოჩა ხარანაული

* * *

შემოჩენილი ათასი რკული,
შემოთესილი სისხლი ათასი,
ბევრჯერ გათიულეს ქართული გული,
ცრემლი მართასი,
სიცივა მათესი.

შენმა თუ სხვისამ, სხვისამ თუ შენმა,
ბევრჯერ დათრგუნა ჩვენი ლაშკით,
ვერ აიგანა უნასმა ჭრელმა
შენი ეშვი და შენი ლაშკით,

ვაგლახ, რომ ჩვენმა სისხლმაც და ხორცმაც
ისევ შემოპკრეს ახლა სხვა მარებს,
ბაგით ყოველით გაცხადლეს ლოცვა!
მკედრებით უხრწნელად აღსდევ, ლაშარევ!!!

შიში

მე ახლა ვხედები, დიდი ხნის შემდეგ,
ვინ მომიმარჯვა ჯადო და ნაესი,
რომ უდიდესი ვეზირიც იყო
„მეფეს არ უნდა ჩაუჯდე ნაეში“.

მე ახლა ვიცი რატომ ვარ დიდი,
ან რად ვარ მცირე სიდიდის გამო,
სულის ეგრატებს თუ როგორ ვშლიდით
რამეთუ ხორცის გაგვეგო გემო!

თუმც უხილავი ჩვეული გმნებით
ცას ვარსკვლავებით დილაძლე პქარგავს,
მე ახლა ვიცი ხვალის და შუგის,
და უფრო იქით მე ვიცი კარგად!

ვერ ვიმზირები თუ რატომ ცისკენ,
და ველარ ვხედავ ჭალეს აგეხილს,
მე ახლა ვუგებ ტერენტის ისე
ყველს ვერ გაუგებს პურის ნაგეხი!

ო, ველარ ვუვლით და ველარ ვიცივით
ქსეული ლეშად და მელმეგ ბარგად,
წინაპრის სისხლში გამომცხვარ მიწას,
სიოცნესხავით ასე რომ ვკარგავით!

ვარ აღბეჭდილი იღუმალ ნიშნით,
თუმცა წაშლიქეს და ველარ ვღებობ,
რატომ დაგვემდა სიმაღლის შიში,
ცოცვაზე რატომ გავცევალით ფრთები!

და პაპაჩემის საპარე ოხრავს
პასუხად, მე რომ სანთელი ვაქვრე,
მე იმას ვშიშობ, არ დამრჩეს ოხრად
იმისი ჩ ო ხ ა, ს ი ტ ვ ყ ა და ს ა ქ მ ე!!!

* * *

ვიცი მუხრანი, მურმანიც ვიცი...
ბოლოს და ბოლოს ვიცი რუსთველი,
მაგრამ მე მაინც ჭრელ პეულებს ვითვლი,
და ბალახებში ნაცნობ რუს ველი,

ო, თეორია ფარდობითობის
ვიცი, სამყარო რარიც დიდი,
მე მაპატიეთ, ისევე ვითრობი
და ყველაფერი ფეხზე მკიდი!

* * *

ძაღლის წესია უნდა იყეფოს,
უნდა იყეფოს დილით მამალმა,
ღორმა ღრუჭენი უნდა ინებოს -
ვიროხას სოროში უწევს დამალვა;

კაცმა გაწიოს უნდა კაცობა,
ქალს ერთგულების ელის ჭაპანი,
მაფხულს მოუწევს სხივით ანცობა,
მაშთარს თოვლი და თოვლის ჭყაპანი;

ლექსები

ღამე უთოდ უნდა გათენდეს,
უნდა დაღამდეს დღე ვარსკვლავებით,
მე შენს ლოდინში უნდა გავთავლე
მოკლული შენი თეთრი მკლავებით!

მასხარამ ჩაჩი უნდა ინებოს,
უნდა იხტუნოს ანცი კვიცივით,
მეფემ საწყალმა უნდა იმეფოს
ნაშირ-ვეშირთა კულის ქინციით!

ქვევრი გახეთქოს უნდა მაჭარმა,
ბაღს მოუაროს უნდა მეზაბემ,
ფულები უნდა თვალის ვაჭარმა
გულის უეცარ შეღონებად.

ხოლო პოქმბა უფლის მოწაფემ
ვისივ ვერასგმით ველარ იწამეს,
უნდა იცხოვროს როგორც მოწამემ
გამოგზავნილმა ღელამიწამემ!

* * *

ეს ძროხა მოსაწყველია, ჯიქნები დასიებია,
კაკეასინის ჭირიმე, სულ მთათა მასივებია!

ეს ღვეკულიც ძროხდება,
როგორც პური მწოფს ყანაში,
უთოდ რაღაც მოხდება
საჭურის ამ ქვეყანაში!

ულრანი

ულრან ტყეში ვარ თუ სიშპარია?!
თუ სიშპარია, რატომ მეშინია!
ეს ტყის მცველები სად გაპურძლან,
ღმერთი ან სიფელმს ან შეშლილია!

აქ მე პოეგს ვერ შევეყარე,
თუმცა ბევრად-ბევრი დავახანე,
მოკაშპულ ვირებს ვეკამათე
იმით გლინკები დამაყარეს!

წყურვილით სისხლი გამშრობია,
ტყეში უნდა იყოს თაფანკარა,
ვევლეშაპს სათავე მოუწამლავს
ჩიგმა ნისკარგი არ დააქარა!

არც შუქი გულს რომ უხარია,
ნეგა ამდენს რა მაუნებდა,
აბა ულრანი რის ულრანია
თუ მშვეს თივალები არ დაუნებდა,


აქ მეღვინეს ვაზი არ ჭირდება,
არც მხატვარს ჭირდება ყალბაში,
ქალაქს ნარკომანიის და პოლიციის
კომკავშირული საღაბაში!!

* * *

ასე და ამგვარად, ჭაობიც დამღვარა.
შვეი ჩაწოლილა და აღარ ამღვარა.
ცარგავლი მოქუხდა რისხვად და
ღებანღვარად

სისხლი გაყინულა და აღარ გამღნარა!
ცველანის სიშპარი ვი რომ ამხდარა
ლიბო მორღვეულა, ვენახი წაშლდარა.
ქათმისთვის გალია, ლომისთვის ქანდარა,
„ასეა საჭირო!“ „იქ არა“, „მანდ არა!“
ტვერი ვაჩვილა, მოსისხლე დამტკებარა,
კუტი გამოსულა ნამხრევის გამტანად,
თვალეში ქაჯი და ეშპაკი ჩამტარა,
მადლიან ჭურებში ცრემლები ჩამღვარა!
ისარი გამცეთარა და მიშანს ანტდარა!
ნიკორა გამზდარა, გუთანი გამცდარა,
ხურმასთან ვირი და საყდარში მასხარა,
ცისკარას კერაზე დევები დამსხდარან!
ჩოხა ჩაქუქულა, ფიალა გამტყდარა,
თვალსა და თივალს შორის შოშობი
ამტყდარა,

მზე აეად გამზდარა!
მზე აეად გამზდარა!!



ღავით გოგობელაშვილი

რწმენის სანაცვლოდ

(ესეი თომას მანის შესახებ)



...თუ თომას მანზე ვილაპარაკებთ, და დღეს თითქოს რაღა უნდა იყოს სათქმელი, თავიდანვე უნდა გავიაზროთ, რა დანიშნულება აქვს ჩვენს საუბარს; უბრალოდ, წაკითხული წიგნებისა და ცოდნის ჩვენება თუ შეგრძობება იმისა, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე და როგორ ახერხებს თომას მანი, მკითხველს დაანახოს, თაობებს აგრძობინოს იმ თემის სიცოცხლისუნარიანობა, რაც მის ნაწარმოებებშია დაფანტული. თემა - ადამიანი, მხოლოდ და მხოლოდ... და კიდევ მნიშვნელოვანი - მისი პასუხისმგებლობა.

ჩემი აზრით, ჯერ საჭიროა ითქვას, რომ წარმოსახვა ადამიანური ლოგიკის ჩარჩოებში რჩება, რადგან ყოველთვის გონების მეთვალყურეობის ქვეშ არის, მაგრამ ის მუდამ დაეხევა ცხოვრებისეულ სინამდვილესა და ინტუიციის წამიერ გაელვებას შორის, და ამ ხეგალით თითქოს ფერისცვალებას განიცდის ყოველი საგანი - მთელი სამყარო, რაღაც განსაკუთრებული შინაარსით ივსება ადამიანთა ურთიერთობები, უკანმოუხედავი ყოველდღიურობის უჩინარობა შესამჩნევი და ნანახარი ხდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ოსტაგის ნებისმიერი წიგნი ადამიანისთვის ერთგვარი მეგზურია ყოველდღიურობის იმ უხილავ მხარეში, რასაც ყოფიერებით სიმყუდროვეში ჩაფლული კაცი თითქოს ვერ ამჩნევს და მოსაწყენი ხდება ცხოვრებისეული სანახაობის ერთგვარი იგივეობა, დღე-ღამის მღორე გემპით უსასრულო მონაცვლეობა.

მმართავი ყოველდღიურობის მექანიზმი ხომ

საბითვით არის აწყობილი, ყოველი ღეგალი მუსკად გათელილია და თავისი კონკრეტული დანიშნულებით ისეა სინამდვილეზე მორგებული, რომ ადამიანი მასზე დამოკიდებული ხდება. მღორე დინებას მიჰყვება და სამყაროს შიშის მარი ეცემა, თუ ის განიზრახავს დინების საწინააღმდეგოდ სვლას, რადგან ამდროს ცხოვრებისეული უმრუხველობა ირღვევა, რომლის საარსებო პრინციპით თითქოსდა არაფერი ხდება, რადგან ყველგან ისეა, როგორც ყველგან, მაგრამ თუ თვალს შიამხვე ყოფიერების ბნელს, მაშინ შესაძლოა უთვალავი სურათი გამოირკვეს.

და აქ აუცილებლად სიფხიზლეა საჭირო, რათა ნაწარმოების აღქმისას ხელიდან არ გაგვისხლგეს ის მოულოდნელი წამი, როცა თითქოს შეხებაზე ვუახლოვდებით იმ მშრალ სინამდვილეს, სადაც თომას მანის მიერ ადამიანთა ხასიათების, გემპერამენტის, სამყაროსთან დამოკიდებულების წვდომის უმუსგესი აღწერით, ერთგვარი კავშირი მყარდება წაკითხულით მიღებულ განცდასა და წიგნს შორის. ამ ერთი შეხედვით უხილავ მხარეში იმიტომ ვეიწვეს მეგზურობას სწორედ ასე დაწერილი წიგნი, საერთოდ, ასე შექმნილი ნამუშევარი, ნახაგი თუ მუსიკალური ნაწარმოები, მაგრამ, რადგან აქ თომას მანზეა საუბარი და, კერძოდ, დიდი ოსტაგის ძლიერი წარმოსახვით შექმნილ სამყაროებზე, მაშინ, ვოქრობ, გემოსხენებული კავშირის დამყარების პროცესი, პირველ რიგში, ირეალური ხატების შემუდღვის მოწესრიგებას გულისხმობს, რათა ის ყოველთვის რეალური

დარწმუნებულად, რადგან წარმოსახვით აღმოჩენილი ხატების ფესვები ცხოვრებისეულ სინამდვილეშია მხოლოდ გადგმული. ასეთი პრინციპით არის „ბულენბროკში“ „ჯადოსნურ მთაში“, „ლოქტორ ფაუსტუსში“ (დანარჩენ რომანებზე და ნოველებზე რომ არ ვილაპარაკოთ) ბრწყინვალედ წარმოსახილი ძლიერი წარმოსახვითი განცდა, რომლის ძაგური ხმოვანება იმდენად რეალურია, რომ კიდევ გაგაგრძელებს კაცს.

მასხენდება „ლოქტორ ფაუსტუსის“ ბოლო სტროფები, იაიგბლომის ამოლოცვილი, მიმართული იმ რაღაც მიუწვდომელისადმი რასაც ჭეშმარიტად ძალუქს ლევერკიუნის გაღარჩენა, როგორც სიმბოლური სახე მარადიული ტკივილისათვის განწირული ადამიანის და იმელების გარდაუვალი მსხვერპლით ქვეყნის დირსების დაბრუნება.

- ციგაგა, რომლის მოსმენის შემდეგ ვინდა, რომ დაუქმდე.

„აკაფდება კი, იმედის სხივი წყვილიადის უკანასკნელი უსასობიდან და რწმენის სანაცვლოდ, სასწაული მოხდება განა? მარტოხელა კაცი ლოცვით ალაპყრობს ხელებს, ღმერთო, შეიწყალე მიუსაფარი სული ჩემი მეგობრის, იხსენი ჩემი სამშობლო!“

„რწმენის სანაცვლოდ სასწაული მოხდება განა?“ - რა უცნაური კრთომბა თითქოს, შთავიწმენი რაღაც დიდი სიხარულით, გაცისკრების ეამს მოახლოებული სიხარულითაც კია იქნებ, და როგორ ამკარად ჩანს, რომ თომას მანი გამომხატველობის უმაღლეს ხარისხს ადამიანთა შეგრძნებებზე დაყრდნობით აღწევს, მაგრამ არა მხოლოდ წარმოსახვის, არამედ დაკვირვებისა და გამომხატველობის დახმარებით აქ მან ადამიანთა ბედისწერისგან განთავისუფლების სიღრმეები იპოვა, რაც ცხოვრებისეული მოულოდნელობებით არის აღსაყესე. ვფიქრობ, ეს საოცარი ზვიმის ნიშანია - როცა კაცობრიობა უპასუხისმგებლობაზე გაიმარჯვებს; რაღა უნდა იყოს ამაზე დიდი მისგერია.

„მაგრამ ჯერ დიდი გზაა გასაყელი, წინააღმდეგობრიობებით ამგვერებული, და უმთავრებელი და გამთანგველი გზა, რასაც თომას მანისეული გმირები გადიან და თავისი



თომას მანი

საქციელით თითქოს გვეციობებიან - ჩვენ როდისღა დაეღწეოთ თავს, ჩვენს მიწვიერ ცხოვრებაში მოხდება განა სასწაული? ყოველდღიურობა, რასაც ჩვენ ვაკვირდებით, თითქოს შეგრძნებათა ინტერპრეტაციის სისტემაა, რომელიც შემდეგ, ჩვენი შესაძლებლობების მიხედვით, სამყაროს აღქმის ხელშეუვალ, რაღაც ერთ გაცნობიერებულ ერთეულში გარდასახება, და ასეთი გარდასახვა, ვფიქრობ, იმ დიდ მისგერიას თუ ნიშნავს, რაც ოსტაგის წიგნებში ადამიანთა ფსიქულობებთან ურთიერთდამოკიდებულებაში განიხილება.


გარდა ამისა, თომას მანი, შეგნებულად გერთიანებს რა გმირს განსაკუთრებული სასიცოცხლო ენერგიით, ფიქრითა და ანალიზის უხარით, ყოველგვარი წინაღობის გარეშე იველევს როგორც ადამიანს საერთოდ, ასე მის სამყაროულ აღქმასა და, რაც მეგად მნიშვნელოვანია ჩემი აზრით, მის დამოკიდებულებას - მთლიანად ყოფიერებასთან; როგორც ვთქვით, ყველაფერი გმირის საქციელით გამოიხატება. საქციელის დახვეწილი ლოგიკით, ოსტაგის წარმოსახვასთან ხელაკიდებული, ის თამამად ართმევს თავს წინააღმდეგობრიობის დამდლეულ სირთულეს. უფრო უსტაგად, სანამ ადამიანის რაციონალური მხარე (თუ შეიძლება, ასე ითქვას) აკა-

დემიური მეცნიერებით არის დაკავებული, ანუ სამყაროსთან ურთიერთდაშოკადებულება საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ ნორმათა კანონებით იხსნება, მისი ირაციონალური მხარე ერთგვარ მაგიურ მოქმედებებს უძღვნის თავს; ადამიანის შეუცნობელი ორეული თითქოს დამოუკიდებლად ცოცხლობს იმ სხვაგვარ სამყაროში, რაც განცალკევებულია ჩვენივესი შეჩვეული რეალობისაგან, და მისი ბინადარი თითქოს დემონური ნიჭიერებით შენიღბული არა უსქესო ფანტომები არიან, არამედ ყოველი კაცის საქციელში არეკლილი სურვილები და მისწრაფებანი, რომლებიც განხორციელებულ არსებებად იქნენ თითქოს, განკაცდნენ, გარეთ გამოვარდნენ და დასახლდნენ იქ, სადაც აწმყოს ძალაუფლება საშიშია - სწორედ მათ შექმნეს ეს ყბადაღებული ყოველდღიურობა ასეთი, როგორც არის, რამაც დაიმორჩილა ადამიანი, რომელიც შემდეგ სინანულით ირტყამს თავში ხელს, ვეღარ ხედნის რა თავის საქმეებს. თომას მანის გმირს თუ ასეთ მთლიანობაში ვხედავთ, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ჩვენც ამ აქტის მონაწილეები ვხდებით, რადგან ჩვენ, ჩვენივე აღქმით, ყოველგვარი ხელსაწყოს გარეშე, თითქოს „დოლერის მეთოდით“ ვაკვირდებით ადამიანს - დაფარული და ბნელით მოცული მხარეები ამკარა და თვალსაჩინოა. გემონახსენებე მეგზურობა ამას გულისხმობს, რადგან, თუ მანამდე ვფიქრობდით, რომ ყველაფერი

სხვაგვარად იქნებოდა, ცხოვრებაში რაიმე აზრი რომ ყოფილიყო, ახლა ვერწმუნდებით, რომ უბედურება სწორედ ის არის, ძალიან ბევრი აზრი როა ამ ცხოვრებაში, და, თუ არ გავერკვიეთ, წინააღმდეგობრიობაც იმაეწამს დაიბადება, განვითარდება და საბუდისწერო ყულფით შემოეკვრება მთელ დეამიწას.

და საქმეც იმაშია, რომ ადამიანური კონფლიქტები თომას მანთან მხოლოდ გენიალური მეტაფორებით რომ არ არის მოვარაყებული, არც მხოლოდ ნატურალისტური ან კრიტიკული რეალიზმის დოკუმენტური წყობაა თხრობის ის თანმიმდევრული კანონზომიერება, რომელიც თითქოს შიგნიდან გითრევეს, გაჯაღოებს და თვალწინ გიშლის ადამიანთა დაკარგული ბედის უშველებელ პანოს. აქ ლაპარაკია დაფულ იდეაზე, მთავარ და თავდაპირველ იდეაზე, რომ - ადამიანი, ვინც უნდა იყოს ან სადაც უნდა იყოს, ხედავს თუ ვერ ხედავს, ყოველთვის პირისპირ დგას ერთადერთი ღმერთის წინაშე. რომლის სახელიც ძალიან უბრალოდ იწოდება - პასუხისმგებლობა. ხოლო, როგორ შეიგრძნობს კაცი ამ ღმერთს, ამას მისი საქციელი იმ ვეებერთელა პანოზე აჩვენებს, რომელსაც თომას მანი ხატავს.

პართლაც შნო უნდა გქონდეს რომ თქვა: „სადაც მე ვარ, გერმანიის კულტურაც იქ არის!“



კობახიძე. კოვქის ხეივანი

1914

ჩვენს ყოფილ თანამშრომელს ნოდარ ბაქრაძეს
50 წელი შეუსრულდა.

„ცისკრის“ რედაქცია ულოცავს პოეტს ამ ღირსშესა-
ნიშნავ თარიღს და მკითხველს სთავაზობს მის ახალ
ლექსებს.

ნოდარ ბაქრაძე



* * *

მომნატრები შენი სიცილი,
მოდზე გავარდნა გიჟი კვიცივით,
ბედის ვარსკვლავის ჩუმი ციმციმი
და ის ალვის ხე, შენ რომ მიციდილი.

შენ კი გეგონა, არ განვიციდით
დღეს, როცა იგრძენ სუსხი სიცივის...
დღეს, როცა იგრძენ მწარე იარა...
ახალგაზრდობა და ის სიცილი,
მოდზე გარბუნა გიჟი კვიცივით
წყალმა წაიღო და ჩაიარა...

* * *

შემომაცვდა, ვერ ვიგრძენ, ტანზე ისე ნაბადი,
ერთი გაგორებაა ეს ცხოვრება კამათლის.
ერთი ამოსუნთქვაა თურმე კაცის ცხოვრება,
ისე უნდა იცხოვრო, არ წაგლეკოს ცოდვებმა.

შემომაცვდა, ვერ ვიგრძენ, ტანზე ისე ნაბადი,
შეუმჩნევლად ტკივილით ისე გაეჭაღარავი,
ვერ მოვასწარ გამოსვლა წუთისოფლის
ბინდიდან,

ასე გულდაწყვეტილი ამქვეყნიდან
მივდივარ...

* * *

ცხოვრებამ ისე გამასავათა,
ისე დარეკა წასვლის საათმა;
ჩემი აქ ყოფნა ისე დასრულდა,
გადავიქცევი აწმყო წარსულად...

ლექსმა თუ ჩემკენ გამოგახედა,
მაშინ კი ვიგყვი, დრომ ვერ წამხვეტა,
თუმც ვერ ვიცხოვრე, დროს რომ შეპყურის...
მანინც დრომ შეგეჭმნა და დრომ გაგვხელნა,
დრომ, ერთმანეთში რომ ჩაგვახედა -
დრო მეფობს მანინც, განა მუფენი...

* * *

გული გაღრღნა მიმზემბმა,
დრო რომ მაგებს, ალბათ, ყოველს,
ჩაიარეს ლამაზებმა,
თვალი ველარ გაეაყოლე.

გულში ძველი ჩაცხრა გზნება,
ცა ჩამოთბა ლურჯად, მდორედ,
ჩაიარეს ლამაზებმა,
თვალი ველარ გაეაყოლე...

* * *

გულს მკორგინდა სუსხი, გესლი,
ხევეში ქარი კიოდა
და აგირდა ჩემი ლექსი,
თვალში ცა მიღვიოდა.

მოდოდა დრუბლის ჭავლი
ცის უფერულ გილოდან,
ჩამოისვა წვერზე ბრჭყალი
მთვარე კაეკასიონმა...

გიორგი თოთიბაძე

ორიოლე სიგყვა საკუთარ თავზე



დავით მუსხელიშვილი და გიორგი თოთიბაძე. 1946. ვარძია

ჩემი მშობლები პედაგოგები იყვნენ; დედა, ელენე სილოვანის ასული ხუნდაძე სამულო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა; მამა, კონსტანტინე ანტონის ძე - ფიზიკას. დედამ პეტერბურგში მთილო უძალესი განათლება, მამამ კიევში. პაპაჩემი სილოვან ხუნდაძე ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგი და შემდეგ ღირეჟტორი იყო, ცნობილი პოეტი და ენათმეცნიერი. მას ეკუთვნის პირველი ნაშრომი ქართული გრამატიკის შესახებ. იგი თურგდალეულთა იმ ბრწყინვალე პლეადის წარმომადგენელია, რომელიც სათავეში ჩაუდგა საქართველოს ეროვნულ მობრძაობას. დიდი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით და დღენიადაგ იცვროდა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის, რაც შეეხება ანტონ თოთიბაძეს, იგი ქაშვეთის გამრისა და შემდეგ სიონის წინამძღვარი იყო. ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დიდი დამსახურებისათვის პროგოპრესივების წოდება უბოძა.

ჩემი მშობლების ოჯახს პატრიოტულად განწყობილ ქართულ ინტელიგენციასთან მჭიდრო კა-

ვშირი მჭიდროდ. ცნობილი ქართველი მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების წარმომადგენლები ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან საგურამდ... მამაჩემს ძალიან უყვარდა მხატვრობა და მოყვარულს დონეზე თავდაც კარგად ხატავდა. ხშირად სინანულით უთქვამს: მხატვრობა ჩემთვის საოცნებო პროფესია იყო, მაგრამ მშობლებმა მხარი არ დამიჭირეს და ოცნება ვერ ავისრულეთ. მე ხატვა ექვსი წლის ასაკში დავიწყე - ისე, როგორც ყველა ბავშვმა, მაგრამ ჩემი განსაკუთრებული ინტერესის სფერო ახლობელი ადამიანების პორტრეტები გახდა. ფერადი ფანქრებით ნატურიდან ეხატავები მშობლებს, ნათესავებს, მეგობრებს. ყველას აკვირებოდა, როგორ ვახერხებდი ხასიათის დაჭერას და სახის ნაკეთების მიმსგავსებებს. შეიღი წლისა რომ ვაჯიდი, დედამ დაბადების დღეზე პაგარა „ეტიუდნიკში“ ჩაწყობილი მეთის საღებავები, ფურჯები და პალიტრა მიყიდა. გაგონილი მჭიდროდ, რომ მეთის საღებავებით სურათი გილომე ხატავოდა, მაგრამ გილოს რომ ქვეყარჩო და სპეციალური დაგურნევა სჭირდებოდა, მაგდენი აღარ ვიცოდე. ვიპოვე გილოს პაგარა ნატური და შეველექე ხატვას, მაგრამ რაც მსურდა, არ გამოძლიოდა. გილომ საღებავი ჩაიშრო, ფერს ძალა და ელფერი დაკარგა და მეც თვალზე ცრემლი მომადგა. დედა მომეფერა, დამამშვიდა და ამ გაჭირვებიდან გამოსავალიც გამონახა. ჩვენს მეგობრად ბაგრაგიონების ოჯახი ცხოვრობდა. ოჯახის დაიასახლისი, ქალბატონი მერი მიქელაძე-ბაგრაგიონისა, პროფესიონალი მხატვარი, დიდი გიგო გაბაშვილის მოწაფე, დედას კარგი ნაცნობი იყო და... ასე დაიწყო ჩემი პირველი გაკვეთილები ფერწერაში. მღაპრულ სამყაროში მოუხედი; კვლებზე უმეცნიერესი სურათები ეკიდა. განსაკუთრებით გამაოცა გიგო გაბაშვილის „მოთრალი ხეყურის“ ასღმა, რომელსაც კარგა ხანს თვალს ვერ ვამორებდი. ფერწერის გექქოლოგიაში სწრაფად ვაგრეკვი. თავდაპირველად ქვეყარჩოებს მამა მიკეთებდა, გილოს გაღაჭიმებას და დაგრუნტვაშიც მეხმარებოდა, როცა მეთის ფერებით შესრულებული ნამუშევრები დამიგროვდა, დედამ ქეთევან მაღალაშვილთან მიმიყვანა, რომელსაც, აგრეთვე, კარგად იცნობდა. ქალბატონმა ქეთიმ ეტიუდები მომიწონა და შემოთავაზა, დროდლორ ნამუშევრები კონსულტაციისთვის მიმეგანა. ბავშვობისას ნატურიდან შესრულებული პორტრეტებიდან ორი მტკიცედ აღიმეჭდა ჩემს მეხსიერებაში. ცხრა

წლისა ვიყავი, როდესაც ფერადი ფანქრებით დიდი ივანე ჯავახიშვილის პორტრეტი ნატურიდან დაე-
ხატე. ამაში ხელი შემსწო ჩემმა დედის ძმამ, ლევან
ხუნდაძემ, რომელიც იმ დროს ბაგოს ივანეს
თანამშემწე იყო. დიდი მეცნიერის კეთილშობილი,
ჭკვიანი, ნათელი სახე სამუდამოდ დარჩა ჩემს
მეხსიერებაში. შამანიში მისი უწმინდესობის, საქა-
რთველის კათალიკოსის, კალისტრატე ცინცაძის
ნათლული იყო. ხშირად დადიოდა მის სახანაჯოდ.
ერთხელ მითხრა: უწმინდეს შენი გაცნობა უნდა
და წაივლით სკუმრადო. ამ დროს აკვარელის
საღებულებითაც ვმუშაობდი. გადავწყვიტე, პორტ-
რეტი დამეხატა. ჩემი სურვილი, რომ განუცხადე,
უწმინდესმა შებლზე მაკოცა, სამოთენებით დამთან-
ხნდა. შამანიში და მისი უწმინდესობა საუბრობდნენ,
მე კი ეხატავდი. მის უწმინდესობას ნამუშევარი
ძალიან მოეწონა, მეც, გახარებულმა, პორტრეტი
საჩუქრად მივართიე.

სკოლაში ჩვენი კლასის დამრიგებელი ქართული
ენისა და ლიტერატურის გამომხიანილი მედალოვი
ქალბატონი ვარო ვარდაიშვილი იყო. ჩემთან ერთ-
თად სწავლობდნენ: დათუნა მუსხელიშვილი, დღეს
გამომხიანილი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიე-
რებთან აკადემიის ნამდვილი წევრი; ნოდარ ნათაძე,
გამომხიანილი მეცნიერი და საყოველთაოდ ცნობილი
პოლიტიკოსი. ჩემი უახლოესი მეგობრები იყვნენ:
გურამ ასათიანი, შუქლეში გამომხიანილი ლიტერატუ-
რათმცოდნე, მეცნიერებათა დოქტორი, ჩვენი სამე-
ფობროსი საყვარელი წევრი, ჩვეულებრივ ასე უღროდ
წასული. ნოდარ ცერცვაძე - დღეს გეოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, ჩვენი მუღბივი თამადა;
ვამიკ ყუფარიძე - ცნობილი ნეოროქიურგი, ჩვენი
სამოსის სული და გული, ქვიფის მოყვარული,
თხუნჯი, სიციღის დიდოსტატი; ისიც ბრე წაიღა
ჩვეულებრივ. თამაშ ალაფიძე, შესანიშნავი ვიკაცის,
გამომხიანილი ინჟინერი; მანუ დიდად გვატყობა გული
ასე ნაადრევად წასული. რუმო ბაირამაშვილი,
დღეს გამომხიანილი სურთომიძღვარი. თემო ნაცვლ-
იშვილი ცნობილი მომღერალი და კომპოზიტორი...
ამ მოკლე ინტერვიუში ყველა ჩამოთვალა ძნელია.

არ შემიძლია დიდი მადლიერების გრძნობით
არ გაეხსენო პიონერთა სახალღე, ქართველი ახა-
ლგამბრლობის სულიერი ამაღლებლისა და წვრთნის
დამბრლოვი კერა - ხაგვის კაბინეტში გამომხიანილ
მხაგვართან და პედაგოგთან, გრიგოლ მესხთან
ურთიერთობა. ლიტერატურის კაბინეტში რბოთ თა-
ბუკაშვილის, მელორ სკურუას, არჩილ ბუგიაშვი-
ლის, ნოდარ გუგუშვილის, თემო ჩირვაძის, თამაშ
მელიაფას და ბევრი გამომხიანილი ნიჭის ახალგაზრ-
დის გაცნობა და მათთან დაახლოება. კაბინეტის
შესანიშნავი ხელმძღვანელების, ქალბატონ ქვიფი
ანანიასვილის ინიციატივით მოწვობილი დისკუბები
ლიტერატურის პრობლემებზე. დაუწყყარია ისტორ-
იის კაბინეტში მძებელი კონსულტაციები, რომე-
ლსაც ძალიად ღირებუ აგარებდა ქალბატონი მარიკა
მიქელაძე. შეხვედრები გამომხიანილ მწერლებთან,



ენისა გაგმევილის პორტრეტი

მეცნიერებთან, მხატვრებთან, მსახიობებთან და
მუსიკოსებთან. აქ გაეციანთი კონსტანტინე გავსა-
ხურდია, კორნელი კეკელიძე, ნიკო მუსხელიშვილი,
სიმონ ჯანაშია, ბორის პაპუგინაძე, ნიკოლოზ გახი-
ნოვი, აკაკი ხორაბა, აკაკი ვახაძე, ვერიკო ანჯა-
ფარიძე და სხვანი. გვეცინა გურისგული და ალ-
პინისგური ექსპედიციები საქართველოს ყველა კუთ-
ხეში, უბრწევინალები ქართველი ქალბატონები
შვიდა ერისთავისა და ალექსანდრა ჯაფარიძის
ხელმძღვანელობით.

ფაშისგურ გერმანიასთან ომის დროს მოსკოვ-
იდან, ლენინგრადიდან, კიევიდან და სხვა ქალაქე-
ბიდან ინტელიგენციის დიდი ჯგუფმა შეუფარა თავი
თბილისს. ისინი ომის დამთავრებამდე ჩვენი ინტე-
ლიგენციის წარმომადგენელთა ოჯახებში ცხოვრო-
ბდნენ. აქ იყო მოსკოვის საზმხატვრო თეატრის
მთელი დანი, დიდი თატრის და კიევის საოპერო
თეატრის სახელგანთქული მომღერლები, მხატვრე-
ბი, მოქანდაკეები, მოუცკეავეები. თბილისის თეატრ-
ებსა და საკონცერტო დარბაზებში თითქმის ყო-
ველ საღამოს იმართებოდა უძაღლესი ღონის სპე-
ქტაკლები და კონცერტები. თბილისის საოპერო
თეატრის სპექტაკლებს კიევიდან ჩამოსული ბრწვი-
ნეაღე დირიჟორი საშუელ სვალდერმანი დირიჟო-
რობდა. საქართველოს სამეოწონურ ორკესტრს კი
ორი წლის განმავლობაში ალექსანდრე ვაუკო ეღვა
სათავეში. მწერალთა სახასლის სააქტო დარბაზში
ირაკლი ანდრონიკოვი კითხულობდა თავის ბრწვი-
ნეაღე მეპირ მოთხრობებს. საკონცერტო დარბა-
ზებს თბილისის თეატრალუბთან და მელიმანებიან
ხუცე, რომელიც დამოუკიდებელი კილოს გინიკად გვევლინება და თავდაპირველი კილოს გინიკის პარალელურად თანარსებობს. ამგვარად ჩნდება ორი გინიკა, რომელიდან პირველი თავდაპირველი კილოს გინიკაა, მეორე კი ბანში IV საუკუნის დამოუკიდებელი, შემდეგში ძირითადი კილოს გინიკად ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების შედეგია. სწორედ ეს უკანასკნელი, ავტორის აზრით, უნდა იყოს ბანი, ანუ დაბალი ბანი, ხოლო თავდაპირველი კილოს გინიკა, რომელიც კვიპტურნი ბეგრაა, მაღალი ბანი, ანუ შემშობარა.

დასავლეთ საქართველოს ხალხური ხიმღერების აკორდიკის შესახებ მნიშვნელოვანია ა. ელენკის ხალხურეტიკის ნაშრომი, სადაც ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქართულ ხალხურ ხიმღერებში ძირითადად გაბატონებულია სამხმანობა, რეალური თოხმხანობა კი გვხვდება მხოლოდ გურულ და აჭარულ ნაღურ ხიმღერებში. აჭარულ შრომის ხიმღერებში დიაპაზონის გაფართოებას უკავშირებს ავტორი შოგიერთი აკორდის გაჩენას ა. ელენკი იხილავს, აგრეთვე, პოლიარმონიზაციის საკითხს, რომელიც გვხვდება ორგანული ხიმღერების მექრილ კლასიკებში, როდესაც ერთი გუნდის პარტია მოაგრდება გინიკაზე, ხოლო მეორე გუნდი თავის პარტიას ხმად ხულომხანაგური პარტიით იწყებს.

თოხმხანობის შოგიური საკითხს შეეხება ა. ჟორდანიაც. ავტორი ეხება დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა დიალექტში იმ ხიმღერებს, სადაც წარმოიშობა თოხმხანი აკორდების მთელი რიგი. სამგვარადაც არის აღნიშნული, რომ „ნაღურებში“ ბანის ხმის გამოჩენასთან ერთად ხდება ენტონალური ფუნქციის განახლება კინეტიკით დაბლა, ამავე დროს ყოფილი ენტონალური ფუნქცია მოქცევა მრავალხმანია ფიგურის შუაში და ბურღინის სახით ელენკის იმავე ხიმღერში თოხმხანობის წარმოშობას გურულ და აჭარულ ხიმღერებში ა. ჟორდანი უკავშირებს კვიპტურ დამრეკებას, რაც კვიპტური დაგინიკის კლასიციზაციის არის დასახასიათებელი; შემშობარის ბურღინული ღერძიდან წმინდა კინეტიკი ქვევით ჩნდება აქვეყნი მეთოხ ხმა. ავტორის აზრით, მეთოხ ხმის ჩართვა მიზანშეწონილი გვიან.

ა. გაბისინა ქართული ხალხური ვოკალური მრავალხმანობის შესახებ ნაშრომში ეხება თოხმხანობის საკითხაც. „ნაღურებში“ თოხმხანი ფრაგმენტში იგი ხელახა ხმა სახის კომპონირებულ პრინციპის შერწყმას: ბურღინული (პედალის სახით შუა ხმაში), ოტიანტური („კრიმანჭული“) და თავისუფალი (ბანი და „თქმა“).

ამგვარად, თოხმხანობის არსებობა ქართულ ხალხურ ხიმღერებში დადასტურებული იყო მხოლოდ გურულ-აჭარულ ნაღურ ხიმღერებში. თოხმხანობის ფიზიკურ შესწავლის შიშით დაეამუშავეთ ქართული ხალხური ხიმღერების ყველა დღევანდელი გამოქვეყნებული კრებულა და, აგრეთვე, გამოქვეყნებული მასალა, დღევანდელი ხალხური შემოქმედების სახლის (ამჟამად ქართული ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ცენტრი) არქივში.

მთლიან ამ მასალის ანალიზის შედეგად ვართკვირვ, რომ ვოკალური თოხმხანობა სხვადასხვა ინტენსივობით არსებობს არამარტო აჭარასა და გურიაში და არა მარტო ნაღურებში. საკმაოდ მოშორდალი თუ შორეული ფრაგმენტები იმ ცალკეულ თოხმხანო აკორდებში შეგ-ნაკლებად გვხვდება დასავლეთ საქართვე-

ლის ოთქების ყველა დიალექტის ხიმღერებში. მისი გაერეკლების არეული მოიკვდა დასავლეთ საქართველოს ოთქების ცალკე რეკონს, გრანდ ოთქ აჭარის, ლამიის და შუაშუაის რეკონსებისა. ასევე თოხმხანობა ვერვინობით არ დადასტურდა ლენკუმში (მოსალოდნელი კი იყო), სადაც მრავალხმანობა რაჭაზე შეგად განვითარებულია. მაგრამ ეს არ უნდა მისაწავდეს, რომ ის იქ არ არსებობს. ლიგიკურაა, ვივარაუდოთ. მისი იქ არსებობა და განვითარებით ამ მხარეა რეალური შემოიბობა. ცალკეულ თოხმხან აკორდების ცხვლებით ხვანურ და რაჭულ ხიმღერებში, თოხმხანი ფრაგმენტებს - შეგრულსა და იმერულს. საილტრანციოდ შეიძლება დაგახსნელი რამდენიმე ხიმღერა, მაგალითად, იმერულ „მოხერული“, „კაცი ის არის“, „ნაღური“, მეგრული „სიყვარული“, „პანარა“, რაჭული „შეკევა“, „გამხარული ბუხარო“, „ეკევა“, გურული „ფურული“, „ხისანეკური“, „ძველი გურული მუგურული“ და სხვ. თოხმხანი შესაძებო მოქცეულია ხიმღერებში „სამღერა თოხნის დროს“. აქ გვაქვს, რიგობრე ფორმალური თოხმხანობა (როდესაც ფიგურის შექმნაში მონაწილეობს ოთხი ხმა, რეალურად კი სამი ვლერს). ასევე ვივარაუდოთ, რიცა მოთხილის პარტიის განმარტება ხდება.

აღმოსავლეთ საქართველოს მუხიკალურ დიალექტებში, მიუხედავად მისი მუხიკალური ენის შეგად მაღალი დონისა, თოხმხანობის ვერ ცხვლებით, თოხმხანობის ელემენტების არსებობა დასავლურქართულ დიალექტებში შეგვხვდება მის შიღორთ კავშირ კომპლექსურ-პოლიფონური მრავალხმანობის გიბთან (თოხმხანობის წარმოშობის ხერქუქტურულ საფუძველს ბანის გამოყოფა წარმოადგენს, რის შესაძლებლობაზეც მომინავი, არე დასავლეთ საქართველოს ხიმღერისათვის დასახასიათებელი ბანი იმდებო).

რიგობრე აღენიშნება, გაერეკლებულია აზრი, რომ თოხმხანობის ცხვლებით ვერცხია და აჭარაში. და თანაც მხოლოდ შრომის ხიმღერებში (ხალხურ ხიმღერებში), მაგრამ წვეის მიერ განხილული მასალა ხილტოთს, რომ თოხმხანობა არ არის შემოფარდული მხოლოდ ნაღურ ხიმღერებში. თოხმხანობა მართალია, შეგ-ნაკლებად, მაგრამ გვხვდება სხვა ვანრებშიც, რიგობრე არის საფერული-საცეკვაო, მგბაერულ-მაერული, ღორიკულ-საეროთალო, საეროული, საყოფაცხოერული. განსაკუთრებით თოხმრადლებო აღმონდა ორგანულიენების ფიგურა, რომელითაც ვინ უმეკრულად დაკავშირებული თოხმხანია ფრაგმენტების გამოჩენა თუ კორდების წარმოქმნა.

ამგვარად, ვოკალური თოხმხანობა ქართულ ხალხურ ხიმღერებში გვხვდება არა მარტო გურიაშია და აჭარაში, რიგობრე ეს დღემდე იყო ცნობილი, არამედ დასავლეთ საქართველოს ფიგურად ყველა დიალექტში. ვოკალური თოხმხანობა ფრაგმენტების თუ ცალკეული აკორდების სახით გვხვდება იმერულ, მეგრულ, რაჭულ, სვანურ ხიმღერებში. არ ნახს თოხმხანობის არავითარი კვლას მისი აჭარის, ლამიის და შუაშუაის ხიმღერებში. თოხმხანობა არ გვხვდება, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს ხიმღერებში. ამა-სთანავე, თოხმხანობა გვხვდება, არა მხოლოდ „ნაღურებში“, არამედ სხვა ვანრის ხიმღერებში (მგბაერულ-მაერული, საფერული-საცეკვაო, ღორიკულ-საეროთალო, საეროული საყოფაცხოერული). თუმცა თავისი განვითარების უმაღლეს საფერს თოხმხანობა მხოლოდ გურულ და რაჭულ შრომის ხიმღერებში („ნაღურებში“) აღწევს.

დავით მჭედლური

ეროვნული იდეის ძიებაში

მეორე დღეს მეფე მირიანი და უთვალავი მცხეთელი მოქალაქე ჯარად მოადგა იმ ადგილს, სადაც გუშინ ღვთაებათა წმინდა ქანდაკებები იდგა, მაგრამ აღარაფერი დახვდათ. ამაოდ ძებნეს კლდეთა ნაარაღებში, მაგრამ ნამსხერვეებსაც ვეღარ მიაგნეს, თანაც ათასგვარ ვარაუდს გამოთქვამდნენ, მათ შორის ორი იყო მთავარი: ერთი ამტკიცებდნენ, ჩვენი ღმერთები ეგყობა ქალღვეულთა კერამბა იორუჯანმა დაამხო, რადგან არმაზი და იორუჯანი ოდითგანვე მტრები არიან, არმაზმა ერთხელ მასმედ ზღვა მოაქცია, ახლა კი იორუჯანმა თავს სეგყვა დააგეხაო. მეორენი ვარაუდობდნენ - ვაითუ, ეს იმ ღმერთის ნამოქმედარი იყოს, სომეხთა მეფე თრდაგი რომ ეშვად აქცია ქრისტიანი მონაზვნების წამებისთვისო.

ამაოდ დამშვრალი მეფე და მოქალაქეები მიიმედ დაუქირებულენ გაბრუნდნენ ქალაქში.

აქ თხრობაში შეიძლება პაგარა გაუგებრობა მოგვეჩვენოს. წინა დღით, სეგყვა, ცხადია, მალე დაიხრა, მაგრამ მეფეს და მცხეთელ მორწმუნეებს სათაყვანო ღმერთების ბედის გაგება რატომღაც მეორე დღისთვის გადაუღვიათ. ალბათ, იფიქრეს - ამ აგალახებული ქუჩებით ახლა არმაზის გორაზე ვინ ავაო და სადღესასწაულო ვახშმის სამზადისს შეუდგნენ. ეს წმინდა ქართული ბუნების გამოვლენებაა და სულაც არ უნდა გაგვეკვირდეს. სამაგიეროდ, როგორც კი სეგყვა დაიხრა, კლდის ნაპრაღს შეფარებული ნინო გამოვიდა, ყურადღებით დაათვალიერა ის ადგილი, სადაც რამდენიმე წუთის წინ ბრწყინვალე კერამბი იდგნენ, იპოვა დამსხვრეული არმაზის ბივრების თვალი და ჯიბეში შეინახა. მოხრობელი აღარ გვეუბნება,

ქალურმა კეკლუცობამ სძლია და მისი სამკაულად წაღება გადაწყვიტა, თუ ამ მოქმედებაში სხვა რამ ღვთიური განზრახვა იყო. ეს მვირფასი თვალი, როგორც ჩანს, ნინოს უდავო საკუთრედ იქცა, რადგან შემდგომში მისი სხელებაც აღარ არის.

მეორე დღეს ნინო არმაზის გორას გაყვა და ძველი ციხის ეზოს მიაღწა. ციხის ეზოში მშვენიერი ბრინჯის (აკაკის) ხე იდგა, რომლის ქვეშ ოდესღაც თურმე ბარტამ მეფეს უყვარდა დასვენება. ამ ხანდაზმული ხის ქვეშ ნინომ ქრისტეს ჯვარი „გამონიშნა“ და იქ ექვს დღეს ფეხმოუცვლელად ლოცულობდა, თავის ღმერთს მადლობას სწირავდა არმაზის შემუსვრისათვის და ამ „შეცთომილი“ ერის „ემპაქიკაგან“ დახსნას ვევედრებოდა.

მეშვიდე დღეს ციხის ეზოში რაღაც საქმეზე მიმავალმა სეფე ქალმა შროშანამ გამოიარა. იგი ღიდად გააოცა ხის ქვეშ მოკალათებული უცხო ქალიშვილის ხილვამ და ვინაობა ჰკითხა. ნინომ ჯერ კიდევ არ იცოდა ქართული და შროშანამაც ბერძნულის მცოდნე ვიღაც დედაკაცი იხმო. ნინომ, მიუხედავად იმისა, რომ გულკეთილი მცხეთელი ქალების გარემოცვაში აღმოჩნდა, თავისი ვინაობა ბოლომდე არ გათქვა და პაგარა ქალურ ცულღუტობას მიმართა: შორიდან მოვიდვიარ, გყვე ვარ გამოპარული და მცხეთაში შემთხვევით მოვხვდიო.

მისგან შეთხზული ეს გყვილი მოგვიანებით ფართოდ გავრცელდება ახალმოქცეულთა შორის, ალკოორიულ მნიშვნელობას შეიძენს და ნინოსადმი პათეტიკური მიმართებები ასე დაიწყება: „გყვეო და გყვეთა მხსნელო...“ შროშანა გულკეთილი და კეთილი ქალი იყო, ნინო შეებრალა, ცრემლმორეულმა სთხოვა, სასახლეში გამომეყვი და ჩემთან დაბინავდიო. ნინომ, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ სამეფო კარზე მოხვედრის საშუალება ეძლეოდა,



ქალაქში წასვლაზე სასტიკი უარი განაცხადა, რამაც შრომანა გაანაწყენა და გულდაწყვეტილი გამოიხატა ახირებულ „ტყვეს“.

ნინო მხოლოდ სამი დღის შემდეგ გაბედა ქალაქში ჩასვლა და სასახლისაკენ გასწია. სასახლეს გარს ერყვლი ბაღი ერგო, ბაღის განაპირას მებაღის პატარა სახლი იდგა და ნინომაც ამ სახლის კარზე მიაკაკუნა. შინ მეფის მებაღის ცოლი, ქალბატონი ანასტო აღმოჩნდა. იგი უშეილო დედაკაცი იყო და, რახან ბაღისთვის თავს არ აბეზრებდნენ, სტუმრის მოსვლამ დიდად გაამხიარულა. უცხო ქალიშვილს დედობრივად მოეხვია, მიუაღერა, დასვა, ხელები დააბანინა, სუნამო ასხურა და პურ-ღვინო მიართვა. უკეთეს მასპინძელს ნინო ვეღარც ინაგრებდა, არც წასვლა უჩქარია, მეფის მებაღის ოჯახში 9 თვეს დარჩა და ბედნიერება მიანიჭა. ქალბატონი ანასტო და მისი მეუღლე, მეფის მეტაღე, იმ შემოდგომით, როცა ნინოსთან ერთად გვიან საღამოს ბუხარს მიუსხდებოდნენ, ბედის სამედურავს ვერ მალავდნენ - რატომ შეილები არ მოგვეყუო. მათ წუხილს ნინოს იზიარებდა, მაგრამ დახმარება არ შეეძლო, ხანამ ერთ დამეს ნათლისფერი კაცი არ ეხიმშრა. ამ დეთიურმა კაცმა ასე დაარია: შედი მეფის ბაღში, იქ ნაძვთან, მცირე ბაბილონის ქვეშ მიწა საუფროდ შემავეულებია, აიღე იგი, აჭამე შენს მასპინძლებს და შეილიც ეყოლებათ. მეფის ბაღი და ღვთაებრივი ბაბილონი იმ ადგილებში ყოფილა, სადაც ახლა სვეტიცხოვლის ტაძარი დგას.

მეორე დღეს ნინომ ანასტოსა და მის მეუღლეს, ალბათ, სადილადაც მიართვა ბაბილოს ქვეშ მოხეკილი მიწა, რომელიც, ეგვიპტა, მათ უდრკვინებდად მიირთვეს და გონებამახვილი სტუმარი ქალიშვილის მორიგ ცელქობად არ ჩაუთვლიათ, თანაც ამ არცთუ სასიამოვნო სადილს ფრიად აკეთილმობილებდა მხურვალე

სუბარი იესოსა და მისი მოძღვრების სიძაღვე.

რამდენიმე ხნის შემდეგ ანასტოს მეუღლი ეპრა და ცხრა თვის თავზე ვაყიყ შეეძინა, მაგრამ ნინომ, - როგორც კი იგრძნო, თავისი საზრუნავი გაუჩნდათ, - ეგვიპტა, ანასტოს მშობიარობას ადარ დაუყვალა და ქალაქის განაპირას, დაბურულ მაყულოვანში გადასახლდა (ახლანდელი სამთავროს ტაძართან). იქ მაყულისაგან მცირე ქოხი მოიწყო და ლოცვას შეუდგა. უკვირსტეს რჯულზე მოქცეულ ანასტოსსა და მის მეუღლეს ნინო არ მიუტოვებიათ, ემსახურებოდნენ და საკვებსაც უზიდავდნენ, თანაც ახალი ღმერთის წყალობით უხვად ისარგებლეს და კიდევ მრავალი შვილი გააჩინეს.

როცა ნინო თავის მაყულის ქოხს გოვებდა, უმეგესად ურიათა უბანში მიდიოდა, რადგან, ჯერ ერთი - ებრაული კარვად იყო და და უბნის მცხოვრებლებთან ურთიერთობა არ უჭირდა. მეორეც - რახან სარა ნიაფორისგან სმუნოდა უფლის ეკართი მცხეთელმა ურეიბმა წაიღესო, ამ ამბის დამუსკვებას ცდილობდა, ნიადავ კითხულობდა, რა და როგორ მოხდა ან უფლის კვართი თა იქნათ.

ძიებას უნაყოფოდ არ ჩაუვლია; მან მალე გაიცნო აბიათარ მღვდელი და მისი ასული სიდონია, რომელთაც ხანგრძლივად ესაუბრებოდა ჯვარცმულის შესახებ, რადგან სიამოვნებით უსმენდნენ.

აბიათარი ურიათა მღვდელი იყო, მაგრამ მის იუდეურ რწმენას წყალი ჰქონდა შემდგარი, რადგან უფლის კვართის ლეგენად ჰქმნარიგებად მიანდა, მის წინაპრებს ამ სასწავლში წილი ედოთ და გოლგოთაზე ჯვარცმულის სიგყვა მისთვის სულერთი არ იყო. ამას ისიც ემატებოდა, რომ სულ ახალი მიღებული ჰქონდა თავისი იერუსალიმელი თანამოძმეების წერილი, რომელშიც ერთობ მწუხარე ამბებს იუწყებოდნენ. ისრაელის სამეფო სამაღაჯყოფილიყო, იერუსალიმი ეკლავ რომაელებს დაექვეითა და სოლომონის წმინდა ტაძარი შეუბილწათ. ერთი სიგყვით, ალთქმული მიწის ბედი მეტად ბნელით მოცული და გაურკვეველი იყო.

აბიათარის ისრაელი თანამოძმეები მათ თავზე დამტყდარ უბედურებას თავიანთ წინაპრებს აბრალებდნენ, რომელთაც სამასი წლის წინათ დაუფიქრებლად აცკეს ჯვარს ვიდაც „მწირი დედაკაცის ძე“, ის კი ძე ღვთისა აღმოჩნდა.

ბუნებრივია, დაღონებული აბიათარი დაინტერესდა ნაბარეველი ჰაბუკის ცხოვრებითა და მოძღვრებით, რომლის ჯვარცმის გამო მის

ისტორიულ სამშობლოს ამდენი უბედურება დასტეხილა.

ამ შემთხვევასაც ნინო ხელიდან ვერ გაუმუქვია და აბიათარის მოქცევის საქმეს მტკიცედ მოჰკიდა ხელი. მღვდელსა და მის ასულ სიღონასთან ერთად ნინოს კიდევ ექვსი ურათობნიელი ქალი დაემოწაფა, რომელნიც ქალწულმა მოძღვარმა ფარულად მონათლა. სამი წელიწადი გაატარა ნინომ ამგვარ საქმიანობაში, გარდა მკველგონში ლოცვისა და საგანმანათლებლო მოღვაწეობისა, მან მცხეთელი სწულელების მკურნალობასაც მიჰყო ხელი და ქრისტესგან სახელით უამრავი უძველესი ავადმყოფი განკურნა.

პოლიტიკური და სამხედრო ცხოვრება კი თავისი გზით მიედინებოდა, იყო ომები და სისხლისღვრა; სწორედ იმ წლებში მომხდარა სპარსეთ-ბიზანტიის ომი. ბიზანტიის კეისარ კონსტანტინეს, რომელიც უკვე ჯვრით იყო აღჭურვილი, სასტიკად დაუმარცხებია სპარსელქართველთა კოალიციური ლაშქარი, რომელსაც ქართლის მეფე მირიანი და მისი ძმა, სპარსეთის მეფე ბარგამი მეთაურობდნენ. ეს ძღვევამოსილება კონსტანტინე კეისარს, რაღა თქმა უნდა, ჯვრის წინამძღოლობაში მიანიჭა, თუქმა თავად ჯერ მონაწილე არ იყო და ეს საქმე კარგახნით, 337 წლამდე, ანუ სიკვდილის მოახლოებამდე გადადო, 225 წელს ქრისტიანობა კი მთელ იმპერიაში სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.



ჯვარზე ნაწამები კაცის სახელმა საბოლოოდ დაამხო შვეს-იუპიტერის ხელმწიფება, წყველა-კრულით ჩამოჰყარეს ბერძენ-ლათინთა დიდი ღმერთები, დაამსხვერიეს მარმარილოს უპიროფასხეი ქანდაკებანი, დაანგრის ამ ღმერთთა სახელუმზე აბუბოლი ბრწყინვალე ტაძრები, დაიწყოების წიაღში დაითქვნენ აპოლონი და აფროდიტა, ვენერა და პოსეიდონი, პერმესი და მერკურე, ათინა და არტემიდე. ეს იყო ადამიანთა ცნობიერებაში რადიკალური გარდატეხის ეპოხი და ამ გარდატეხას მოეცემა მთელი ხმელთაშუა ზღვის სამყარო პირინეებიდან სირიამდე.

მცხეთაში კი „ბნელის თავადთა“ ერთგული ქართველები კვლავ თავის არმაშს, შადუნს, გაქს, და გაიამას მისტიროდნენ. არაფერ იცის, იმოკვს და აღადგინეს თუ არა უფსკრულში გადაღვივად დეთაბებათა ქანდაკებანი თუ ის მომდევნო 5-6 წელი, სანამ სანადგროდ წახიული მეფე მირიანი სამხინელ ბურუსში მოხვებოდა, სარწმუნოებრივი დაბნეულობის ხანა

იყო. რასაკვირველია, ბიზანტიის უზარმაზარ იმპერიაში მომხდარი სარწმუნოებრივი ცვლილება ბევრწლიად განსაზღვრავდა მაშინდელი მსოფლიოს განწყობას ახალ რელიგიისა და მისი შექცევადობისაში. ნინოს სომხეთიდან გამოშვების შემდეგ ბიზანტიის უზარმაზარ იმპერიაში ქრისტიანობა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ვრცელდებოდა, რასაც მხარს უჭერდა თვით იმპერატორი, განსაკუთრებით კი დედამისი, ელენე.

ამრიგად, შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა ნინოს მურგსუკან დაღვა უზარმაზარი იმპერიის ავტორიტეტი და ძალმოსილება. ქალწულს კიდევ ერთხელ გაუღმა ბიძამ - უეცრად ახგარამგასაწვე პიროვნებად იქცა, აღარც თავისი ვინაობის დამალვა და მიუსაფარი გყვე ქალის სახელს ამოფარება სჭირდებოდა, თუქმა ამ სიყრუს გვაგაზგვა დემუჯიონებით არ უცდა; აღარც მკედარი ზღვის სანაპიროებზე, სირიისა თუ სინას უდაბნოში თავშეუფარებულ ქრისტიან სექტანტთა იღებვის შექცევადი იყო, არამედ შეუძლო ელაპარაკა ბიზანტიის კეისარის სახელით, რომლის ქრისტიანული თავგამოლება უკვე საბარაკოდ იყო ქცეული.

მართალია, იმერთა ქვეყანა იმ ეპოქაში ძირითადად სპარსული ორიენტაციისა იყო, მაგრამ მცხეთაში არ შეიძლება ანგარიშის გაწვევლობა იმ პიროვნებისთვის, ვინც ბიზანტიის მიერ აღიარებულ სარწმუნოებას ქადაგებდა; უფრო მეტიც, ქართველთა ქვეყნის საზრეთი თელი მუშობელი სომხეთი უკვე მოქცეულიყო ქრისტეს რჯულზე, რადგან რეფსიმე დედოფლის წამებისთვის უშვად გადაქცეულ თრდატ მეფეს კაცის სახის დასაბრუნებლად სხვა ველარაყური ელენა და ერთგულად შედგომოდა ჯვარცმულის გზას.

ამრიგად, ნინოს სახელი და გავლენა არა მარტო ურიაში უბანში და მისი პითილე მოწაყის თვალში გაიბრდა, არამედ მთელ ქალაქში გავრცელდა და სხასხლემდე მიაღწია.

ნინოს ცხოვრების ქრონიკაში მკვრელური ოსტაგოვით არის ჩართული რამდენიმე ამბავი, მათ შორის აბიათარ მღვდლის მოხაიხრობი. იგი მოგვითხრობს ანტიოქიაში მოღვაწე ებრაელი მღვდლებისგან მოწერილ შემათაწუნებულ ამბავს იერუსალიმის დაქცევისა და ისრაელის სამეფოს საშად „განხეთის“ შესახებ, რომელთა შორივ შემოხვევას და ებრაელთა „განხევის“ ეს რისხვა ჩვენს წინაპრებისაგან იქსოს წამებისთვის დაგვაგყვია. - იუწყებოდნენ ანტიოქიელი მღვდლები. ეს წყრილი მისმა დღრესაკმა, აბიათარ მღვდელმა უსათოთ ურიათა უბანში გაბერცელა, საიდანაც მიული ქალაქის-

თვის გახდებოდა ცნობილი, ეს კი ნინოს სამი-სონორო მოღვაწეობის მშვენიერ ფონს უქმნიდა და განამტკიცებდა მის ავტორიტეტს. ის ხომ იმ კაცს რწმუნას ქადაგებდა, რომელიც უკურნება ებრაელებმა ჯვარზე გააკრეს მხოლოდ იმის გამო, რომ მისი ღვთიერი წარმოშობა არა სჯეროდათ და ისრაელის თვითმარქვია „მეფედ“ მიაჩნდათ. ამის შემდეგ აიღო ჯვარცმულის განრისხებულმა მამამ ისრაელის ხალხზე ხელი და მათი ქვეყანა დააქცია.

მეორე ამბავში აბიათარი თავისი წინაპრებისგან გაგონილ ამბავს ჰყვება, თუმცა ეს ამბები არა მარტო გაშითხრობა, - ამბობს, - არამედ წიგნებშიც წამოთხრობა. სამწუხაროდ, ეს წიგნები არ შემონახულა და მეტად საინტერესო ამბებს მცხეთელ ურბათა იერუსალიმს გამგზავრების, იესოს ჯვარცმამდე დასწრებისა და მისი კურთხის მცხეთაში ჩამოტანის თაობაზე მხოლოდ აბიათარის მონათხრობით ვეცნობით.

ამ მონათხრობის მიხედვით, ჯერ კიდევ ბეთლემის თა, ლაში იესოს შობისა და აღმოსავლელ მოგვთა თაყვანისცემის ამბავს მცხეთაზე დიდ არასწორ დ მოუწევია; იესოს აღმოსავლელ თაყვანისმცემელთა ისრაელში ვაძიჩენა იერუსალიმელ მღვდლებს რაგომდაც სპარსთა შემოსევადა მიუღიათ და მცხეთელბათისთვისაც ასე უნებებიათ, რასაც დიდად შეუწუხებია „ურიანი ქართველი“ არა მარტო მცხეთაში, არამედ ბოლში, კოდისწყაროში, ხობში... მაგრამ მათი მწუხრება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ქართველ ურბათა იერუსალიმელ ინფორმატორებს სიმათილე გაურკვევიათ და პირველი ნახქარვეი წერილისთვის მეორე მოყოლებიათ: აღმოსავლელი ხელმწიფეები თურმე ყრმასა ვისზე ეძებდნენ, ძესა ღვთისასა, თუმცა „პოვეს მწირი ერთი, მწირისა დედაკაცისაგან შობილი, უმაჟოდ და უადგილისა ადგილსა“. ეს ბავშვი შობილი ყრმა მათ რაგომდაც ღვთის შთამომავალი მიიჩნიეს, თაყვანი სცეს და ძვირფასი ს. ჰუქრებიც მორთვეს. „ურიანი ქართველი“ დამშვიდდნენ და ამ ამბისთვის რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობა არავის მიუნიჭებია ალბათ, მალე დაივიწყეს კიდევ.

გაბოლდ ოცდაათი წელი და იერუსალიმიდან მცხეთას კვლავ მოვიდა წერილი. ანნი მღვდელი სწერდა მცხეთელ ელიოზს, აბიათარის პაპის - ის მწირი დედაკაცის შვილი, აღმოსავლელი ხელმწიფეები რო ეთაყვანენ, ასაკოვანი შეიქმნა, თავის მოწაფეებთან ერთად მთელ ისრაელში დადის და თავს ძე ღვთისად აცხადებს, ამიგომ გადაწვევებო, ადვანსრულით მცნება მოსესი და ცრუმტყველი კაცი სიკვდილს მივეყოთ. მიუხედავად იმისა, რომ ელიოზი იმ დროს

უკვე ხანდაშული კაცი ყოფილა, იერუსალიმს წასვლა გადაუწყვეტია. ამისთვის მას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: ებრაელთა გრადიციულ პასუხის დღესასწაულში აპირებდა მონაწილეობის მიღებას და უნდა, ბარემ იმ ახირებულ ახალგაზრდა კაცის დასჯასაც დასწრებოდა. წასვლისას ელიოზი დედამ გააცილა, რომელიც ბიბლიური ელი მღვდლის ჩამომავალი და ბრძენი დედაკაცი ყოფილა, არ უნდოდა მისი შვილი რაიმე უსიამოვნებაში გარეუღიყო და ცრუმტორეული შევედრა, იმ კაცის დასჯაში მონაწილეობას მოერიდო, რადგან „იგი არს სიგყვა წინასწარმეტყველთა და იგავი ბრძენთათ“.

ელიოზ მღვდელი მარტო არ წასვლა. მასთან ერთად ისრაელში გაემგზავრა გაურკვეველი პროფესიის კაცი ლონგინოზ კარსელი. მგზავრებმა იერუსალიმს სწორედ იესოს შეყვრობისა და ჯვარცმის დღეებში ჩააღწიეს.

აქ ერთი გარემოებაა გაურკვეველი. როგორც ჩანს, ანნი მღვდელს მცხეთაში წერილი ქრისტეს შეუკრობამდე დიდა ნხით ადრე გამოუგზავნია. იერუსალიმიდან მცხეთაში წერილის მოგანას მაშინდელი კომუნიაკეიებით რამდენიმე კვირა მაინც დასჭირდებოდა. ელიოზიც, ვეგობა, მანამდე გაემგზავრა, სანამ იესოს შეყვრობდნენ, რადგან იმ სამიოლ დღეში მცხეთიდან იერუსალიმში კაცი ვერას დიდებით ვერ ჩააღწევდა. გაბოლდ, რომ ანნი მღვდელი ქრისტეს ერთ-ერთი მგერთავანი იყო და მესიას სასჯელიც დიდი ნხით ადრე ყოფილა გადაწყვეტილი.

უკველია, ცნობისმოყვარე ელიოზმა იესოს მოახლოებული დასჯის შესახებ კიდევ მიდოლ დამატებითი ინფორმაცია და იერუსალიმს იმ ფიქრით გაემგზავრა, რომ ჯვარცმის სავარაუდო დღეებში ჩასულიყო.

ეს, ალბათ, ის დრო იყო, როცა მაცხოვარი გალილეა-სამართის საღვრეა ჯერაც არ გასცილებოდა, მაგრამ უკვე მიეღო საბედისწერო გადაწყვეტილება და იერუსალიმს გასამგზავრებლად ემზადებოდა, სადაც უნდა აღსრულებულიყო მისი მიწიერი ცხოვრება და საშუალოდ დაბრუნებოდა ღვთაებრივ წიაღს, ხოლო მისი მოწაფეები დიდ საგონებელში ჩაადგო მესიის სიგყვებმა: „აპა, ავღივარ იერუსალიმს და აღსრულდება წინასწარმეტყველება ყოველი დავერილი კაცის გზაზე“.

შესაძლოა, ისიც ვივარაუდოთ, რომ ვიღაც გლეხის ეზოდან უეცრემონიოდ ახსნილ უნდნელ კარაულზე ამხედრებული იესო სწორედ ამ დროს ემგზავრა მეთიხილის მიიდან იერუსალიმისკენ, როცა ლონგინოზმა და ელიოზმა

მცველთა კორღონი გაიარეს და წმინდა ქალაქში შევიდნენ.

შეიძლება კაცს ისიც მოეჩვენოს, რომ მცხეთელი ებრაელები ბიბლიური პატივმოყვანილები და ღვთისმეტყველები იყვნენ; აბიათარი, რომელიც ამბავს იგონებს, ცოცხალი იყო 330-იან წლებში, ნინოს მცხეთაში მოღვაწეობისას; მისი პაპა ელიოზი კი 300 წლით ადრე დასწრებია ქრისტეს ჯვარცმას. ეს პერიოდი სამი თაობისთვის შეგადა ხანგრძლივი დროა, თუმცა აბიათარს, რაღა თქმა უნდა, უკეთ ეცოდინებოდა...

ეგრესიონის ჩასული ელიოზი, როგორც ჩანს, იესოს ჯვარცმის უბრალო მყურებელი არ იყო. ალბათ, ის და ლონგინოზ კარსნელი მისეთელ ურიათა ოფიციალურ წარმომადგენლებად მიიჩნევიან ამ ღირსქსანშიშველი მოვლენაზე, სხვაგვარად მათ ქრისტეს სამოსელის გაყოფაზე არ მიიწვევდნენ. ელიოზმა, ეცეკობა არაფრად ჩააგლო დედის დარიგება და მესიის დასახის დღეს შეღმეგადა აქტიურობდა, ამიგომ-აე ეწა უბედურება: როგორც კი ჯადათმა ქრისტეს პირველი სახსტევალი ჩაასო, მცხეთაში მყოფმა ელიოზის დედამ მწარედ „კრჩხიალანა“ და შესძახა: „მშვიდობით მეფობთა პურიათაო, რამეთუ მოჰკალით თავისა თქვენისა მაცხოვარი და იქმენით მკვლელ შემოქმედისა“. რად არ მანამღ მოეკვდი სანამ ამას შევესწრებოდით, - დავგმინა ელიოზის წინასწარმეტყველმა დედა და სულაც ვანუგევა.

გოლგოთაზე კი იმ წუთებში გაცხოველებული ფუსფუსი იყო. ყველა სამსტევალით მიტევილი მიშველი იესო ჯერ კიდევ იტანჯებოდა ჯვარზე, მისი სამოსელი კი წილისფრთისთვის ერთად მოეგროვებინათ. ვასაყოფი ბევრი არაფერი იყო, მაგრამ გადაწყვიტეს, გული არაიხითვის დაეწყვიტათ და წილისყრამი დასახის მონაწილად ყველა ოფიციალურ წარმომადგენელს მიეღო მონაწილეობა. ქართველ ურბეს მტეისმეგადა გაუმართლა: მათ ქრისტეს სამოსელიდან ყველაზე მთავარი - უფლის კვართი შეხვდათ, თუმცა საბარებამი ეს ამბავი სულ სხვაგვარად არის მოხსრობილი. წმინდა წერილის თანახმად ქრისტეს სამოსელი წილისყრით იმ თოხმა ვარისკაცმა ვაიყო, ვინც ძე დღვისა ჯვარზე გააკრა და მოძლიერს უქსოველი კვართით მათ დარჩათ, ხოლო, თუ აბიათარს დაეჯერებთ, მაშინ ჯვარცმულის სამოსელის გაყოფა, ცხადია, სიმბოლური აქტი იყო. მოხეგიალედ კაცის სამოსელი დასახარებელი და სახმარად ვარგისი ალბათ აღარც იქნებოდა, მაგრამ ელიოზმა წილხვდომილი კვართი მშრუნველად შეინახა, თავისი საქმეები მოითავა და მცხეთას გამოემგზავრა ისე, რომ დედის სიკვდილი არც

შეუგეცია. ცნობილი არ არის, რა იქნა ლონგინოზ კარსნელი, რომელიც, იმეღია, ის ლონგინოზი არ იყო, ჯვარცმულ იესოს რომ უფრდამ ღახებოდა ატაკა. ალბათ, ისიც ელიოზთან ერთად გამოემგზავრა თუმცა კვართი, როგორც ჩანს, ელიოზის ბარგში იდო და მცხეთაშიც მან შემოიტანა, აქ მას კიდევ ერთი უბედურება ელოდა: როგორც კი სახლს მიუახლოვდა, თავისი და გამოეგება, ავრომელიც ვაიყო შემოეკლო, სასოებით გამოართვა უფლის კვართი, გულში ჩაიკრა და სულაც ვანუგევა.

ამ ამბავმა დიდად გააკვივრა მცხეთელები და თვით დიდი მუფუ ადერიც. ელიოზის სახლს, რომელიც ქალაქის დასავლეთით, მოგვთა ხილის მახლობლად დგა, ათასობით ადამიანი მოაწყდა. ჭირისუფლებმა სცადეს მიცვალებულის ხელიდან აებოეგება, ავრომელიც ვაიყო, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და ელიოზმა გადაწყვიტა, თავისი და გოლგოთაზე ჯვარცმულის კვართიანად დაემარხა.

შემდგომში, თვით ნინოს მცხეთაში ჩამოსვლაზე, არაერთხელ უცდიათ ელიოზის დისა და უფლის კვართის განსახვეწებელი ადგილის მოძებნა, მაგრამ იგი ყველას დავიწყებოდა, მხოლოდ ძირაუდით სახვეწებდნენ, ლიბანური ნაძვის მირას უნდა იყოსო.

ამ საუფავის ადგილმდებარეობით ნინოც დაინტერესდა, როცა ურიათა უბანში მტე-ნაკელებად სარწმუნო ცნობები შეკრამა იმ შორეულ ამბებზე, მაგრამ შუსტად მასაც ვერაფერი ვერაფერი აუხსნა. ერთი ეგ იყო - იმ დღეებში უნაური ხილვა აეკვიტა: ციდან შავი ფრინველები გუნდი ეშვებოდა, ჩავიდოდნენ წყალში, განიბანებოდნენ, განსავეტაკებოდნენ, შეურინდებოდნენ სამეფო ბაღში, ლიბანური ნაძვის მახლობლად ბაბილოს კენკავდნენ, მერე კი ნინოს მაყვლის ქობისკენ მოიქჩაროდნენ და თავს დასტრიალებდნენ. ეს ამბავი ნინოს აბიათარ მღვდლის ასულს სილონიას უამბო, რომელმაც წინასწარმეტყველურად აუხსნა - ეგ ადგილი, სადაც ფრინველი საშრობობენ, შენგან სამოთხეად იქცევაო.

ეს ის დრო იყო, როცა კონსტანტინე კეისრისგან ოტებულმა სპარსთა მოკავშირე მირიან მუვემ მცხეთას მოაღწია. მისი დამარცხების ამბავი, რაღა თქმა უნდა, უფრო ადრე მოვიდოდა დედაქალაქში. ნინომაც სწორად შეფასა შექმნილი ვითარება, დრო აღარ დაუკარგავს და უკვე ამკარად შეუდგა ქრისტეს რჯულის ქადაგებას.

ეს სთამამე, ცხადია, იმით იყო გამოწვეული, რომ ქრისტეანმა კეისარმა სძლია წარმართი სპარსულ-ქართველი ხელმწიფენი და ქრისტე-

ანთა დევნა-შევიწროება უკვე აღვიღო აღარ იყო, რადგან ისინი ძლევაშიოსილი ბიზანტიის ქვისრის მფარველობით სარგებლობდნენ. ნინო-მ მაყვლოვანიდან თავისი ნასხლავის ჯვარიც აშკარად გამოაჩინა და სნეულთა მკურნალობას მიჰყო ხელი. მას თან დაჰყვებოდნენ მოწაფეები, უწესგასდ ურიათუნებელი ქალები, აბიათარი და მისი ასული სიღონია. აბიათარის თავგამოდებამ ახალი სარწმუნოებისადმი იმდენად გაანაწყენა მისი თანატომელი ორიოლოქი იუდეველები, რომ ყოფილი მძვლდის ჩაქოლევაც კი განიზრახეს.

ჩამქოლავნი, როგორც ჩანს, დინჯად და წინადახეულად მოქმედებდნენ, რადგან, სანამ განმრავებს სისრულეში მოიყვანდნენ, ამბავებში მირიან მეფემდე მიადგია, მანაც დაუყოვნებლივ გაგზავნა მსახური და აბიათარი ხიფათს განარიდა. მეფის შრუნვა უცხოტომელ ქრისტიანზე იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ წარუმატებელი ბიზანტიური ლაშქრობებიდან მას თავისი დმერთების შერყეული რწმენა ჩამოჰყვებოდა, გულში ესაბუთებოდა ახალ სარწმუნოებას და მისი აღიარებისთვის ხელდასყრულ შემთხვევებს ეძებდა. ამიტომ მეფე არავითარ წინააღმდეგობას არ უქმნიდა ნინოსა და მის მოწაფეებს, სამაგიეროდ, ცოლი მისი, ნანა დედოფალი გულფიცხობდა და მცხეთის ქუჩებში მოყიდალ მქადაგებლებს გაჰყვებით ემუქრებოდა.

ნინოს ჯერ კიდევ არ გამოეცვლა ადგილსამყოფელი, კვლავ თავის მაყვლოვან ქოხში ცხოვრობდა და ლოცვობდა, სამაგიეროდ, ამ მაყვლოვანის გარშემო ახლა მეტისმეტი ხალხმრავლობა იყო. ცნობისმოყვარეობით შეუყრობილი მცხეთის მოქალაქენი დღენიადავ თავს იყრდნენ ნინოს გარშემო და ისიც დაუცხრომლად და შთამბეჭდავად განუმარტავდა ახალ სარწმუნოებას, უამბობდა ქრისტეს ჯვარცმასა და აღდგომამე.

ამასობაში სამი წელი გავიდა, ნინომ მრავალრიცხოვანი ჰამდევრები გაიჩინა და სასწაულეებრავი მკურნალობით ბევრი ვინმე აზიარა იესოს ნათელს.

მაღე ენერგიულ მისიონერს კიდევ ერთხელ გაუღიმა ბედმა. ნანა დედოფალი, რომელსაც მანამდე თვალთ არ დაენახებოდნენ ნინო და მისი მოწაფეები, რაღაც მიმე ხენით დაავადდა. დედოფლისთვის ექიმსა და წამალს, რასაკვირველია, არავინ დაიმურებდა, მაგრამ საშველი არ იქნა. დედოფალიც მოგყვდა და მისგანვე საეკვოდ მიხნეული მკურნალ-მქადაგედის, კაბადოკიელი ნინოს სასახლეში მოიყვანა ბრძანა. ნანა დედოფალი ჩამომავლ-

ობით ფარნავაზიანთა სახლის შვილი, წინა დინასტიის უკანასკნელი მეფის ასუგარის ქალიშვილი იყო, რომელსაც მეუღლად სპარსელი უფლისწული მირიანი მოჰგვარეს, რომელიც ამ დღებშია ქორწინების წყალობით იმერის მეფე ლიქენა. ბუნებრივ იქნება, ვიფიქროთ, რომ ნანა დედოფალი მაჰყა ქალბატონი ბრძანდებოდა და სამეფო საქმეებშიც აქტიურად ერეოდა. ახლა კი, სენმორეული, ჩხარა განკურნებს ესწრაფოდა, რათა კვლავ გვერდით ამოდგომოდა თავის მეუღლეს, რომელმეც, ეკეთობა, მას განუსაზღვრელი გავლენა ჰქონდა და მირიანის სწრაფ „გაქართველებაშიც“ დიდი წვლილი მიუძღოდა.

მსახერებმა მაყვლოვანში მიაკითხეს ნინოს და დედოფლის სურვილი გადასცეს. მათდა გასაოცრად, ლოცვაში გართული ქალწულის პასუხი მოკლე და შეუვადი იყო: „არა ბრძანებულ არს ჩემდა, რათა განვივლი, სადა შეუდა ჩვენი არა არს, არამედ დედოფალი მოვიდინ საყოფელსა ჩემსა და ჭეშმარიტად განიკურნოს ძალითა ქრისტესითა“. ნინოს, ცხადია, უპირველესად დაბამიანური წყენა ამოძრავებდა, გადაწყვიტა შერი ეძია ჯიჯი დედოფალზე და მიადწია კიდევ საწადელს. სული გბილია - დედოფალმა დამთო და მსახურებს უბრძანა, მასთან წამიყვანეთო. დედოფალს სიარული არ შეეძლო და ნინოს საკაციო მიჰგვარეს, თან ახლდა თავისი ძე რვეი და მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები.

ნინოს რაიმე განსაკუთრებული მოწიწება არ გამოუხატავს თავისი საპატიო პაციენტისადმი; ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა ლოცვას, დედოფალს ჯვარი გადასახა და სასწაულიც მოხდა: სნეული უეცრად გამოიკრიბინდა, სიჯანსაღეთთან ერთად, დედოფლის არსება ქრისტეს თავყანისქმის გრძობობაზე შეიპყრო. იგი დაუმეგობრდა ნინოს, უმაღ აღმოჩნდა ქრისტიანთა გარემოცვაში და მალე თავადაც ქრისტიანი გახდა.

მირიან მეფე, რომელმაც დიდად გაიხარა საყვარელი მეუღლის გამოჯანმრთელებით, თავადაც დაინტერესდა ქრისტიანთა მოღვაწეობით. მას მოძღვრად მოეყვინა თვისგომთაგან ჩაქოლავის გადაბრჩენილი აბიათარი და ქრისტეს მოძღვრების მთელი სიდიადე გადაუშალა. მეფეს ბიბლიოთეკაში რაღაც ძველი, ნებროთის დროინდელი წიგნებიც ჰქონოდა, რომელშიც მან აღმოაჩინა წინასწარმეტყველება მესიის მოვლენიებაზე, მაგრამ მირიანი, როგორც ჩანს, ყოველ ახალ გადაწყვეტილებას ხელმწიფური სიდინჯითა და აწონილობით ღებულობდა - გული კი უწევდა ქრისტიანობისკენ, მაგრამ

არც ძველი სარწმუნოების დათმობა ედვილედ ბოდა.

ეს ყოყმანი უხათოდ პოლიტიკური მოტივებითაც იყო განპირობებული. ჯერ ერთი, ქრისტიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფი იმეამად მხოლოდ დედაქალაქში მოქმედებდა, დანარჩენი ქვეყანა კი კვლავ მტკიცედ მისდევდა არმაზის კერპთა თაყვანისცემას. მეფის უეცარ გადაწყვეტილებას ძველი რჯულის დაგვიძის შესახებ, შესაძლოა, მის ქვეშევრდომებში გაუგებრობა გამოეწვია. მეორეც, მირიანი ნათესაური, სამხედრო და პოლიტიკური კავშირით იყო შეკრული აპურამაზას მიმდევარ სპარსეთთან, ამ ქვეყნის დაუძინებელი მგრის, ბიზანტიის რჯულზე მოქცევა კი პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის გოლფასი იყო და არავინ იცოდა, როგორ შეაფასებდნენ ამ ნაბიჯს ქრისტიანების სამეფო კარზე. მეფეს, ალბათ, ამავე აზრს ჩააგონებდა მცხეთაში მოღვაწე მრავალრიცხოვანი სპარსული მოვგო „მსახური ცეცხლისანი“, რომელთაც უკვე შეეგობილი ეწვეოდნათ სასახლეში მიმდინარე ამბები და მირიანს ყოყმანისთვის საკმარისზე მეტი საფუძველი ჰქონდა.

საერთოდ, მეფე მირიანი ერთობ საინტერესო და კოლორიტულ პიროვნებად გამოიყურება. ჩვენი არ ვიცით, როდის გარდაიცვალა ფარნაეგზიანთა (არმენოფილური გრადიციით - არშაკუნიან-ფარნაეგზიანთა) დინასტიის უკანასკნელი მეფე ასურუგი, მაგრამ ცხადია, მეფის უძეოდ გადაგება დიდი პრობლემების წინაშე დააყენა იბერიელი დიდებულები. დინასტია შეწყდა და ახალი მეფის ამორჩევას დიდი გამოწრიახობა სჭირდებოდა. იმ ეპოქაში, რასაკვირველია, აზრადაც არავის მოუვიოდა გახტვით ქალი, მეფის ასული ნანა აყევანა, თუმცა ეგვიპტის ლეგენდარულ დედოფლის კლოპატრას სახელი, ალბათ, ქართულად სმენობათ. ქართელები სამეფო კაცს, როგორც წესი, რაგომადე ყოველთვის თავისი ქვეყნის გარეთ ეძებდნენ, აბა, მცხეთაში თაყმოყრილი დიდებულები მეფეს თავისი წრიდან ხომ არ აიხრებდნენ - თეფიანთი მომავალი მმართველი რომელიმე სხვა ქვეყნის სამეფო სახლში უნდა ეძებნათ. ამ გრადიციით დაუმოყვრდნენ ფარნაეგზიანთა დინასტიას პართიული წარმოშობის სომეხი არშაკიდები, ახლა კი სომხეთი სპარსეთ-ბიზანტიის ომების ასაპირმად იყო ქცეული და იბერიის სამეფო კარს თავის სამხრეთულ მეზობელთან კავშირი აღარ აინტერესებდა.

ახალი მეფის ასარჩევად დიდი ბოჭობა შექმნილა იბერიის დედაქალაქში. გადამწყვეტი სიგვეა სასპეკ მაყენს წარმოუთქვამს, რომ-

ელიც, შესაძლოა, უმეფობის იმ მოკლე პერიოდში ქვეყნის განმგებლად იქცა, რადგან ძალიან გაანჩნდა და გამჭრიახი კაციც ყოფილა. მის ვესტად დაახსითაო შექმნილი პოლიტიკური ვითარება: „წაღებულ არს სომხეთი, რომელსაც ეკიდა სამეფო ჩვენი და აღუღია პირი მისი სპარსთა მეფესა შთანთქმად ყოვლისა ქვეყნისა“. ამიგომ სომხეთის სამეფო კართან დაკავშირება აღარას გვარგებსო, უბრძანებია სასპეკს და შეკრებილთათვის სპარსეთის მეფესთან კავშირის დამყარება შეუთავაზებია. ეს, რასაკვირველია, ერთადერთი სწორი, ამავე დროს იძულებითი პოლიტიკური ნაბიჯი იყო, რადგან სპარსეთს იბერიის შიანთქმისთვისაც „აღუღო პირი“ და მისი აგრესიის შეჩერება სპარსთა სამეფო კართან მეგობრობითა და მოყვრლობითა თუ შეიძლებოდა. მოლაპარაკების შემდეგ იბერიის მეფედ სპარსთა მეფის შვიდი წლის ვაჟი, მხეგვდაგან შიბილი მირიანი შეურჩევითა და დაწვინებთა კიდეც ასურუგის ახლ ნანამე.

სადავოდ არის ქცეული მიპრან-მირიანის მამის ვინაობაც. ბოლო გამოკვლევებით იგი შაბურ I უნდა ყოფილიყო, რომელიც სპარსეთის 242-272 წლებში განაგებდა. ამ ვერსიით მირიანი ქართლში, ალბათ, 250-იან წლებში უნდა გაშეფებულიყო, რადგან 273 წელს, როცა მისი მამა ბარგამი სპარსეთის გახტვით ავიდა, მირიანი მოწიფული ვეჟაკი იყო და, როგორც უფროს მემკვიდრეს, სპარსეთის გახტვით პრეგენმა განუცხადებია, მაგრამ მისი უფლებები დედის მხრიდან მდაბიო წარმოშობის გამო შეზღუდული იყო და გახტვი მანც ბარგამს, ინლოელი დედოფლის ძეს დარჩენია, მირიანისთვის კი სპარსეთის გარკვეული პროვინციები დაუთმია იბერიის სამღვრებთან.

ახე იყო თუ ისე, მაყენ სასპეკის სიგვეამ გაჭრა და 7 წლის მიპრან-მირიანი იბერიის მეფე შექმნა. ყრმა მეფეს, როგორც ჩანს, დაუყოვნებლივ შეუქმნეს ქართული გარემოცვა, მალე ქვეშევრდომთა ენასაც დაეუღლა და თავისი მისევი, როგორც ქართლის მეფის, ღრმად ჩაუნერგეს. ყოველ შემთხვევაში, მირიანი ნინოს ქართლში გამოჩენისას ქართული სულიერებით გამსჭვალული, ქართველი მეფე იყო, თავყენს სცემდა ქართველთა ღმერთების და არა სპარსთა აპურამაზას, თუმცა სპარსთა მძლავრობის გამო, არჩევანის საშუალება ჰქონდა, მან კი, ჩანს, არმაზის თაყვანისცემა ამჯობინა, მაშინ, როცა მცხეთაში აპურამაზას მიმდევარნი მრავლად ცხოვრობდნენ. მირიანი თავგანდობლად იბრძოდა იბერიის სამღვრების გაფართოებისათვის ყველა მიმართულებით,

ენერგიულად უკვედა ჩრდილოეთ კავკასიელ ტომებს, რომელნიც დარიალის ვაზი ყაზაღურ თავდასხმებს ახორციელებდნენ იბერიის მიწა-წყალზე, არც თავის მომეხ სპარსელებს ერიდებოდა და იბერიის მოსაზღვრე მდებარე სპარსული პროვინციების საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევას ცდილობდა. იგი ერთხანს მხარს უჭერდა თავის სახლიკცებს სპარსეთის სამეფო კარზე და მათთან ერთად ებრძოდა თრდაგ სომეხთა მეფეს, რომელიც ბიზანტიური ორიენტაციისა იყო და რომელთა მხარდაჭერით სარგებლობდა. სომეხ-რომაელთა კოალიციასთან სპარსელ-ქართველთა ბრძოლას იმხანად წარმატება არ მოჰყოლია: თრდაგმა, მაინც განიმტკიცა მეფობა სომხეთში, მოხდა პოლიტიკური გარიგება - მირიანის ძე რევაშვილად შეირთო თრდაგის ასული სალომე, ხოლო უფროსი ვაჟი ბაქარი მიველად მისცა ბიზანტიის კეისარს. (მირიანის შემდეგ ბაქარი იბერიის დირსეული მეფე, ქრისტიანთა ქომაგი და კელესიათა მშენებელი შეიქმნა). მომდევნო წლებში უკვე გაქრისტიანებულ სომხეთთან და ბიზანტიასთან მირიანს მშვიდობიანი ურთიერთობა აქონდა, მაგრამ დედაქალაქში ქრისტეს რჯულის მქადაგებულ უცხო ქალს მაინც ეჭვის თვალთი უყურებდა.

მეფის ორჭოფობამ მთელ წელიწადს გახანა და ნინოს წარმატებას კვლავ ახალმა მოულოდნელობამ შეუწყო ხელი. ავად შეიქმნა მცხეთაში მოღვაწე სპარსელ მოგვთა მთავარი, რომელიც მირიან მეფის ნათესავი იყო. მეფემ და დედოფალმა ნინოს დახმარება სთხოვეს, იქვე რატომღაც დრმა დაიჭვება გამთითქვეს ნინოს წარმომავლობის გამო. მეფეს ეჭვი არ შეუტანია ნინოს სასწაულებრივ მკურნალობაში, მაგრამ თავისი ვარაუდი გაჟმობარა: „ანუ ხარ შენ ასული არამაშის, ანუ შვილი ზაღენისი, უცხოობით მოხვედ და მოგვრდი და ზედა-ბე მით წყალობა შენი და შეგარბჭეს ძალი კურნებისა, რათა მით სცხოვნდში უცხოთა ქვეყანასა“. ამის შემდეგ მეფემ ნინოს შესთავაზა, - მავ რომელთა რჯულის ქადაგებას თავი დააბნებე, არამაშა და მის მომეხ ლეთებთათა ეკრამის ადვიაღვს, შენ არამაშის მსახურად დაგაყენებ და მცხეთის საპაგაო აღამიანად გაქცევი.

ნინომ, ალბათ, შეურაცხყოფად არ მიიღო, ღვთაებათა შვილად რომ მიიჩნეო, მაგრამ შემოთავაზებულ წინადადებაზე მტკიცე უარი განაცხადა და თავისი მოსაზრებები ისეთი ხარწმუნო არგუმენტებით გააბათილა, როგორიც იყო უფლის კვართის მცხეთაში დაფულის ლეკანდა. ამ შენს ნათესავაჲც, - უთხრა მეფეს - ქრისტეს ჯვრით განეკურნავი. იქვე შესთავა-

აზა - ბოროტი სულის მიერ შეპყრობილი მოგვთა უმთავრესი იმ ნაძვის ქვეშ გადაეყვანათ, სადაც უფლის კვართი უნდა ყოფილიყო დაფულე. იქ ორდღიანი ღოცვა-ვედრების შემდეგ სპარსული გამოცოცხდა და ნინოც, აბგატებულ მოწაწელები ერთმოსული, თავის მკველვინანში დაბრუნდა.

მირიან მეფემ ამ სასწაულმა, ალბათ, შობეტილივად მოახდინა, მაგრამ იმდენი ვერა, რომ საბოლოოდ გადაეწყვიტა გაქრისტიანება. ამდენი საფიქრალით გაბეზრებულმა მეფემ მალე სანადიროდ წასვლა დაილაწვევდა და მუხრანისაკენ გაემართა. დღე იყო უშაბათი, ივლისის ოცი. ვაშაშ მეფეს, თითქოს ეშმაკი შეუჩნდაო, ავი ფიქრები მოეძალა. უკვე ხანდამშული იყო და შინაგანად ენებებოდა შეჩვეული ცხოვრების წესის შეცვლა. არც ძველი, დიადი ღმერთებისთვის განდგომა ეწადა, რომელთა ბრწყინავლე ქანდაკებაში ოლითგან ამშვენებდა მცხეთას, ვრი მოწიწებით ეთავაზებოდა მათ და ყველაფერი ისე იყო მოწიწრებულად, როგორც უყვართ და ხელს აძლევთ მეფეებს.

ეს მკველოვანში დასახლებული, უცხოელი ქალიშვილი კიდევ ვიღაც სამახსი წლის წინ ჯვარცმულის თაყვანისცემას უქადაგებდა, რომლის არც სახე ენახა ვინმეს მცხეთაში, არც მომდერება იყო ადვილი გასაკვები; ამის გარდა, ახალი რჯულის აღიარებას, შესაძლოა, საგარეო გართულებებიც მოჰყოლიდა. მეფემ მისივე ფიქრებით მოეულმა დაგოვა დედაქალაქის შემოგარენი და მუხრანის სანახებს მიღწეულმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო - ეს ვიღაცა ჯვარცმულის მიმდევარი ერთიანად უნდა გაეაწყვეტინო, დედოფალიც ვიძიებო, რათა მოინანიოს და კვლავ ქართლის დიადი ღმერთების თაყვანისცემული გახდეს, არადა „დავიფიწო სიყვარულე მისი და სხუთთა თანა წარეწყმილო ივერას“. ეს იმ ღონიერი მორძახები გადაწყვეტილება იყო, რომელიც მზად არის, ქვეყნის ინტერესებს საკუთარი გრძობები ანაცვალოს და სამეფოში ერთხელ დამკარებელი უწარგი სასწორზე არ შეაგოს. მირიანმა თავისი განზრახვა თანხმობით დიდებულებს გაანდო, რომელთაც დიდად გაიხარეს, რადგან თავადაც იმავე აზრისანი ყოფილიყვნენ, მაგრამ მეფის ორჭოფობის გამო აქამდე თქმა ვერ გაებედათ. ამ მსჯელობა-კამათში მეფემ და მისმა ამაღამ განელეს მუხრანის სანახებში და თხოთის მთაზე ავიდნენ, საიდანეც კავად მოჩანდა კასი და უფლისციხე. შუადღემაც მოაწინა და აქ მოხდა მოვლენა, რომელმაც კიდევ ერთხელ იხსნა მცხეთელი ქრისტიანები

და მათი წინამძღოლი სამინიელი განსაცდელი-საგან, რომელიც მეფის ნადირობიდან მობრუნებისთანავე, იმ ღამით ან მორე დილით მაინც დააგდებოდათ მათ.

შუა საშრობის კამი იქნებოდა, როცა უეცრად დაბნეულა მკე, მთელი ქართლი ღამის უკუნეთმა შთანთქა. აღამიანები ერთმანეთს ვეღარ არჩევენ, მეფის ამაღალი სიბნელეში გაიფანგა და იბერიის მბრძანებელი სულ მარტო დარჩა. რაღა თქმა უნდა, მრავალი საფიქრალით შეურევბული მეფის უშიშარი გულიც კი ძრწოლამ მოიცვა ამ უეცარი და სამინიელი განსაცდელის გამო. მეფე ერთ ადგილას დადგა და იმედოვანად ელოდა, ისაღ დარჩებოდა, ღვთიური ძალეებისთვის ეთხოვა შეველა და ისიც ჯერ თავის ძველ ღმერთებს ვეღარა, მაგრამ საშველი არ ჩანდა, მაშინ ხმაშალა იკითხა - რახან ჩემი ღმერთები ვეღარ მშველიან, ნინოს მიერ ნაქადაგებ ჯვარსა და ჯვარცმულს ხომ არ შეუძლია ჩემი შველი? უეჭველია, მირიან მეფე ამ უეცარ განსაცდელში ჩავარდნას თავის დიანდელ განმრახვის მიაწერდა - ქრისტიანების ამოტევა რომ გადაწყვიტა. ალაბით, იმი-სიც ემიროდა, თრდაგ სომეხთა მეფესავით მეც ეხებად არ გადავიქცე, სხვა თუ არაფერი, ტახის სახით რომ გამოვეყვებო, ნანა დელოფლს უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენებო. ფარხხალ-დაყრილმა მეფემ იქვე შექადადა: „ღმერთო ნინოსო, გამინათლე ბნელი ესე და მიხენე სამყოფელი ჩემი, და ვდიარო სახელი შენი და აღმართო ძელი ჯვარისა და თაყვან-გსეც მას და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა და ვიყო მორჩილი ნინოსა სჯულსა შედა“.

როგორც კი მეფემ ვედრება დაამთავრა, უცხად გაქარდა ბნელი და გამობრწყინდა მშე მირიანი უმაღ ჩამოქვეითდა, ხელები ცად აღაპერო და სასოებით მიმართა მისგან ათვა-ლწუნებულ ჯვარცმულს: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა შედა ღმერთთა და უფალი ყოველთა შედა უფალთა ღმერთი, რომელსა ნინო იცხვის... აპა ესერა, მიცნობის, რამეთუ გინდა ხსნა ჩემი, ღხინება და მიახლება შენდა უფალო კურთხეულ“.

ამ ფაქტიდან ჩანს, რომ მეფე მირიანი შეგად სერიოზულად ეკიდებოდა ნინოს მოღვაწეობას და შინაგანად ქრისტიან სარწმუნოებისაკენ იყო მიდრეკილი. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, უკიდურეს გასაჭირში ჩავარდნილ არამაისთვის ამაო ვედრების შემდეგ აპურამამდასთვის - თავისი წინარებისა და თანამომეოთა ღმერთისთვის უნდა მიემართა, ისიც ბუნებრივი იქნებოდა, ეფექტად, - აპურამამდას ბოროტი ძმა,

ბნელეთის მბრძანებელი არიშანი დამეუფლო, მაგრამ მან ეს არ გააკეთა და შეველა ჯვარცმულისგან, ანუ ნინოს ღმერთისგან ითხოვა.

სიღონა, ასულა აბიათარ მღვდელისა, რომლის პირითაც ნინოს ცხოვრების ავტორი გვაიმობს მეფის განსაცდელის შესახებ, არას ამბობს, ბნელეთმა მარტო თხოთის შთა და მისი შემოტარენი მოიცვა თუ მცხეთაშიც ჩამოაღწია. ერთი კია, მეფის განსაცდელის ამბავმა შეპირუნა დედაქალაქი. ხელმწიფე ჯერ დაღუპული ჰგონებოდათ, მერე კი შეეცოთ, გადარჩენილათ და ღართის მისაღვრებთან შეეგუნენ. ნინოს მინცდამიანი დიდი ყურადღება არ მიუქცევია ქალაქში ატეხილი ბუკურებისთვის, იგი თავის მაყვლოვანში იყო განმარტოებული და ლოცულობდა.

როგორც კი მეფე და გახარებული ხალხი მცხეთაში შემოვიდა, მეფემ ხმაშალა დაწყო ძახილი: „სადა არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა ჩემი და ღმერთი მისი, მხსნელი ჩემი“. ქვეშევრდომებმა მისაწაგეს, სადაც იყო. მეფე სწრაფად გაემართა მაყვლოვანისკენ, ნინოს წარუდგა და აღიარა ქრისტიან რჯულზე მოქცევა. ნინომ შეიწყნარა ახლად მოქცეული და ასწავლა ნინო ახალი ღმერთის თაყვანისცემა. იმავე დღეს მირიანმა მოციქულმა წარავლინა კონსტანტინე ბერძენთა ეკისრის წინაშე, მათ, აგრეთვე, წაადეს ნინოს წიგნი ელენე დელოფალთან. ქართველები ბიზანტიიდან მღვდლების გამოგზავნას და ნათლედებას ითხოვენ. იმ დღეს ნინომ თავის ცხოვრებაში ყველაზე დიდი გამარჯვება იმეომა და ახალი ენერგიით მიპყო ხელი ქრისტიანობის ქადაგებას მთელ სამეფოში.

საფიქრებელია, რომ მირიან მეფის მოქცევის დამაჩქარებელი ბუნებრივი მოვლენა მარტოღონ მწერლის ფანტაზიის ნაყოფი არ არის. ასტრონომიული მონაცემებით გამორკვეულია, რომ მესამე-მეოთხე საუკუნეებში, რაღაც მიზეზით მშის დაბნელება ძალიან ხშირი ყოფილა; კერძოდ, მშის სრული და ნაწილობრივი დაბნელებები საქართველოში მოხდარა 319, 346, 348, 355 წლებში. თუცა ეს თარიღები ჭირთლის მოქცევის აღიარებულ თარიღს (336) წელს არ ემთხვევა. ისიც საყურადღებოა, რომ, როგორც ივანე ჯავახიშვილი განმარტავს, მშის დაბნელების ვერსია მხოლოდ მე-7 საუკუნეში ჩნდებოდა, მანამდე საუბარია ბურუსზე, რომელშიც აღმომხინილა სხანდოროდ წასული მეფე მირიანი.

ასე თუ ისე, მეფემ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო - ამერიიდან იგი ნინოს მოწაყვდ, თანამმრახველად და ერთმორწმუნედ იქცა.

Omega
ომეგა



დედის დაზღვევა
INSURANCE OF MOTHER





საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანია
GEORGIAN STATE INSURANCE COMPANY



საქართველოს
დაზღვევის
სახელმწიფო
კომპანია

ასალი წიგნები



67/27



ნამუშევრი გამომყენებულის გიგანტი თაღთიშაძის ნამუშევრათა ზეპნბეღუქცვიში

